


ეუთოს გზამკვლევი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა



ვენა, ივნისი 2017
© ეუთო 2017


ყველა უფლება დაცულია. ნებადართულია
წინამდებარე სახელმძღვანელოში
მოცემული ინფორმაციის გამოყენება
და გამრავლება საგანმანათლებლო და
სხვა არაკომერციული მიზნებისთვის იმ
პირობით, თუ მითითებული იქნება ეუთო
(OSCE) როგორც პირველი წყარო.

ISBN 978-3-903128-04-0

ეუთოს (OSCE) სამდივნო
ტრანსნაციონალური საფრთხეების
დეპარტამენტი
სტრატეგიულ საპოლიციო საკითხთა
განყოფილება

Wallnerstrasse 6
A-1010 Vienna, Austria
Tel: +43-1 514 36 6942
E-mail: [spm@osce.org](mailto:spmu@osce.org)
osce.org/secretariat/policing
polis.osce.org

ეუთოს გზამკვლევი
ანალიზზე
დაფუძნებული
საპოლიტიკო
საქმიანობა



შინაარსი

წინასიტყვაობა	4
რეზიუმე	8
მადლიერების ნიშნად	10
შესავალი	12
1. თანამედროვე საპოლიციო მოდელები	18
2. მონაცემები, ცოდნა და ანალიტიკური ინფორმაცია	20
3. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განსაზღვრა	22
4. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის უპირატესობები	26
5. სამართლებრივი მოსაზრებები, ადამიანის უფლებები და მონაცემთა დაცვა	29
6. ანალიტიკური პროცესი	36
6.1 დავალება და დაგეგმვა	37
6.2 შეგროვება და შეფასება	40
6.3 შეგროვება და დამუშავება	43
6.4 ანალიზი	43
6.5 ანალიტიკური პროდუქტების ანგარიშგება და გავრცელება	46
6.6 უკუკავშირი და შემდგომი მოქმედება	49
7. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო (ILP) საქმიანობის დანერგვა	50
7.1 ეუთოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) მოდელი	51
7.2 გამოწვევები და განხორციელების ძირითადი მოთხოვნები	56

7.3 ანალიზი და გადანყვეტილების მიღება სამართალდამცავ სამსახურებში	61
7.4 ანალიტიკური მექანიზმების დონეები	63
7.4.1 ანალიტიკური მექანიზმი ადგილობრივ/განყოფილების დონეზე	63
7.4.2 ანალიტიკური მექანიზმი რეგიონულ დონეზე	64
7.4.3 ანალიტიკური მექანიზმი ცენტრალურ დონეზე	65
7.5 სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები	66
7.5.1 სტრატეგიული სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები	67
7.5.2 ოპერატიული სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები	67
7.6 ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება	67
8. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) პრაქტიკაში	70
8.1 ILP, საფრთხის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში	70
8.1.1 ევროკავშირის პოლიტიკის ციკლი	72
8.1.2 Sleipnir-ის ორგანიზებული დანაშაულის შეფასების ინსტრუმენტი	77
8.2 ეროვნულ დონეზე, ILP მოდელის განხორციელების მაგალითები	80
8.2.1 გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანალიტიკური მოდელი	80
8.2.2 ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, გერმანია: პოლიტიკის შემუშავება და სტრატეგიული დაგეგმვა	87
8.2.3 შვედეთი: ILP მოდელის ორგანიზაცია და გადანყვეტილების მიღების სტრუქტურები	89
8.2.4 სერბეთის რესპუბლიკა: ILP-ის ოპერატიული და ანალიტიკური სტრუქტურები	95
8.2.5 მონტენეგრო: მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასება	100
8.3 ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა	104
8.4 ILP ტერორიზმისა და VERLT-ის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციის საქმეში	108

წინასიტყვაობა

საპოლიციო საქმიანობა, ეუთოს ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერებისკენ მიმართულ ძალისხმევათა ძირითადი ელემენტია და კრიმინალური ქმედებებით გამოწვეული საფრთხეების აღმოსაფხვრელად, მონაწილესახელმწიფოების ძალისხმევის გაძლიერებაში, ორგანიზაციის მიერ შეტანილი წვლილის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. 1999 წლიდან, საპოლიციო საქმიანობა, კონფლიქტების პრევენციის, კრიზისების მართვისა და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის მიმართულებით, ეუთოს ძალისხმევის ერთ-ერთ მთავარი კომპონენტია.

მისი მანდატის შესაბამისად, ეუთო მუდმივად ცდილობს, მხარი დაუჭიროს მონაწილესახელმწიფოებს კომპეტენციების გაძლიერებაში, მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და სამართალდამცავი და საპოლიციო სერვისებზე შესაძლებლობების გაზრდაში. ტრანსნაციონალური საფრთხეების ევოლუცია, მუდმივად ცვალებადი კრიმინალური სქემები და მზარდი მოთხოვნა საპოლიციო სერვისებზე, საჭიროებს სტრატეგიების, პრიორიტეტების, გეგმებისა და მეთოდების მუდმივ განახლებას. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, ეუთოს გზამკვლევი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (IPL) შესახებ, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

წინამდებარე გზამკვლევი, ეუთოს მონაწილესახელმწიფოებისთვის, წარმოადგენს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას (IPL), როგორც თანამედროვე და პროაქტიურ სამართალდამცავ კონცეფციას და ტრადიციული, რეაქტიური ფორმების რეალურ ალტერნატივას. ბოლო წლებში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა იმედის მომცემი შედეგებით დაინერგა რიგ ქვეყნებში იგი აერთიანებს ინფორმაციის შეგროვებას, შეფასებასა და ანალიზს. აგრეთვე, მოიცავს ანალიზზე დაფუძნებულ (ინფორმაციაზე დაფუძნებულ) გადაწყვეტილების მიღების პროცედურებსა და მექანიზმებს, რითაც უზრუნველყოფს ეროვნული სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიან მართვას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, როგორც თანამედროვე სამართალდამცავი მოდელს, თუმცა მისი წარმატება მეტწილად დამოკიდებულია წინამდებარე გზამკვლევაში წარმოდგენილ კონკრეტულ საჭიროებებზე. საკვანძო წინაპირობას წარმოადგენს პოლიტიკური მხარდაჭერა, ინფორმირებულობა და ხელმძღვანელობის ძალისხმევა.

მსურს, მადლიერება გამოვხატო იმ 30-ზე მეტი სამართალდაცვითი სფეროს ექსპერტის მიმართ, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებიდან, აკადემიური წრეებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ეუთოს სავსე ოპერაციებიდან, ვინც დაეხმარა ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის სტრატეგიულ საპოლიციო საქმეთა განყოფილებას, წინამდებარე გზამკვლევის შემუშავებაში, ფასეული ინფორმაციის მიწოდებისა და დოკუმენტის სამუშაო ვერსიების გადახედვის სახით. ასევე, მსურს მადლობა გადავუხადო ჩვენს კოლეგებს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისიდან, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და მისი განხორციელებისათვის შესაბამისი ცოდნის გაზიარებისთვის ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის შესახებ.

2016 წელს, გერმანიის და 2017 წელს, ავსტრიის ხელმძღვანელობის პირობებში, ეუთომ მტკიცედ დაუჭირა მხარი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ინიციატივის განხორციელებას მის მონაწილე ქვეყნებში. წინამდებარე გზამკვლევის გამოქვეყნება შეუძლებელი იქნებოდა, მათი მხარდაჭერის გარეშე.

ლამბერტო ზანიერი

ეუთოს გენერალური მდივანი

დღევანდელი სამართალდამცავი სამსახურები, მეტად კომპლექსური გამოწვევების წინაშე დგანან ვიდრე ოდესმე. ამავდროულად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საზოგადოების მოთხოვნა პოლიციის მიმართ, ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით. ამ მზარდი გამოწვევების პასუხად, უკანასკნელ წლებში, განვითარდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP). მოდელი წარმოადგენს, არა მხოლოდ ისეთი ტრანსნაციონალური საფრთხეების გამოვლენისა და კონტროლისძიებების დაგეგმვის თანამედროვე მიდგომას, როგორცაა ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული, არამედ შესაძლებელია მისი ყოველდღიურ პროაქტიურ დაგეგმვასა და პოლიციის მართვაში გამოყენება. მკაცრი ზომებისა და საბიუჯეტო შეზღუდვების პირობებში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, სამართალდამცავი სფეროს მენეჯერებისათვის, უზრუნველყოფს შესაბამის ინსტრუმენტებს, რათა პრიორიტეტები და საპოლიციო რესურსები სათანადოდ გადანაწილდეს.

გზამკვლევი ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას 4 ძირითადი თვალსაზრისით განიხილავს: 1. განსაზღვრავს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას, როგორც თანამედროვე (საპოლიციო) სამართალდამცავი მიდგომის პოპულარიზაციის (ხელშეწყობის) კონცეფციას, ეუთოს ტერიტორიაზე 2. მოიცავს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისას, ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვან საკითხებს. 3. გზამკვლევი მოიცავს მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საკითხს, რის შედეგადაც იქმნება სტრატეგიული და ოპერატიული საინფორმაციო პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისას. 4. გზამკვლევი წარმოადგენს პრაქტიკული რეკომენდაციები ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციული სტრუქტურებისთვის, ასევე მინიმალური სტანდარტები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები ანალიტიკური დეპარტამენტებისათვის.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა ოპერატიული ინფორმაციის ანალიზს სამართალდამცავი სამსახურების ბირთვად აქცევს. სხვა თანამედროვე საპოლიციო მოდელელებთან შედარებით, იგი ერთმანეთთან აახლოებს კრიმინალური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე სამართალდამცავი ანალიტიკოსებისა და მენეჯერებისგან მოითხოვს ახალ უნარებსა და კომპეტენციებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოს ინსტრუმენტებით, რათა მათ გააუმჯობესონ სამართალდამცავი სამსახურების პროფესიონალიზმი, საქმიანობის ხარისხი და ეფექტურობა და მაქსიმალურად გაზარდონ მათი რესურსების მართვა, რაც შედეგად გამოიღებს საზოგადოების გაზრდილ ნდობას და მიზანმიმართულ ღონისძიებებს საზოგადოების წინაშე მდგარი საფრთხეების წინააღმდეგ.

რასა ოსტრავსკაიტე

ტრანსნაციონალური საფრთხეების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის კოორდინატორი, ეუთოს სამდივნო.

რეზიუმე

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) სამართალდაცვითი საქმიანობის თანამედროვე მიდგომაა. თავდაპირველად იგი 1990-იან წლებში, გაერთიანებულ სამეფოში დაინერგა და ძირითადად მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებოდა. ბოლო წლების იმედისმომცემმა შედეგებმა, სამართალდამცავ სამსახურებს უბიძგა, რომ პროაქტიური ანალიტიკური მეთოდოლოგია, როგორც ყოვლისმომცველი ბიზნეს მოდელი, პოლიციის მართვის ყველა სფეროში დაენერგათ. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) ფოკუსირდება მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებასა და შეფასებაზე, ანალიზის განსაზღვრული პროცესის მეშვეობით, რაც გარდაიქმნება სტრატეგიული და ოპერატიული ანალიზის პროდუქტად, რომელიც ემსახურება გაუმჯობესებული, ინფორმაციაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას.

თანამედროვე სამართალდამცავი სამსახურები ორი მთავარი გამოწვევის წინაშე დგანან, დანაშაულის მზარდი კომპლექსურობა და მისი ტრანსნაციონალური ბუნება, ასევე ფინანსების სწორ გადანაწილებასთან დაკავშირებით - „ ე.ი. „მეტის კეთება ნაკლებით“. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) მოდელი ამ გამოწვევებს ანალიზზე დაფუძნებული პრიორიტეტების ხაზგასმითა და გამოვლენით პასუხობს, რასაც მოჰყვება ამოცანების და ხელმისაწვდომი რესურსების განაწილება განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში განხილულია არამხოლოდ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია, არამედ შემოთავაზებულია მისი განხორციელების პრაგმატული ინსტრუმენტები. ეს მოიცავს ყოველდღიურ საპოლიციო საქმიანობას, პროაქტიურ სტრატეგიულ დაგეგმვასა და ოპერატიულ სამოქმედო გეგმებს, ისევე, როგორც მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტებს. გარდა ამისა, ეს გზამკვლევი განმარტავს, თუ როგორ შეუძლია ILP-ს მნიშვნელოვნად შეავსოს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა და ამავედროულად იმოქმედოს, როგორც ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაციის (VERLT) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურმა ინსტრუმენტმა.

ოპერატიული ინფორმაციის ანალიზს ILP მოდელში, სხვა თანამედროვე საპოლიციო მოდელებთან შედარებით, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც სამართალდამცავი სამსახურებისგან გაძლიერებულ და ზოგჯერ ახალ ანალიტიკური უნარებსა და კომპეტენციებს მოითხოვს. ILP-ის პროაქტიური, შორსმჭვრეტელი მიდგომა ასევე ეყრდნობა სამართალდამცავი სამსახურების მენეჯერების ანალიტიკოსებთან მუშაობის და ანალიტიკური პროდუქტების გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში გამოყენების უნარს. შესაბამისად, ILP-ის დანერგვისა და განხორციელებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება სამართალდამცავი უწყებების, მაღალი და საშუალო მმართველი რგოლის და მენეჯერთა გადამზადება/ტრენინგზე.

კვლევამ ცხადყო, რომ ILP-ის სრულფასოვანი დანერგვისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაღალი და საშუალო მმართველი რგოლის პოლიტიკური მხარდაჭერა, ინფორმირებულობა და მათ მიერ ვალდებულების აღება. გზამკვლევი ასევე აღწერს ILP-ის წარმატებით დანერგვისთვის საჭირო სხვა წინაპირობებს, მათ შორისაა: სამართალდამცავი ორგანოების უწყებათაშორისი თანამშრომლობის საკითხი; ამოცანების დასახვის მკაფიო მექანიზმები; „აუცილებელია ცოდნა“ კულტურის ტრანსფორმაცია „აუცილებელია გაზიარება“ კულტურად; ინფორმაციის მიმოცვლს უზრუნველსაყოფად საინფორმაციო საკომუნიკაციო არხების არსებობა; ანალიტიკური მონაცემთა ბაზები და გამოცდილი ანალიტიკოსები; და ILP-ის მხარდამჭერი შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურები.

ILP-ის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად მისი განხორციელება უნდა მოიცავდეს ანალიტიკური პროდუქტების შესახებ უკუკავშირსა და შეფასებას, ისევე როგორც ხელმძღვანელობის მიერ მუდმივ მონიტორინგსა და ხარისხის კონტროლს.

წინამდებარე გზამკვლევაში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვისას, სამართალდამცავი სამსახურების მიერ ადამიანის უფლებების და მონაცემთადაცვის პრინციპების პატივისცემა და დაცვის აბსოლუტური ვალდებულება, არაერთხელ არის ხაზგასმული. მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოყენება მუდმივად მკაცრ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების საშუალებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული და გადამწყვეტილების მიღების გამჭვირვალე პროცედურებით, ILP სამართალდამცავი სამსახურების მართვის ანგარიშვალდებულების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და მისი განხორციელების ზოგად ჩარჩოს ეუთოს მთელ ტერიტორიაზე. გზამკვლევი არ ეხება ILP-ის განხორციელების ტექნიკურ დეტალებს, რითაც ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, მოდელი მათი ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩოების შესაბამისად, მოარგონ ეროვნულ საჭიროებებსა და გარემოებებს.

მადლიერების ნიშნად

ეუთოს ტრანსნაციონალურ საფრთხეთა დეპარტამენტს სურს მადლობა გადაუხადოს არნარ ჯენსონს, გზამკვლევის პროექტის მენეჯერს, წინამდებარე პუბლიკაციის შემუშავებასა და შექმნაში შეტანილი წვლილისთვის. ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების, შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციებისა და ეუთოს აღმასრულებელი სტრუქტურების საპოლიციო სფეროს გამორჩეულ ექსპერტთა ჯგუფმა წვლილი შეიტანა გზამკვლევის შექმნაში წერილობით ინფორმაციის მოწოდებითა და ვენაში გამართულ ექსპერტთა ორდღიან სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობით, რომელიც ეძღვნებოდა გზამკვლევის გადახედვას. TNTD/SPMU აღიარებს და აფასებს, გზამკვლევის შემუშავების პროცესში, შემდეგი პირების მიერ მოწოდებულ უალრესად ფასეულ რჩევებსა და შეტანილ წვლილს:

გიორგი ალადაშვილი, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველო;

რობერტო არიერი, შეფასებისა და განათლების ოფისის სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, იტალია;

ლინა ანონი, მრჩეველი გენდერულ საკითხებში, გენდერული საკითხების სექცია, ეუთოს სამდივნო;

პერო ბოჟოვიჩი, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ინფორმაციის შეგროვების/სახელმწიფო გამოძიებისა და დაცვის სააგენტო, ბოსნია და ჰერცეგოვინა;

მარის ჩურო, სტრატეგიული ანალიტიკოსი / ევროპოლის სტრატეგიული ანალიზის გუნდი, ევროპოლი;

ანდერს დანიელსენი, საპოლიციო საქმეთა ოფიცერი, TNTD/SPMU, ეუთოს სამდივნო;

ლოტა ეკვალი, მრჩეველი გენდერულ საკითხებში, გენდერული საკითხების განყოფილება, ეუთოს სამდივნო;

ნინო გახარია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი, საქართველო;

ჯონ გუსტავსონი, უფროსი მრჩეველი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, ეუთოს მისია კოსოვოში;

იოჰანეს ჰეილერი, მრჩეველი ანტიტერორისტულ საკითხებში, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, ODIHR;

ხესუს ერნანდეს ალვარესი, ანალიტიკოსი, ეროვნული პოლიცია, ესპანეთი;

ირის ჰატერი, ოპერატიული და სტრატეგიული ინფორმაციის ანალიზის განყოფილება, ფედერალური კრიმინალური პოლიცია, ავსტრია;

ადრიან ჯეიმსი, პორტსმუთის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კვლევების ინსტიტუტის კრიმინალური გამოძიების უფროსი ლექტორი;

ერიკ იოჰანსენი, პოლიციის მრჩეველი, სამოქალაქო დაგეგმვისა და ქცევის შესაძლებლობები, ევროპის საგარეო მოქმედებათა სამსახური;

ივან იოკიჩი, უფროსი ინსპექტორი / კრიმინალური ანალიზის დეპარტამენტი, პოლიციის დირექტორატი, მონტენეგრო;

მაქსიმ კლეპოვი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რუსეთის ფედერაცია;

ნენად კოსტადინოვიჩი, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სერბეთის რესპუბლიკა;

დეან ლაზაროსკი, სტრატეგიული ანალიზის განყოფილების უფროსი, კრიმინალური ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ბიურო, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია;

ანრეი მუნტიანი, პროგრამის უფროსი ოფიცერი, ეუთოს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორის ოფისი, ეუთოს სამდივნო;

სუსანა ნალტაკიანი, ეროვნული პროგრამის ოფიცერი, ეუთოს ოფისი ერევანში;

ტარიკნდიფი, ანალიტიკოსი და მკვლევარი, კონფლიქტის პრევენციის ცენტრი, ეუთოს სამდივნო;

მარუა ოსალივანი, მრჩეველი საპოლიციო საკითხებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, ეუთოს მისია სკოპიეში;

სედა ოზ იილდიზი, დირექტორი, უსაფრთხოების მეცნიერებათა ინსტიტუტი, პოლიციის აკადემია, თურქეთი;

ჰანს-იურგენ პეხტლი, დირექტორის მოადგილე, კრიმინალური ანალიზის ქვედირექტორატი, ინტერპოლის გენერალური სამდივნო, ლიონი, საფრანგეთი;

მარკ რებერი, უფროსი მრჩეველი საპოლიციო საკითხებში, პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაცია;

იორგ როზემანი, უფროსი სუპერინტენდანტი, კრიმინალური გამოძიების დირექტორატი, რაინიშ ბერგიშერ კრეისის რეგიონის პოლიციის რაიონული სამმართველო, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, გერმანია;

მატი სელიაკი, კრიმინალური პოლიციის დირექტორატი, გენერალური პოლიციის დირექტორატი, სლოვენია;

ბიორდი შეჰუ, სპეციალისტი / ანალიტიკოსი, ანალიზისა და კრიმინალური ინფორმაციის დირექტორატი, მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის გენერალური დირექტორატი, სახელმწიფო პოლიცია, ალბანეთი;

საიმონ სმიტი, უფროსი ინსპექტორი, ეროვნული კონტრტერორისტული საპოლიციო საქმიანობის სათავო ოფისი, პრევენციული პროგრამის ხელმძღვანელი, გაერთიანებული სამეფო;

ტორსტენ სტოდეიკი, ეუთოს სამდივნოს TNTD/SPMU-ს ხელმძღვანელის მოადგილე;

მარკო ტეშეირა, პროგრამის ოფიცერი, განხორციელების მხარდაჭერის განყოფილება, ორგანიზებული დანაშაულისა და უკანონო ტრეფიკინგის ფილიალი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, UNODC;

ადრიანა ტოსტონ დიესი, კაპიტანი, სამოქალაქო გვარდია, ესპანეთი;

პერ ვადედი, ეროვნული ოპერაციების დეპარტამენტი, შვედეთის პოლიცია;

დოქტორი ირინ ვინტერი, ხელმძღვანელი, ოპერატიული და სტრატეგიული კრიმინალური ანალიზის განყოფილება, ფედერალური კრიმინალური პოლიცია, ავსტრია;

მაიკა ვურმბოიკი, პროექტის ასისტენტი, TNTD/SPMU, ეუთოს სამდივნო;

შესავალი

კონტექსტი და დასაბუთება

ტრადიციული საპოლიციო საქმიანობის მოდელები ხასიათდება რეაქტიური მიდგომით, რაც იწვევს სირთულეებს თანამედროვე რისკებთან და საფრთხეებთან გამკლავებისას, აგრეთვე ახალ კრიმინალურ საფრთხეებზე რეაგირებისას, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის მობილობისა და მიგრაციის ზრდით, სწრაფი ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო ცვლილებებით, საქონლისა და სერვისების თავისუფალი მიმოქცევისა და შემოსავლის უთანასწორო ზრდით. ბოლო წლებში ტერორიზმის გამომწვევმა ძალადობრივმა ექსტრემიზმმა და რადიკალიზაციამ (VERLT), ისევე როგორც ტერორისტულმა ინციდენტებმა გამოავლინეს, ყველა დონის მონაცემებისა და ინფორმაციის (ანალიტიკური) გაზიარების, დაკავშირებისა და ცენტრალურად გაანალიზების საჭიროება, ეროვნული კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებისა და უეთოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) შემუშავებულ იქნა, როგორც პასუხი აღნიშნულ მზარდ გამოწვევებზე პროაქტიური საპოლიციო მიდგომის ხელშეწყობითა და ნახალისებით, ტრადიციული, რეაქტიური საპოლიციო მოდელის შევსების გზით. იგი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ისევე როგორც რესურსების უკეთ გამოყენებისა და მიზანმიმართულად პრიორიტეტული ამოცანების გამოვლენისა და გადაჭრის ეფექტური ინსტრუმენტი გამოდგა. ILP-ის პროაქტიური და მომავალზე ორიენტირებული მიდგომა ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციას, შემცირებას, აღკვეთას. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, კი მნიშვნელოვანია რელევანტური ინფორმაციისა და მონაცემების სისტემატური შეგროვება და ანალიზი, რომელსაც მოსდევს ანალიტიკური ანგარიშების შექმნა. ამ საფუძველზე, შესაძლებელია ინფორმირებული და მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება, რესურსების მიმართვა უსაფრთხოების ყველაზე აქტუალური პრობლემების, საფრთხეების, დანაშაულის ტიპებისა და დამნაშავეების მიმართ. გარდა ამისა, დამტკიცდა რომ, ILP ეფექტური და მდგრადი ინსტრუმენტია ტერორიზმისა და VERLT-ის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის სტრატეგიული პოლიციის საკითხთა განყოფილებამ (TNTD/SPMU) შეიმუშავა წინამდებარე გზამკვლევი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ, რაც გულისხმობს მისი მანდატის გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოების მხარდაჭერას შესაძლებლობების გაძლიერების, პროფესიონალიზმის გაუმჯობესების, პოლიციის განვითარებისა და რეფორმების მხარდაჭერის, მათ შორის გზამკვლევის¹ შემუშავების გზით. წინამდებარე გზამკვლევის შექმნა, 2016 წლის 9-10 ივნისს, ქ. ვენაში გამართულ პოლიციის ექსპერტთა ყოველწლიური შეხვედრის (APEM) შედეგია, რომლის განხილვის თემა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა გახლდათ.

1 ეუთოს მულტიმომქმედი საბჭო, გადაწყვეტილება No. 1049. „ეუთოს სტრატეგიული ჩარჩო პოლიციისთან დაკავშირებული საქმიანობისთვის“ (PC.DEC/1049, ვენა, 2012 წლის 26 ივლისი).

APEM-ის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო, ეუთოს ILP კონცეფციის საერთო ცნების და ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებისთვის, ამ თემაზე, გზამკვლევის შემუშავების საჭიროების მიგნება. 2016 წელს, ეუთოს გერმანიის ხელმძღვანელობამ, და 2017 წელს ეუთოს ავსტრიის ხელმძღვანელობამ, ისევე როგორც ეუთოს გენერალურმა მდივანმა, ნათლად გამოხატეს ILP კონცეფციისა და მისი განხორციელების შემდგომი ხელშეწყობისადმი მტკიცე ინტერესი და მხარდაჭერა, რომლის საწყისი გახდა TNTD/SPMU-ისთვის ეუთოს ILP სახელმძღვანელოს შემუშავების დავალება.

წინამდებარე გზამკვლევის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილებას, ამიტომ ეფექტიანად იქნა გამოყენებული, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების, ასევე რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უკვე შესწავლილი საკითხები და ინფორმაცია. გზამკვლევაში წარმოდგენილი მასალა მოიცავს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC), გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის (UNDPKO), ინტერპოლის (INTERPOL), ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ((EEAS) და ევროპოლის (Europol) მიერ დამუშავებულ ინფორმაციას.

ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან (ILP) დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტები, ფორმალური ინსტრუქციები, ეროვნული სახელმძღვანელოები და სხვა წერილობითი მონაცემები ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების ხელისუფლებებისაგან და ეუთოს სავსე ოპერაციებიდან შეგროვდა. OSCE/UNODC-ის ერთობლივი საინფორმაციო ფურცელი ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ, რომელიც 2016 წლის აპრილში ეუთოს პოლიციის ექსპერტთა ყოველწლიური შეხვედრისთვის (APEM) გამოქვეყნდა, გამოყენებულ იქნა, როგორც ეუთოს ILP მოდელის საფუძველი. იგი წარმოდგენილია გზამკვლევის ქვეთავში 7.1. როგორც ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებში ILP კონცეფციის განხორციელების შესაძლო ჩარჩო.

ეუთოს ყველა მონაწილე სახელმწიფო და ეუთოს აღმასრულებელი სტრუქტურები, ისევე როგორც რიგი რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები მოწვეულნი იყვნენ, რათა გადაეხედათ დოკუმენტის სამუშაო ვერსიებისთვის და შეეტანათ საჭირო ინფორმაცია. 2016 წლის დეკემბერში, ქ. ვენაში გამართულ ორდღიან სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 30-მდე ნომინირებულმა ექსპერტმა, რომელთაგან 15-მა წერილობით წვლილი შეიტანა გზამკვლევის შედგენის პროცესში.

გზამკვლევის 7.1. ქვეთავში რეკომენდებული ეუთოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) მოდელის თეორიული ჩარჩო ეფუძნება პროფესორ ჯერი ჰ. რატკლიფის აკადემიურ კვლევას, რომელიც წარმოდგენილია მის 2016 წლის წიგნში „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა“². პროფესორი რატკლიფი ყველაზე სმირად ციტირებული მეცნიერია ამ სფეროში. 2016 წელს, სამმა საერთაშორისოდ აღიარებულმა მკვლევარმა წარადგინა კვლევა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ, ეუთოს პოლიციის ექსპერტთა ყოველწლიურ შეხვედრაზე (APEM)³. დოქტორი ადრიან ჯეიმსი მონაწილეობდა

2 Ratcliffe (2016).

3 ეს მეცნიერები არიან: დოქტორი ადრიან ჯეიმსი, პორტსმუთის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კვლევის ინსტიტუტის უფროსი ლექტორი და მკვლევარი. დოქტორი ელკე დევრო, ლიდეინის უნივერსიტეტის უსაფრთხოებისა და გლობალური ურთიერთობების ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი და კრიმინალისტი; და, დოქტორი მონიკა დენ ბური, ავსტრალიის, სიდნეის მაკუორის უნივერსიტეტის უსაფრთხოებისა და კრიმინოლოგიის დეპარტამენტის ადვოკატ პროფესორი და Research and Consultancy SeQure-ის დირექტორი.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში. მან გადახედა დოკუმენტს და წერილობით კომენტარების სახით, აკადემიური მოსაზრებები წარადგინა.

ეუთო-ს ILP-ის ერთიანი ცნების ჩამოყალიბების პროცესში საჭირო გახდა ლინგვისტური გამოწვევების გადალახვა, რადგან სიტყვა „intelligence“ არ გადმოსცემს ერთსა და იმავე მნიშვნელობას სხვადასხვა ენაზე. მაგალითად, ILP კონცეფციის ინგლისური ენიდან რუსულზე თარგმნამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული დისპარმონია. სიტყვა „intelligence“ ჩვეულებრივ, რუსულ ენაზე, შეზღუდული წვდომის მქონე მონაცემებსა და ინფორმაციას აღნიშნავს, რომელსაც უსაფრთხოების სამსახურები და სხვა უფლებამოსილი უწყებები ფლობენ, მათ შორის უფლებამოსილი (პასუხისმგებელი) პოლიციის ქვედანაყოფები. ამავდროულად, სიტყვა „intelligence“ ინგლისურ ენაზე ნიშნავს ყველა სახის გაანალიზებულ მონაცემსა და ინფორმაციას, რომელიც შემუშავებულია და ხელმისაწვდომია სამართალდამცავი სამსახურებისთვის. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მითითებისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს არსებული ენობრივი დისპარმონია და აღვნიშნოთ, რომ ამ სახელმძღვანელოში „intelligence“ მოისაზრებს სიტყვის ამ უკანასკნელ მნიშვნელობას, კერძოდ, გაანალიზებულ მონაცემებსა და ინფორმაციას.

მიზანი და დამატებითი ღირებულება (Added Value)

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP), ეუთოში, ახალ თემას არ წარმოადგენს. ორგანიზაციის ზოგიერთი სავალდებულო ოპერაცია, უკვე ახორციელებს ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების მხარდაჭერას, ILP-ის ან მისი გარკვეული კომპონენტების დანერგვაში. მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს მონაწილე ქვეყნებში, ILP-ის ნაწილობრივმა ან სრულმა დანერგვამ დადებითი შედეგები მოიტანა, მაინც გამოვლინდა განსხვავებები ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მნიშვნელობაში, მიდგომაში და განხორციელების გზებში.

გზამკვლევის მიზანია ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) ჩარჩოს, როგორც მისი ძირითადი კომპონენტების განმარტება და ჩამოყალიბება, რათა შესაძლებელი გახდეს ILP-ის თანმიმდევრული გაგება და განხორციელება ეუთოს ტერიტორიაზე. დოკუმენტის მიზანია, გახდეს პრაქტიკული ინსტრუმენტი პოლიტიკის შემქმნელებისთვის, სამართალდამცავი გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და ანალიტიკოსებისთვის, პოლიციის პროფესიონალიზმის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. გზამკვლევი შეიცავს ILP-ის განხორციელების კარგი პრაქტიკის რიგ პრაქტიკულ მაგალითებს, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლის ეროვნულ გარემოებებზე მორგება შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ გზამკვლევი გამიზნულია პოლიტიკის შემქმნელების, მაღალი თანამდებობის პირებისა და სამართალდამცავი სამსახურების ხელმძღვანელებისთვის, იგი ასევე სასარგებლოა სამართალდამცავი და სასწავლო დაწესებულებისთვის, უნივერსიტეტებსა და აკადემიური წრეებისთვის.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ, მრავალფეროვანი აკადემიური და თეორიული ლიტერატურა არსებობს, ისევე როგორც ტექნიკური სახელმძღვანელო მასალების სპექტრი – ILP მოდელის ცალკეულ კომპონენტებზე. მაგ.: UNODC-ის ტექნიკური სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩამოთვლილია

ბიბლიოგრაფიაში და ეროვნული დონის სახელმძღვანელოები. წინამდებარე გზამკვლევი აღნიშნული მასალის გარკვეულ ნაწილს აერთიანებს, რითაც აკმაყოფილებს მოთხოვნას ზოგადი ILP მიდგომის სახელმძღვანელოზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ჩარჩო, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებისა და პარტნიორების მიერ თანამშრომლობისთვის. დოკუმენტი კომპლექსურია და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ მოიცავს როგორც თეორიულ ჩარჩოს, განსაზღვრებებს, მოდელის ძირითად ცნებებსა და კომპონენტებს, ისე ILP-ის განხორციელების პრაქტიკულ პრეზენტაციას, ინფორმაციის ანალიზს, საფრთხეების შეფასებას, გადაწყვეტილების მიღების და საორგანიზაციო სტრუქტურებს.

უსაფრთხოების კომპლექსური კონცეფციის შესაბამისად, ეუთო განიხილავს ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვას, როგორც უსაფრთხოების განუყოფელ ელემენტს. ეუთოს მონაწილე ქვეყნებმა აღიარეს, რომ უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელია ადამიანის უფლებების ხარჯზე, და ორივე მათგანი წარმოადგენს ინკლუზიურ და ურთიერთგამძლიერებელ მიზანს. შესაბამისად, უსაფრთხოების გამოწვევების გამკლავებისკენ მიმართული სამართალდაცვითი ღონისძიებები ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავსებადია ადამიანის უფლებებთან. აქედან გამომდინარე, გზამკვლევის ცალკეული თავი ეთმობა სამართლებრივ მოსაზრებებს, ადამიანის უფლებებისა და მონაცემების დაცვას ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) კონცეფციის და მისი პრაქტიკული განხორციელების წარმოსადგენად.

გზამკვლევის სტრუქტურა

1-ელ თავში ყველაზე მეტად გავრცელებული საპოლიციო მოდელების მცირე მიმოხილვის შემდეგ, გზამკვლევის მე-2 და მე-3 თავები ყურადღებას ამახვილებენ ILP-ის განსაზღვრებების და კონცეფციის საკვანძო ტერმინების განმარტებაზე. მე-4 თავი მოკლედ მიმოიხილავს თანამედროვე სამართალდაცვით სფეროში ILP-ის გამოყენების ძირითად პოტენციურ უპირატესობებს. მე-5 თავი, რომელიც შემუშავებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ (ODIHR), წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და მონაცემების დაცვის საკითხებს ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან მიმართებით. ინფორმაციის დამუშავების პროცესი, მათ შორის ანალიზი, ILP-ის ქვაკუთხედი და წინამდებარე გზამკვლევაში გადწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, მე-6 თავი განმარტავს ინფორმაციის დამუშავების ციკლის ექვს ტრადიციულ საფეხურს და მათ გამოიყენება ILP-ის კონტექსტში.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) კონცეპტუალური მოდელის, ადამიანის უფლებების, მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის ანალიზის პროცესის მიმოხილვის შემდეგ, მე-7 თავში ყურადღება გამახვილებულია ILP-ის საოპერაციო და პრაქტიკულ განხორციელებაზე. თავი იწყება ეუთოს მიერ შემოთავაზებული ILP მოდელის გრაფიკული წარმოდგენით და მისი თითოეული, ძირითადი კომპონენტის მოკლე აღწერით, შემდეგი ქვეთავი წარმოადგენს გარკვეულ გამოწვევებს და ILP-ის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკვანძო მოთხოვნებს. გამომდინარე იქიდან, რომ ანალიზისა და შეფასების ანგარიშები და სხვა ანალიტიკური პროდუქტები, სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენენ, გზამკვლევი

განმეორებით აღნიშნავს ანალიზსა და გადანყვეტილების მიღებას შორის კავშირის მნიშვნელობას. შესაბამისად, ცალკე ქვეთავი ეთმობა ILP-ის ფარგლებში, გადანყვეტილების მიღების პროცესს, რომელსაც მოჰყვება – 7.4. და 7.5. ქვეთავები ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ანალიტიკური მექანიზმებისა და დეპარტამენტების სტრუქტურების შესახებ, ასევე ამოცანების დასახვისა და გადანყვეტილების მიღების შეხვედრების შესახებ. აღნიშნული ქვეთავები მოიცავენ მკაფიო წინადადებებს, თუ როგორ უნდა იქნეს პრაქტიკაში ILP გამოყენებული ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე სამართალდამცავი უწყებების მმართველი რგოლის გადმოსახედიდან. მე-7 თავი სრულდება სასწავლო საჭიროებების მოკლე მიმოხილვით, ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაში ჩართული ყველა დონისთვის.

გზამკვლევის ბოლო, მე-8 თავში განხილულია ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განხორციელების პრაქტიკული მაგალითები, ILP-ის როლი მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში და მაგალითისთვის წარმოდგენილია ორი, ფართოდ აღიარებული საფრთხის შეფასების მეთოდოლოგია, კერძოდ, „ევროკავშირის მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასება“ (SOCTA) და „Sleipnir-ის საფრთხისა და რისკის შეფასების ინსტრუმენტი“. ამას მოჰყვება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) შესახებ პრეზენტაცია ხუთ ქვეყანაში: გაერთიანებული სამეფო, გერმანია (ჩრდილოეთ-რან ვესტფალია), შვედეთი, სერბეთის რესპუბლიკა და მონტენეგრო. ასევე, მე-8 თავი შეისწავლის, თუ როგორ შეუძლია ILP-ის გაზარდოს სამართალდამცავი სფეროს ორი დამატებითი მიმართულების ეფექტურობა და ეფექტიანობა, კერძოდ, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა, კონტრტერორისტული საქმიანობა და ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზმის (VERLT) წინააღმდეგ ბრძოლა.

1. თანამედროვე საპოლიციო მოდელები

ხშირად, მკვლევარებისა და სამართალდაცვითი ლიტერატურის მიერ მიღებულია, სამართალდაცვითი მეთოდოლოგიების ხუთ საპოლიციო მოდელად დაყოფა, ესენია: ტრადიციული საპოლიციო საქმიანობა, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა, პრობლემაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა, კომპიუტერული სტატისტიკის საპოლიციო საქმიანობა და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP). თითოეულ მოდელს განსხვავებული სტრატეგიული მიზნები და ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს, ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში კი, შეუძლიათ შეაესონ სხვა მოდელები.

მაგალითად, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა ხშირად გამოიყენება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განმტკიცებისთვის, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს მკაფიო პროცესებს, კომუნიკაციის პროცედურებსა და მართვის სტრუქტურებს მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებისთვის, ანალიზსა და გავრცელებას⁴. არსებობს კიდევ ერთი მაგალითი, რომელშიც ტრადიციული რეაქტიური მოდელი დომინანტურია, თუმცა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა გამოიყენება მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ზემოხსენებული, პირველი ოთხი მოდელის საერთო ფაქტორს წარმოადგენს ორიენტირება ადგილობრივ ტერიტორიებსა და საფრთხეებზე, რაც ხშირად განსაზღვრულია, როგორც თანამედროვე სამართალდამცავი სამსახურების სისუსტე.

გლობალური მასშტაბით მიმდინარე სწრაფმა ცვლილებებმა, მნიშვნელოვნი გავლენა იქონიეს კრიმინალური გარემოს ფორმირებაზე, ისევე როგორც ზემოხსენებული მეთოდოლოგიების არასრულფასოვნებამ, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულზე უფრო სერიოზული საფრთხეების გამკლავების კუთხით. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა ერთადერთი მეთოდია, რომელიც უნიკალურად პოზიციონირებს, რათა ეფექტურად ებრძოლოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს.⁵

ტრადიციული საპოლიციო საქმიანობა ყველაზე ფართოდ გავრცელებული საპოლიციო მოდელია და სამართალდაცვითი საქმიანობის სტანდარტულ სტილს წარმოადგენს. იგი აღნიშნავს რეაქტიურ და ინციდენტებით მართულ სტილს, რომელშიც პოლიციის ოფიცრები რეაგირებენ დანაშაულებსა და სერვისის მოთხოვნებზე ან გამოძახებებზე. ზარებზე პასუხი, საჩივრების მიღება, დასახლებულ პუნქტებში პატრულირება პატრულირება და მიმდინარე ან მომხდარი დანაშაულების ძიება ტრადიციული საპოლიციო საქმიანობის არსს წარმოადგენს. თუ ტრადიციული საპოლიციო მოდელი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებზე

4 იხ. ქვეთავი 8.3. ILP-სა და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შესახებ.

5 Bell and Congram (2013: 19).

რეაგირებას მიიჩნევს პოლიციის ამოცანად, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა ყურადღებას ამახვილებს პარტნიორობაზე პოლიციასა და საზოგადოებას შორის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხების პროაქტიური გადანყვეტისათვის.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მიზანია პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობის ჩამოყალიბება და კომუნიკაციის გაუმჯობესება. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო პროგრამების ფარგლებში იქმნება სათემო ფორუმები სხვადასხვა სათემო ჯგუფებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში, განიხილება საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხები, მათ შორის დანაშაულის შემცველი ინციდენტები და ტენდენციები.

პრობლემაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობაში ძირითადი ფოკუსი „პრობლემის“ იდენტიფიკაციასა და ანალიზზეა მიმართული და არა დანაშაულის, საქმის, გამოძახების ან ინციდენტის გამოვლენაზე. მოდელი ყურადღებას ამახვილებს, დანაშაულისა და უსაფრთხოების საკითხების მიღმა არსებულ პრობლემაზე. პრობლემების გადანყვეტის მიზნით, პოლიცია პროაქტიურად აყალიბებს პრევენციულ სტრატეგიებს, ნაცვლად მათ საზიანო შედეგებზე რეაგირებისა.

კომპიუტერული სტატისტიკის მოდელი (CompStat) არის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა „ჩატეხილი ფანჯრის თეორიის“ საფუძველზე, სადაც მსხვილი დანაშაულების აღსაკვეთად, მცირე დანაშაულებზე ხდება რეაგირება. უკვე ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მეთაურები, პასუხისმგებლები არიან წინასწარ, შემუშავებული ადგილობრივი ღონისძიებების განხორციელებაზე.

2. მონაცემები, ცოდნა და ანალიტიკური ინფორმაცია

ვიდრე ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობას (ILP) განვიხილავთ, აუცილებელია რამდენიმე ძირითადი კონცეფციის განსაზღვრა. სიტყვა „intelligence“ მრავალ განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე, კულტურაზე, ენაზე და ტრადიციებზე. ამ გზამკვლევის შედგენისთვის განხილულ ლიტერატურაში, „intelligence“-ის გამოყენება მიუთითებდა, რომ იგი ერთდროულად აღნიშნავს მეთოდოლოგიას, სტრუქტურას, პროცესსა და პროდუქტს. მიმოხილვამ ასევე გამოავლინა, = ურთიერთსაზიარებელი შეხედულებები და ისეთი ცნებების მნიშვნელობის ბუნდოვანი გაგება, როგორებიცაა _ მონაცემები, ინფორმაცია და ცოდნა.

„დანაშაულის ანალიზის ტერმინოლოგიის ბუნდოვანება და სარეთო გაგების ნაკლებობა, აფერხებს სააგენტოებს შორის ინფორმაციის გაზიარებას ტერმინოლოგიისა ბუნდოვანება და საერთო გაგების ნაკლებობა, აფერხებს სააგენტოებს შორის ინფორმაციის გაზიარებას.“

- პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაცია (2002)

შესაბამისად, აუცილებელია ამ კონცეფციების მნიშვნელობაზე მუშაობა და მათი განმარტება. აკადემიური ლიტერატურის, UNODC-ის, UNDPKO-ის, ინტერპოლისა და ევროკავშირის (EU) მიერ დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, აღნიშნული გზამკვლევი ზემოთ ჩამოთვლილი კონცეფციების ზოგადად მიღებულ განსაზღვრებებს იყენებს:⁶


მონაცემები - ეს არის ინტერპრეტაციის გარეშე, დაუმუშავებელი/ნედლი დაკვირვებები და გაზომვები. მაგალითები მოიცავს კრიმინალური ქმედებების მახასიათებლებს, რომელთა რაოდენობრივი დაანგარიშება მარტივია, როგორცაა დანაშაულის შესახებ ანგარიშები, დანაშაულის სტატისტიკა, მონაცემთა ბაზები დამნაშავეთა შესახებ.

ინფორმაცია - ეს არის კონტექსტში განხილული და მნიშვნელობის მქონე მონაცემები, რაც მას მეტ რელევანტურობასა და დანიშნულებას ანიჭებს.

ცოდნა - ეს არის ინტერპრეტირებული და გააზრებული ინფორმაცია. როდესაც ადამიანი მისი სიბრძნით ავსებს ინფორმაციას, იგი ცოდნად იქცევა.

⁶ „მონაცემების“, „ინფორმაციის“, „ცოდნის“ და „ანალიტიკური ინფორმაციის“ განმარტებები ეფუძნება: Ratcliffe (2016: 70-74); UNODC, სისხლის სამართლის ინფორმაციის ანალიზი – სახელმძღვანელო ანალიტიკოსებისთვის (ვენა: გაეროს პუბლიკაცია), (2011a: 1); ინტერპოლი „კრიმინალური ინფორმაციის ანალიზი“ საინფორმაციო ფურცელი (2014); და ევროკავშირის საბჭო, „საბჭოს 2006 წლის 18 დეკემბრის ჩარჩო გადანაცვლებზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ სამსახურებს შორის ინფორმაციისა და ანალიტიკური პროდუქტების გაცვლის გამარტივების შესახებ“. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი (2006/960/JHA, 2006 წლის 18 დეკემბერი).

ანალიტიკური ინფორმაცია (*Intelligence*) - ეს არის მონაცემები, ინფორმაცია და ცოდნა, რომლებიც შეფასებული, გაანალიზებული და წარმოდგენილია გადაწყვეტილების მიღების ფორმატში ქმედებაზე ორიენტირებული მიზნებისთვის.



სურათი 2.1 მონაცემებიდან ანალიტიკურ ინფორმაციამდე (*intelligence*).

წყარო: Ratcliffe (2016: 72).

პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში, საცხოვრებლის ქურდობის შემთხვევები შეტანილია პოლიციის მონაცემთა ბაზაში. ეს კომპიუტერული ჩანაწერები არის **მონაცემები**. როცა დანაშაულის ანალიტიკოსი იყენებს და ამუშავებს ამ მონაცემებს, რუკაზე ასახავს მათ და რაიონში საცხოვრებლის ქურდობის ახალ სქემებს გამოავლენს, მონაცემები იქცევა **ინფორმაციად**. არსებითად, დაუმუშავებელი მონაცემები იძენს საკმარის მნიშვნელობას დანაშაულის სქემის გამოვლენისთვის. შემდეგომში, თუ ანალიტიკოსი აღნიშნულ ინფორმაციას დეტექტივს გაუზიარებს და მასთან განიხილავს, მათ მიერ საკითხის გააზრება და გათვითცნობიერება იქცევა **ცოდნად**.

დამატებითი მონაცემების და ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზების შემდეგ, დეტექტივი და ანალიტიკოსი გონებაში ქმნიან სურათს, რომელსაც უდავოდ ნაკლოვანებები გააჩნია, თუმცა ამასთან საკმარისი შემადგენლობა აქვს ჰიპოთეზების გასამყარებლად და დასკვნების გამოსატანად. დანაშაულის ანალიტიკოსი და დეტექტივი, ადგენენ ოპერატიული ანალიზის ანგარიშს და წარუდგენენ უფროს ოფიცერს. იგი გადაწყვეტს საცხოვრებლის ქურდების წინააღმდეგ მიზანმიმართული გამოძიების და თვალთვალის ოპერაციის წამოწყებას ანალიტიკოსისა და დეტექტივისგან მიღებული **ანალიტიკური ინფორმაციის (intelligence)** საფუძველზე.

შენიშვნა: გამარტივებული და პერფორმირებული მაგალითი Ratcliffe (2016: 73-74).

3. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განსაზღვრა

მე-2 თავში განხილული ცნებების მსგავსად, ირკვევა, რომ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განსაზღვრასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ზოგი მიიჩნევს, რომ ILP გულისხმობს საფრთხის შეფასების ჩატარებას, ზოგი კი ამტკიცებს, რომ იგი ეხება მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების პროცესს. ამ მოსაზრებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ILP-ის ჩარჩოსა და კომპონენტებში, თუმცა არ მოიცავს მის კომპლექსურ კონცეფციას. ILP-ის მრავალფეროვანი ინტერპრეტაციები გასაგებია, რადგან იგი შედარებით ახალი და განვითარებადი კონცეფციაა⁷. ბოლო პერიოდამდე, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა ძირითადად ორგანიზებული დანაშაულისა და მიძიმე დამნაშავეთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა. დადებითმა გამოცდილებამ დაარწმუნა პროფესიონალები და აკადემიური წრის წარმომადგენლები უფრო ინკლუზიური ILP ჩარჩოს აუცილებლობაში, რომელიც აერთიანებს ყველა საპოლიციო საქმიანობას, ე.ი. ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის მქონე პროცესის მოდელი ზოგადად საპოლიციო საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად მოვლენების ასეთმა განვითარებამ ანალიზი დაახლოვა საპოლიციო საქმიანობასთან, რითაც ხაზი გაუსვა ანალიტიკოსებსა და სამართალდამცავ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას. აღნიშნული, გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან ანალიზის პოტენციალისა და ანალიზის შედეგების გამოყენების ცოდნას მოითხოვს. შესაბამისად, ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაში ინტეგრირებული პროაქტიური საპოლიციო საქმიანობა ანალიტიკოსების, პოლიტიკის შემქმნელების, სამართალდამცავი მენეჯერებისა და სხვ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან ახალ უნარებსა და კომპეტენციებს მოითხოვს. ეს მნიშვნელოვანი საკითხი დამატებით განხილულია მე-7 თავში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გზამკვლევი ხელს უწყობს ILP-ის აქტიურ გამოყენებას პოლიციის ყველა შესაძლო სფეროში, ქვეყნების უმეტესობა, რომლებიც უკვე ახორციელებენ ILP-ს, ზღუდავენ მის ოპერატიულ გამოყენებას სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის, განმეორებითი დანაშაულის ჩამდენების ცხელი წერტილების და საზოგადოების შეშფოთების გამომწვევ დანაშაულების მიმართულებით.

7 გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა ოფისმა პირველად 1993 წელს შემოიღო ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფცია, თუმცა ის პირველად კენტის პოლიციის მიერ იქნა ამოქმედებული. 9/11-ის შემდეგ, აშშ-ის სამართალდამცავმა სამსახურებმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდოლოგიად ILP აირჩიეს. დამატებითი იხილეთ: Peterson (2005).

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, ანალიზსა და ანალიტიკურ ინფორმაციას საკვანძო საკითხად მიიჩნევს ობიექტური გადაწყვეტილების მიღების ჩარჩოში, რომლისთვისაც პრიორიტეტულია დანაშაულის ცხელი წერტილები, მრავალჯერადი დანაშაულის მსხვერპლნი, განმეორებითი დანაშაულის ჩამდენნი და კრიმინალური დაჯგუფებები. იგი ხელს უწყობს დანაშაულისა და ზიანის შემცირებას, შეფერხებასა და პრევენციას სტრატეგიული და ტაქტიკური მენეჯმენტის, განხორციელებისა და აღსრულების საშუალებით.“

– Ratcliffe (2016: 66).

ILP გულისხმობს ანალიტიკური ინფორმაციისა და დაგეგმილი ოპერატიული საპოლიციო საქმიანობის მართვის ჩარჩოს, რომელშიც ანალიტიკური ინფორმაცია წარმოადგენს პრიორიტეტების, სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების განსაზღვრის საფუძველს დანაშაულისა და უსაფრთხოების სხვა საფრთხეების პრევენციასა და აღკვეთაში. იგი ასევე მოიცავს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას პოლიციის ოპერატიული მუშაობასა და ქმედებებზე, ხელმისაწვდომი ადამიანის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების.⁸

მიუხედავად იმისა, რომ ILP არის ტრადიციული და ფართოდ გავრცელებული რეაგირებაზე დაფუძნებული პოლიციის ალტერნატივა, მისი მიღება და პროაქტიური აზროვნების ჩამოყალიბება, პრიორიტეტები და დაგეგმვა არ შეცვლის იმ ფაქტს, რომ პოლიციას ყოველთვის მოუწევს (რეაქტიური რეაგირება) იყოს რეაქტიური უსაფრთხოების ინციდენტებზე და ჩადენილ დანაშაულებებზე. ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სადაც შესაბამისი ინფორმაცია სისტემატურად გროვდება, ზიარდება და განალიზდება განსაზღვრული სტრატეგიის, პრიორიტეტებისა და მიზნების შესაბამისად, ILP მიზნად ისახავს დაეხმაროს სამართალდამცავ მენეჯერებს მიიღონ ინფორმირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები - არა მხოლოდ სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრისას, არამედ, ასევე ყოველდღიური ოპერატიული დაგეგმვის პროცესში. ამ მხრივ, ILP შეავსებს ტრადიციულ, რეაქტიურ საპოლიციო საქმიანობას.

8 სერბეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმძღვანელო ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის მოდელის შესახებ (2016: 16).


ILP არის „ზემოდან ქვემოთ“ გადანყვეტილების მიღებისა და მართვის მოდელი, თუმცა მის ფარგლებში კომუნიკაცია და ინფორმაციის გაზიარება ორმხრივია. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა საპირისპიროა, იგი ტიპური „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომაა, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს ნდობა და რწმენა პოლიციასა და საზოგადოებას შორის.

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა
_ ეს არის დანაშაულთან ბრძოლა, რომელიც
ხელმძღვანელობს ანალიტიკური ინფორმაციის
ეფექტური შეგროვებითა და ანალიზით. მას აქვს
პოტენციალი გახდეს 21-ე საუკუნის ყველაზე
მნიშვნელოვანი სამართალდაცვითი ინოვაცია.“

– Kelling and Bratton (2006: 5).


4-ი მოდელი (*intent* (განზრახვა), *interpret* (ინტერპრეტირება), *influence* (გავლენა) and *impact* (ზემოქმედება)) სასარგებლოა ILP კონცეფციის ფარგლებში, საკვანძო მოთამაშეებს შორის როლების და ურთიერთობების განმარტებისთვის: კრიმინალური გარემო, დანაშაულის ანალიტიკოსი და პოლიციის გადანყვეტილების მიმღები პირი. ILP-ის სრული პოტენციალის გამოვლენისთვის აუცილებელია ოთხივე “I” კომპონენტის არსებობა და სათანადო ფუნქციონირება. მოდელი ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის ანალიზსა და გადანყვეტილების მიმღებ პირებს შორის ურთიერთკავშირზე. გადანყვეტილების მიმღები პირები (მენეჯერები) დავალებებს აძლევენ, რეკომენდაციას და ხელმძღვანელობას უწევენ დანაშაულის ანალიტიკოსებს. 4-ი მოდელის თანახმად: 1.i_ გადანყვეტილების მიმღები პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი განზრახვები ნათელი და გასაგებია; 2.i ანალიტიკოსებმა უნდა უზრუნველყონ კრიმინალური გარემოს ინტერპრეტირება; 3-i ანალიტიკოსებმა გავლენა უნდა მოახდინონ გადანყვეტილების მიმღებ პირებზე ანალიზის შედეგების მეშვეობით 4.i ამ დასკვნებზე დაყრდნობით, გადანყვეტილების მიმღებმა პირებმა გავლენა უნდა მოახდინონ კრიმინალურ გარემოზე სტრატეგიული მენეჯმენტის, სამოქმედო გეგმების, გამოძიების და ოპერაციების მეშვეობით, როგორც ნაჩვენებია სურათზე 3.1.⁹

9 UNODC-ის ტექნიკურ სახელმძღვანელოში, საზღვარსგარეთ ანალიტიკოსისა და ანალიტიკური პროდუქტების ცენტრალური როლი გადანყვეტილების მიღების პროცესში. იხ. UNODC-ის ამოცანების დასახვის მოდელი (2011b:5).



სურათი 3.1 4-ი მოდელი განზრახვა, ინტერპრეტირება, გავლენა და ზემოქმედება

წყარო: Ratcliffe (2016: 83).



4. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის უპირატესობები

კერძო სექტორსა და ბიზნეს საზოგადოებაში, ინფორმაცია და ანალიტიკური პროდუქტები კონკურენტული უპირატესობის შექმნის საკვანძო ფაქტორებია. ამ მხრივ, სამართალდაცვითი სფერო არ განსხვავდება, რადგან ინფორმაციაზე, ცოდნასა და ანალიტიკაზე დაფუძნებული სტრატეგიული უპირატესობა ზრდის სამართალდამცავების ეფექტურობას, დანაშაულის და უსაფრთხოების ინციდენტების აღკვეთის, კრიმინალური დაჯგუფებებისა და ქსელების ჩამოშლის კუთხით. თუმცა, ინფორმაციის, ცოდნისა და ანალიტიკური პროდუქტების ფლობა არ არის საკმარისი. ანალიტიკური ინფორმაციის მართვისა და მაქსიმალური სარგებლის მიღებისთვის, საჭიროა, შესაბამისი ჩარჩო ან მოდელი, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მონაცემებისა და ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოყენება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მკაცრი დაცვით განხორციელდეს.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, (ILP) პოლიციის მართვის პროაქტიურ მიდგომას უზრუნველყოფს. ბოლო წლებში, მსოფლიოს რიგ ქვეყნებში, მძიმე და ტრანსნაციონალური საფრთხეების გამკლავების კუთხით, ILP მოდელის წარმატებულმა გამოყენებამ, მისი კონცეფციის გაფართოება გამოიწვია. თუ აქამდე იგი ძირითადად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისთვის გამოიყენებოდა, ახლა იგი ჩამოყალიბდა ზოგად სტრატეგიულ ბიზნეს მოდელად ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მრავალფეროვანი საპოლიციო პრობლემების გადაჭრისთვის. მსგავსი განვითარება, პირდაპირ კავშირშია ისეთი სამართალდაცვითი მეთოდების ძიებასთან, რომლებიც პოლიციას საშუალებას მისცემენ, შეზღუდული რესურსებისა და ანგარიშვალდებულების გაზრდილი მოთხოვნის პირობებში, უფრო მეტად იმოქმედოს დანაშაულზე, დანაშაულის განვითარებასა და კრიმინოგენული ვითარებით გამოწვეულ საზოგადოებრივ ზიანზე.

უკანასკნელ წლებში, საპოლიციო სერვისებზე მოთხოვნამ და რეაგირებაზე საჭიროებამ გადააჭარბა პოლიციისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს, რითაც წამოიჭრა პრიორიტეტების გამოვლენისა და სამართალდაცვითი რესურსების გაზრდილი ეფექტიანობის მოთხოვნა. ამავდროულად, ანგარიშვალდებულების პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოლოდინები გაიზარდა. ILP წარმოადგენს ზემოხსენებული საკითხების გადაჭრის საშუალებას, ვინაიდან იგი გვთავაზობს საზოგადოების წინაშე არსებული საფრთხეების ანალიზის, შეფასების და დასაბუთების ინსტრუმენტებს, ასევე მეტად დოკუმენტირებულ, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს და უზრუნველყოფს არსებული რესურსების ყველაზე მწვავე საკითხებისაკენ გადამისამართებას.

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) დანერგვის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ. შეზღუდული ბიუჯეტისა და რესურსების პირობებში, თითოეულმა პასუხისმგებელმა პირმა და ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს პრიორიტეტები მთავარი პრობლემების გადანყვეტისთვის. პრიორიტეტების გამოვლენის ხელშეწყობისთვის, აუცილებელია, გადანყვეტილების ფაქტებსა და ანალიტიკურ ინფორმაციაზე დაფუძნება, რომელთა საწყისი ინფორმაციაა. ILP ნვლილს შეიტანს რესურსების ოპტიმალურ განაწილებასა და ძალისხმევის სტრუქტურირებული ფორმით მიმართვაში. ამგვარად, უფრო ადვილი იქნება გამკლავება კანონისა და წესრიგის დამრღვევ პირებთან.“

– ვეროკავშირის საგარეო მოქმედებათა სამსახური (2013: 12).

ის ფაქტი, რომ ბოლო ტერორისტულ ინციდენტებთან კავშირში მყოფი ძალადობრივი ექსტრემისტები, მათ შორის ტერორისტები და კრიმინალები, რომლებიც მარტო მოქმედებენ (lone wolves) დარჩნენ სამართალდამცავი სამსახურების რაღარს მიღმა, გამოკვეთს პროაქტიური მიდგომის საჭიროებას და შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის კომპლექსურ და ცენტრალიზებულ ანალიზს და გაზიარებას. იმის გაცნობიერება, რომ ტერორისტული თავდასხმები და სხვა მძიმე ინციდენტების ადრეული ამოცნობა შეუძლებელია რეაქტიური საპოლიციო საქმიანობით, ILP-ის საერთაშორისო სამართალდაცვით ავანსცენაზე აყენებს. ეს აშკარა გახდა 9/11 თავდასხმების შემდეგ, რაც აისახა აშშ-ის 9/11 კომისიის მიგნებებში, რომელთა თანახმად ტერორისტულ თავდასხმებამდე, სხვადასხვა დონეზე, არსებობდა ცალკეული ინფორმაცია, თუმცა იმის გამო, რომ სააგენტოებმა ვერ შეძლეს მათი გაზიარება, ვერ მოხდა მათი კოორდინირება სრულფასოვანი სურათის მისაღებად.



რისკის გამოვლენა და მართვა, თანამედროვე საპოლიციო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის სათანადო ILP მიდგომა იძლევა რისკების, მათ შორის ძირითადი მოვლენების, გეოგრაფიული არეალის, დანაშაულის ტიპების, სოციალური ზიანის, კრიმინალებისა და კრიმინალური ქსელების იდენტიფიცირებისა და შეფასების საშუალებას.

„კვლევები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად პოლიციის ოფიცრების რაოდენობის ზრდა შეიძლება ეფექტური იყოს, მეტად სასარგებლოა ოფიცრების გადანაწილების განხილვა. შემთხვევითი პატრულირება არ არის ეფექტური ტაქტიკა დანაშაულის შესამცირებლად, მაშინ როცა უფრო მიზანმიმართულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ტაქტიკას (ILP-ის ძირითადი კომპონენტი) შეუძლია უფრო დიდი გავლენა მოახდინოს დანაშაულის პრევენციაზე, ვიდრე ოფიცრების მიერ ცხელ ნერტილებზე დახარჯულ დროს.“

– Ratcliffe (2016: 139).

ILP მოდელი აერთიანებს მკაფიო ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურებს, მათ შორის გადანაწილების მიღებისა და ამოცანების გაცემის მექანიზმებს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე. ასევე, იგი მოიცავს თანამშრომლობისა და კომუნიკაციის განსაზღვრულ პროცესებს, ადგილობრივ სამართალდამცავ უწყებებში და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატში.

თანამედროვე სამართალდამცავებისთვის, მონაცემებისა და ინფორმაციის გაუმჯობესებული მენეჯმენტი ILP-ის მნიშვნელოვანი უპირატესობაა. თანამედროვე საინფორმაციო ერაში, ILP მოდელი უზრუნველყოფს შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის მიზანმიმართულ შეგროვებას, განსაზღვრული პოლიტიკის, სტრატეგიის, ამოცანებისა და პრიორიტეტების შესაბამისად.



5. სამართლებრივი მოსაზრებები, ადამიანის უფლებები და მონაცემთა დაცვა

ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, როგორც პოლიციის მოკლევადიანი დაგრძელებადიანი ეფექტიანობისთვის, ისე ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისთვის. სამართალდამცავი სამსახურების ქმედებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ადამიანის უფლებებს, გრძელვადიან პერსპექტივაში კონტრპროდუქტიულია, რადგან ისინი ძირს უთხრიან საზოგადოების ნდობას პოლიციის მიმართ. მაგალითად, ეთნიკური პროფილირება¹⁰, დისკრიმინაციული და ამასთან არაეფექტურია, რადგან მისი გვერდის ავლა ადვილად არის შესაძლებელი. კრიმინალურ ჯგუფებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ გამოაშკარავება იმ ადამიანების დაქირავებით, რომლებიც არ შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ პროფილებს. ალტერნატიული, ლეგიტიმური პროფილირების ტექნიკა, რომელიც ეფუძნება კრიმინალური ქცევის კონკრეტულ მტკიცებულებებსა და ანალიტიკურ ინფორმაციას ნაცვლად დისკრიმინაციულ ვარაუდებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პოლიციის უფრო ეფექტური ინსტრუმენტი.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) ადამიანის უფლებათა დაცვის ჩარჩოში

ადამიანის უფლებათა ნორმები დადგენილია ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, სტანდარტებით და ხელშეკრულებებით, როგორებიცაა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR) და ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (ECHR)¹¹. ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოებმა, ადგილობრივ დონეზე, უნდა შექმნან სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიციის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობებია, ინდივიდების ისეთი ქმედებებისგან დაცვა, რომლებიც მათ უფლებებს არღვევს, მათ შორის დანაშაულისა და ტერორიზმის შედეგად წარმოქმნილი ქმედებებისგან. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციისას, პოლიცია უნდა მოქმედებდეს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების

10 ეთნიკური პროფილირება საპოლიციო საქმიანობაში ნიშნავს, საპოლიციო უფლებამოსილების გამოყენებას ინდივიდების წინააღმდეგ მათი ეროვნების, ეთნიკურ წარმოშობის ან რელიგიასთან დაკავშირებულ სტერეოტიპული, ფართო და არაკვალიფიციურ ვარაუდების საფუძველზე.

11 ეუთოს ყველა მონაწილე სახელმწიფომ, გარდა წმინდა სავდრისა, მოახდინა ICCPR-ის რატიფიცირება და, შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეს წარმოადგინა. გარდა ამისა, ეუთოს 47 მონაწილე სახელმწიფო ასევე არის ევროპის საბჭოს წევრი და, შესაბამისად ECHR-ის ხელშეკრულებით მხარე. ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულების პირობა დადეს, რომელთა ხელშეკრულებით მხარეებიც არიან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. იხილეთ კონვენცია ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ, დასკვნითი აქტი (1975).

შესაბამისად. როგორც პოლიციის პროაქტიური ფორმა, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) ასევე მყარად უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა ჩარჩოს. დემოკრატიული საპოლიციო საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად ILP ადამიანის უფლებების სრული პატივისცემით უნდა აძლიერებდეს პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.¹²

ადამიანის უფლებათა ზოგადი პრინციპები

იმისათვის, რომ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იყოს და არ იქონიოს საზიანო გავლენა ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე, ILP-ის შემუშავებისა და განხორციელებისას, ეროვნულ დონეზე, რიგი ფუნდამენტური პრინციპები უნდა დაკმაყოფილდეს:

ILP-ის განხორციელების სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ჩარჩო: პირველ რიგში, ILP უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო და ზუსტ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მისი განხორციელების პირობებს და წარმოადგენენ ადეკვატურ გარანტიებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ იგი არ შელახავს ადამიანის უფლებებს. ILP-ის ეროვნული ჩარჩო უნდა მოიცავდეს კანონებსა და რეგულაციებს, რომლებიც ნათლად და ზუსტად განსაზღვრავენ შესაბამისი უწყებებისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს და მოთხოვნებს, რომლებიც დაცული უნდა იქნეს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციისა და ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და გაზიარებისას. ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა, რეგულაცია, პოლიტიკა და პრაქტიკა, სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთოს ვალდებულებებს. გარდა ამისა, აუცილებელია ILP-ში ჩართული სამართალდამცავი ოფიცრების სათანადო მომზადება, აღნიშნული კანონებისა და რეგულაციების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გამოყენებისათვის.

ადამიანის უფლებათა შეზღუდვის კანონიერება, აუცილებლობა და თანაზომიერება: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის რიგი უფლებები, როგორცაა წამების აკრძალვა და სამართლიანი სასამართლოს უფლების გარკვეული ელემენტები, აბსოლუტურია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები გარკვეულ უფლებებზე შეზღუდვის დანესების შესაძლებლობას ქმნიან, თუმცა, მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული პარამეტრების ფარგლებში¹³. შესაბამისად, ILP საქმიანობასთან დაკავშირებით დაწესებული ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დადგენილია კანონით, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის, რომელიც კონკრეტულად არის მითითებული ადამიანის უფლებათა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებში და ამ მიზნის თანაზომიერია: ე.ი. უფლება არის წესი, ხოლო შეზღუდვა გამონაკლისი. ჩარევა მიზნის მიღწევისთვის ყველაზე ნაკლებად ინტრუზიულ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

12 ეუთო (OSCE) (2008b).

13 უფლებები, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს, მოიცავს გადაადგილების თავისუფლებას, პირადი ცხოვრების უფლებას, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და საკუთარი რელიგიის ან მრწამსის გამოხატვის თავისუფლებას.

თანასწორობა და არადისკრიმინაცია: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, მათი იურისდიქციის ფარგლებში, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები უზრუნველყონ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად¹⁴. დემოკრატიულ საზოგადოებაში, კანონის წინაშე თანასწორობის დაცვა და დისკრიმინაციის აკრძალვა, პოლიციის არსებითი მოვალეობაა¹⁵. შესაბამისად, ინფორმაციისა და ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზისას, სამართალდამცავებმა თავი უნდა შეიკავონ დისკრიმინაციული პროფილირებისგან. მსგავსად, როდესაც საქმე ეხება ანალიტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადანყვეტილების მიღებას, ხელმძღვანელობამ სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს კონკრეტული სოციუმის მიმართ გადაჭარბებული საპოლიციო ზედამხედველობისგან, რაც შეიძლება გაუტოლდეს დისკრიმინაციას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადანყვეტილებების განსხვავებულ გავლენას ქალებსა და მამაკაცებზე. შესაბამისად, მრავალფეროვნება და გენდერულად მგრძობიარე მიდგომა უნდა იყოს ჩართული ILP ყველა აქტივობაში, რომელიც თავის მხრივ, საჭიროებს რეგულარულ გადახედვას ნებისმიერი დისკრიმინაციული ზემოქმედების გამო.

სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, ნებისმიერ ადამიანს, რომლის უფლებები და თავისუფლებები ირღვევა, უზრუნველყოფს ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლებით და ასეთი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის კომპეტენტური სასამართლო, ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გადანყვეტის უფლებით¹⁶. ვინაიდან, ანალიზზე დაფუძნებულმა საპოლიციო საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრში პოტენციური ჩარევა, მნიშვნელოვანია ILP საქმიანობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დარღვევების სანინალმდებო ეფექტური და ხელმისაწვდომი, სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობა. გარდა ამისა, აუცილებელია მყარი შიდა და გარე ზედამხედველობის მექანიზმების არსებობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ILP-ში ჩართული ინსტიტუციების და რიგითი სამართალდამცავი ოფიცრების ანგარიშვალდებულება. მსგავსი მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს აღმასრულებელი ან/და საკანონმდებლო ზედამხედველობის კომიტეტების მიერ განხორციელებულ კონტროლსა და ზედამხედველობას და გარე დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და გასაჩივრების მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპენსაციის შესაძლებლობებს. სასამართლო კონტროლი ისეთ აქტივობებზე, როგორიცაა ფარული ინფორმაციის შეგროვება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ILP-ის ბოროტად გამოყენებისგან შესაბამისი გარანტიების უზრუნველსაყოფად.

14 ეუთო (OSCE) (1989), ევროპაშიუსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენელთა, ვენის შეხვედრის, 1986 წლის, შემავაშებელი დოკუმენტი. შეხვედრა გაიმართა კონვენციის შემდგომი მოქმედების შესახებ საბოლოო აქტის დებულებების საფუძველზე.

15 ეუთო (2008b).

16 გაეროს გენერალური ასამბლეა, „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR). No 14668, გაეროს ხელშეკრულებების სერია, ტ. 999 (ნიუ-იორკი: 16 დეკემბერი 1966): მუხლი 2 (3).

პირადი ცხოვრების უფლება

მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვებამ, ისევე როგორც დამუშავებამ, ანალიზმა და გაზიარებამ, რაც ILP-ის განუყოფელი ელემენტებია, შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს არამხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვაზე, არამედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე.

ICCPR-ის მე-17 მუხლი ადგენს, რომ არავინ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ ან უკანონო ჩარევას პირად ცხოვრებაში, ოჯახში, საცხოვრებელ ადგილსა თუ პირად კორესპონდენციაში. ყველას აქვს კანონიერი დაცვის უფლება ასეთი ჩარევისგან¹⁷. იმისათვის, რომ ჩარევა არ იყოს „თვითნებური“ ან „უკანონო“ ზემოხსენებულის მსგავსი, რიგი მოთხოვნები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული: ჩარევა უნდა იყოს კანონით დადგენილი, რომელიც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს ICCPR-ის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს; ჩარევა უნდა იყოს გონივრული, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით¹⁸. ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა დაადასტურეს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილის, მიმონერისა და ელექტრონული კომუნიკაციის დაცვის უფლება და სახელმწიფოს მიერ პიროვნების ცხოვრებაში შეუსაბამო ან თვითნებური ჩარევის თავის არიდების აუცილებლობა.¹⁹

სხვადასხვა ღია და ფარული მეთოდებით ინფორმაციის შეგროვება, პირადი ცხოვრების უფლებაში სხვადასხვა ხარისხის ჩარევას წარმოადგენს. ზოგიერთი ასეთი მეთოდი, როგორცაა სპეციალური საგამოძიებო ტექნიკების გამოყენება და სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის კერძო ტერიტორიაზე ან სახლში თვალთვალი, კომუნიკაციის მოსმენა, ფარული აგენტებისა და ინფორმატორების გამოყენება, ისევე როგორც ანგარიშების ბაზაზე და სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა, უფრო დაწვრილებით განხილულია ეუთოს, ODIHR/TNTD-ის სახელმძღვანელოში, ადამიანის უფლებები კონტრტერორისტულ გამოძიებებში.²⁰

ამგვარი ღონისძიებების კანონიერებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლო, ან სხვა დამოუკიდებელი უწყების მიერ ეფექტური კონტროლის განხორციელებას, წინასწარი ნებართვის გაცემის, ზედამხედველობის, ან პოსტფაქტუმ განხილვის გზით. გარდა ამისა, ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სერიოზულ შემთხვევებში, და იმგვარად, რომ თანაზომიერნი იყვნენ გამოძიების საკითხის სერიოზულობასთან.²¹

საკითხი, რომელმაც მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო, არის კომუნიკაციების მასობრივი თვალთვალის ზემოქმედება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას არღვევს თვალთვალის სისტემები,

17 მსგავს დებულებას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესახებ შეიცავს ევროპის საბჭოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR) (4 ნოემბერი 1950): მუხ. 8.

18 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, CCPR-ის ზოგადი კომენტარი No. 16: მუხლი 17 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება), პირადი, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის და კორესპონდენციის საიდუმლოების პატივისცემის უფლება და ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა. (1988 წლის 8 აპრილი).

19 ეუთო, CSCE-ის ადამიანური განზომილების კონფერენციის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი (მოსკოვი, 1991 წლის 3 ოქტომბერი).

20 OSCE, ODIHR/TNTD (2013: 33-46). კერძოდ, ელექტრონული თვალთვალის სამართლებრივი და ტექნიკური ასპექტების შესახებ. აგრეთვე, იხილეთ, UNODC-ის, ელექტრონული თვალთვალის არსებული პრაქტიკა მიმდევარ და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებაში (2009).

21 ეუთო, ODIHR/TNTD (2013).

რომელიც ქვეყანაში ნებისმიერი პირის კომუნიკაციისა და მასობრივად მონაცემების თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა, თუნდაც იმ პირების, რომლებიც არ შედიან ოპერაციის თავდაპირველ დიაგნოზში, და როდესაც ასეთი ზომების გამოყენება ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, მკაცრი აუცილებლობის შეფასების გარეშე.²²

მიზანმიმართული თვალთვალისგან განსხვავებით, რომელიც ჩვეულებრივ, წინასწარ ექვს ეფუძნება და წინასწარ სასამართლო ან აღმასრულებელ კონტროლს ექვემდებარება, მასობრივი თვალთვალის პროგრამები არ იძლევა ინდივიდუალური შემთხვევის თანაზომიერების შეფასების საშუალებას ასეთი ზომების გამოყენებამდე. შესაბამისად, იგი არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსს.²³

მონაცემთა დაცვა

მონაცემთა დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ILP-ის მოდელისთვის. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, ორგანომ, რომელსაც ევალება ICCPR-ის შესრულების მონიტორინგი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება და შენახვა კომპიუტერებზე, მონაცემთა ბანკებსა და სხვა მონაცემთა ბაზებზე კანონით უნდა იყოს რეგულირებული. გარდა ამისა, აუცილებელია ქმედითი ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ადამიანის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ მოხვდეს მის მიღებაზე, დამუშავებასა და გამოყენებაზე არაუფლებამოსილი პირის ხელში²⁴. რიგი საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტები შეიცავს მონაცემთა დაცვის უფრო კონკრეტულ პრინციპებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული კონფიდენციალურობის უფლების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად. რიგი საერთაშორისო და რეგიონალური დოკუმენტები შეიცავენ მონაცემთა დაცვის უფრო კონკრეტულ პრინციპებს, რომელთა დაცვა აუცილებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სრული უზრუნველყოფის მიზნით.

მაგალითად, ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ მოითხოვს კონვენციის მხარეებს, უზრუნველყონ, რომ ავტომატურ დამუშავებას დაქვემდებარებული პერსონალური მონაცემები:

- მოპოვებულ და დამუშავებულ იქნეს სამართლიანად და კანონიერად;
- შენახულ იქნეს კონკრეტული და ლეგიტიმური მიზნებისთვის; არ იქნეს გამოყენებული ამ მიზნებთან შეუსაბამო გზით;
- იყოს მისი შენახვის მიზნის ადეკვატური, შესაბამისი და არა გადაჭარბებული;
- იყოს ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული;

22 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე Szabo and Vissy v. Hungary. განაცხადის No. 37138/14 (სტრასბურგი: 2016 წლის 12 იანვარი); და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე Roman Zakharov v. Russia. განაცხადის No. 47143/06 (სტრასბურგი: 4 დეკემბერი 2015 წ.).

23 გაეროს გენერალური ასამბლეა. "სპეციალური მომხსენებელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში, ბენ ემერსონი." გაეროს გენერალური ასამბლეისთვის წარდგენილი წლიური ანგარიში, 2014 წლის 23 სექტემბერი, A/69/397: პუნქტი 52. კონტრტერორისტული მიზნებისთვის მასობრივი ციფრული თვალთვალის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გაეროს გენერალური ასამბლეა, "სპეციალური მომხსენებელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში." გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიში, 2017 წლის 21 თებერვალი, A/HRC/34/61: 10-13.

24 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (აპრილი, 1988).

- ინახებოდეს ისეთი ფორმით, რომელიც მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა არა უმეტეს იმ ვადისა, რომელიც აუცილებელია მონაცემთა შენახვის მიზნისთვის.²⁵

გარდა ამისა, კონვენცია კრძალავს სენსიტიური მონაცემების ავტომატურ დამუშავებას, როგორცაა რასობრივი წარმოშობა, პოლიტიკური შეხედულებები, რელიგიური ან სხვა მრწამსი, ისევე როგორც ჯანმრთელობის, სექსუალური ცხოვრების ან ნასამართლობის შესახებ მონაცემების ავტომატური დამუშავება, ეროვნულ კანონმდებლობაში, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის გარანტიების გარეშე.²⁶ იგი ასევე ითვალისწინებს გარანტიებსა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირებისთვის, რომლებიც შენახული მონაცემების სუბიექტები არიან.²⁷

კონვენცია მკაცრ შეზღუდვებს ადგენს ზემოაღნიშნულის მსგავსი დებულებების ლიმიტირებაზე. ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი, დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორცაა სახელმწიფო უსაფრთხოება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან დანაშაულის აღკვეთა²⁸. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით „აუცილებლობა“ გულისხმობს დასახული მიზნის მიმართ თანაზომიერებას.

ეუთოს, ODIHR/TNTD-ის სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებები კონტრტერორისტულ გამოძიებებში, მიმოიხილავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს, რომელიც ეფუძნება ზემოთ მოცემულ პრინციპებს და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს ამ სფეროში.²⁹ ზემოთ ხსენებულით უნდა იხელმძღვანელონ ILP-ის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილე პოლიტიკის შემქმნელებმა და სამართალდამცავმა ოფიცრებმა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სხვა პოტენციური რისკები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და მონაცემთა დაცვა, ხელს უწყობს სხვა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ფართო სპექტრის განხორციელებას, როგორცაა: აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება და რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და ა.შ. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის შეგროვებამ, ანალიტიკურმა დამუშავებამ და გამოყენებამ შეიძლება პირდაპირ იმოქმედოს ადამიანის სხვა უფლებების დაცვაზე,

25 ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ, ევროპული ხელშეკრულებების სერია, No. 108 (სტრასბურგი: 1981 წლის 28 იანვარი): მუხლი 5. ევროპის საბჭოს ყველა 47 წევრი სახელმწიფო და, შესაბამისად, ასევე, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა კონვენციის მხარეა.

26 ibid. მუხ. 6.

27 ibid. მუხ. 8.

28 ibid. მუხ. 9.

29 ეუთო, ODIHR/TNTD (2013): 30-31. სხვა შესაბამისი ინსტრუმენტები მოიცავს, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას, რეზოლუცია 45/95, „ინსტრუქციები პერსონალური მონაცემების კომპიუტერიზებული ფაილების რეგულირებისთვის“. A/RES/45/95, 1990 წლის 14 დეკემბერი.

როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავისუფლებისა და პიროვნების უსაფრთხოების უფლება და წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის აკრძალვა.

მაგალითად, საზოგადოებრივი პროტესტის პირობებში, ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვების მიზნით, საპოლიციო საქმიანობისას, მასების მართვის ე.წ. “შეკავების” (Kettling) სტრატეგიის გამოყენება, რომელიც გულისხმობს მომიტინგეების ჯგუფის კორდონით გარშემორტყმას და რომლის დატოვებისას, მშვიდობიანი მომიტინგეები და გამგლელები, იძულებულნი არიან გაამჟღავნონ თავიანთი სახელები და მისამართები. აღნიშნული სტრატეგია არაერთხელ გახდა განხილვის საგანი იქიდან გამომდინარე, რომ მან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მშვიდობიანი შეკრების უფლების განხორციელებაზე³⁰. პირის დაკავება მისი თვალთვალის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის გამო, რომელიც არ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში თვითნებური ჩარევისგან ადეკვატურ დაცვას და არ ეფუძნება სხვა ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს საფუძვლიან ეჭვს, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა კონკრეტული დანაშაული ეწინააღმდეგება თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას.³¹

ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და გაზიარების მხრივ, მათ შორის ILP-ის ფარგლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აბსოლუტურად აკრძალულია წამებით მიღებული ინფორმაციის გამოყენება სასამართლო წარმოებაში. სასამართლოში მისი მტკიცებულება დაშვება არღვევს სათანადო პროცესის და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს³². იმ შემთხვევაშიც, თუ ინფორმაციის გამოყენება სასამართლო პროცესისთვის არ არის გამიზნული აკრძალულია წამების შედეგად ინფორმაციის შეგროვება, გაზიარება და მიღება.³³

ამ საკითხებთან დაკავშირებით, შემოფოთება განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია საზღვრგარეთ ზიარდება. მესამე ქვეყნის მიერ გაზიარებული, წამების შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, მაშინაც კი, თუ ინფორმაცია მხოლოდ ოპერატიული მიზნებისთვისაა მოპოვებული, შესაძლებელია მიმღები სახელმწიფო საერთაშორისოდ არამართლზომიერი ქმედებების ჩადენის თანამონაწილე გახადეს³⁴. ამრიგად, ILP-ის განხორციელებისას, უნდა არსებობდეს შესაბამისი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ უკანონო საშუალებებით მოპოვებული მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, იქნება ეს ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, არ გამოიყენება საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობების სანიხალმდეგოდ.

30 გაეროს გენერალური ასამბლეა. “სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებებზე მანია კიოი, დანართი, მისია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში.” გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიში, 2013 წლის 17 ივნისი, A/HRC/23/39/Add.1: პუნქტი 38.

31 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმე *Shimovolos v. Russia*, განაცხადის No. 30194/09 (სტრასბურგი: 2011 წლის 21 ივნისი)

32 იხ. გაეროს გენერალური ასამბლეა. “სპეციალური მომხსენებელი წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე, ზუან ე. მენდესი.” გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიში, 2014 წლის 10 აპრილი, A/HRC/25/60: პუნქტი 21.

33 *ibid.*: პუნქტი 73. იხ. აგრეთვე ეუთო და TNDT/ODIHR (2013: 28).


34 *ibid.* იხ. აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეა. “სპეციალური მომხსენებელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში, მარტინ შაინინი”. ანგარიში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის, 2009 წლის 4 თებერვალი, A/HRC/10/3: პუნქტები 55-57; და OSCE, ODIHR/TNDT (2013: 28-29).

ნ. ანალიტიკური პროცესი

ანალიტიკური პროცესი, რომელსაც ტრადიციულად „ანალიტიკურ ციკლს“ უწოდებენ, მოიცავს ექვს ფართოდ აღიარებულ სტანდარტულ საფეხურს, რომლებიც გამოიყენება ნედლი მონაცემებისა და ინფორმაციის, გარდასაკმენლად ქმედებაზე ორიენტირებულ დამატებით ღირებულების მქონე ანალიტიკურ პროდუქტად. საუკეთესო შემთხვევაში, პროცესი იწყება გადაწყვეტილებით ან დავალებით, რომელსაც ჯერ მოჰყვება დაგეგმვის ეტაპი, შემდგომ კი ანალიტიკოსები ერთვებიან ინფორმაციის და მონაცემების შეგროვებაში, რომლებიც უნდა შეფასდეს ოფიციალურად აღიარებული შეფასების სისტემის თანახმად (იხ. გვ. 35). მომდევნო ნაბიჯი თავად დამუშავების ეტაპია, რომელიც იწყება ხელმისაწვდომი მონაცემებისა და ინფორმაციის შეჯერებითა და სტრუქტურირებით, და მათი მონაცემთა ბაზაში შეტანით. შემდეგ ხდება მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზი, რომლის შედეგად, მიიღება ანალიტიკური პროდუქტი, რომელიც კლიენტს (მენეჯერი, გამომძიებელი და სხვები, ვინც ანალიტიკოსს დავალებას აძლევს ან ანალიტიკურ მხარდაჭერას მოითხოვს) და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ. ანალიტიკური პროდუქტი ფასდება კლიენტის მიერ, მისი საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. მიღებული უკუკავშირი კი, გამოიყენება არსებული პროდუქტის გასაუმჯობესებლად ან მომავალი მსგავსი პროდუქტებისთვის მეთოდოლოგიური რეკომენდაციის სახით.

ანალიტიკური ციკლი არა ექვსი საფეხურის სტატიკური მიმდევრობაა, არამედ მეტად დინამიკური პროცესია, სადაც სხვადასხვა ფაზები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ავსებს ერთმანეთს, რაც ანალიტიკოსის მიერ ანალიტიკური ციკლის სხვადასხვა საფეხურებზე გადასვლის აუცილებლობას აჩენს. ილუსტრაციაში 6.1. მოცემული ციკლი წარმოადგენს სტრუქტურასა და პროცესს, რომელიც თანმიმდევრული და იოლად გასაგებია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სტრატეგიული და ოპერატიული ანალიზის საწყისი პროცესი.³⁵

35 UNODC-მა გამოაქვეყნა რამდენიმე ტექნიკური სახელმძღვანელო, კრიმინალური ანალიტიკისა და ანალიტიკური პროცესის შესახებ, წინა ხაზზე მომუშავე პოლიციის ოფიცრებისთვის, ანალიტიკური ოფიცრებისთვის, ანალიტიკოსებისთვის და სამართალდამცავი სტრუქტურების მენეჯერებისთვის. იხ. www.unodc.org.



ილუსტრაცია 6.1 ანალიტიკური ციკლი

ანალიტიკური ციკლი, კონკრეტული პროდუქტის შექმნის მიზნით, მკაფიო დავალების გაცემით იწყება. თუმცა, ანალიტიკური პროცესი რამდენიმე განსხვავებულ დონეზე ხორციელდება და სშირად არ შემოიფარგლება ანალიტიკური ციკლით. ილუსტრაციაში 6.1. წარმოდგენილ ციკლთან ერთად, შესაძლოა აუცილებელი გახდეს ანალიტიკური მოთხოვნების სტრატეგიული შეფასების უფრო ფართო და მუდმივი პროცესის არსებობა. მიმდინარე შეფასება გამოავლენს უკვე არსებულ, ახალ საფრთხეებს და ანალიტიკურ ნაკლოვანებებს. იგი ხორციელდება სტრატეგიული პრიორიტეტების, პოლიტიკისა და მიზნების შესაბამისად. ეს პროცესი გამართულ და სტრუქტურირებულ ანალიტიკურ ორგანიზაციასა და სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებს (SOPs) მოითხოვს, რომლებიც ანალიტიკური ციკლისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფენ და განსაზღვრავენ მის მოსალოდნელ შემდეგებსა და შემდგომ მოქმედებებს. ანალიტიკური მოთხოვნების სტრატეგიული შეფასება, ისევე როგორც კრიმინალური ანალიტიკური ციკლი, ქვეყნის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს კვებავს ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი სტრატეგიული პრიორიტეტების ასახვით. აღნიშნული საკითხი მომდევნო თავშია დამატებით განმარტებული.

შემდეგ ქვეთავებში განმარტებულია ანალიტიკური ციკლის ძირითადი კომპონენტები და თითოეული საფეხურის მიზანი.

6.1 დავალება და დაგეგმვა

ანალიტიკური ციკლი იწყება მმართველი რგოლის გადანყვეტილებით, დაავალონ ანალიტიკოსებს ანალიტიკური პროდუქტის შექმნა, პრობლემის ან საკვლევი თემის შესახებ. ამ დავალების საფუძველზე, მმართველი რგოლი და ანალიტიკოსები მოილაპარაკებენ და შეთანხმდებიან ტექნიკურ დავალებაზე (TOR) _დოკუმენტზე, რომელიც ასახავს ანალიტიკური პროდუქტის ფარგლებს, ძირითად მიზნებს, შინაარსს

და ვადებს. TOR არის ანალიტიკური ციკლის ოფიციალური საწყისი ნერტილი.

ანალიტიკური პროდუქტის შესახებ, მკაფიო დავალების გაცემის და მიზნების შეთანხმების მნიშვნელობა ხშირად არასათანადოდაა შეფასებული. ანალიტიკოსებისთვის მკაფიო დავალების გაცემისთვის, სამართალდამცავი სფეროს მმართველი რგოლის წარმომადგენლებმა და გადანყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა იცოდნენ ანალიტიკური ინფორმაციის ანალიზის პოტენციალი და შეზღუდვები. ანალოგიურად, ანალიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, როგორ დაეხმარონ გამოძიებლებს, მმართველებს და გადანყვეტილების მიმღებ პირებს (კლიენტებს) მათზე მორგებული პროდუქტებისა და მიზანმიმართული რეკომენდაციების მიწოდებით. დავალების ფაზა, რომელსაც ზოგჯერ „გადაწყვეტილების მიღების ფაზას“ უწოდებენ, მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ანალიტიკოსებსა და კლიენტებს შორის. ისინი უნდა შეთანხმდნენ გამოძიების საგანზე, ამოცანებზე, მიზანზე, ფარგლებზე, ვადებსა და ანგარიშების ფორმაზე, მათ შორის ანალიტიკური პროდუქტის გავრცელებასა და მის მიმღებ პირებზე. ანალიტიკოსს, კლიენტის მოლოდინებსა და განზრახვაზე მკაფიო წარმოდგენა უნდა ჰქონდეს.

მნიშვნელოვანია, მსგავსი დავალებების პროექტივით აღქმა და მათი სხვადასხვა ნაბიჯების გულდასმით დაგეგმვა. კომპლექსურ პროექტებს შეიძლება მნიშვნელოვანი დრო და რესურსები დასჭირდეს. ტექნიკურ დავალებაზე დაყრდნობით, პროექტის მოქმედების სფეროს შესაბამისად, ანალიტიკოსმა პროექტის დეტალური გეგმა უნდა შეიმუშაოს, რომელიც მოიცავს შეთანხმებულ ამოცანებს, ფარგლებს და ვადებს. ისევე როგორც, აქტივობების თანმიმდევრობას და რესურსების ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელია დავალების წარმატებით შესრულებისათვის. აღნიშნული ეტაპი შეუცვლელია რადგან წარმართავს ინფორმაციის შეგროვებას და შემდგომ ანალიზს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროექტის გეგმა დამტკიცებული იყოს მმართველი რგოლის მიერ. პროექტის გეგმა ასევე უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო სამართლებრივ და მონაცემთა დაცვის საკითხებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ანალიტიკური პროექტის განხორციელებისას. კერძოდ, თუ საქმე ეხება პერსონალური მონაცემების გამოყენებას ან მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვების ფარულ მეთოდებს, დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპზე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო მოთხოვნები და შესაძლო შეზღუდვები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვება, გაზიარება და გამოყენება ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მკაცრი დაცვით.

მკაფიო დაგეგმვა გრძელვადიან პერსპექტივაში ზოგავს დროს და რესურსების ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა, რითაც გაუმჯობესებულ პროდუქტის ხარისხს ვიღებთ.³⁶ ასევე, იგი ამცირებს მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გაზიარებისა და დამუშავების შეუსაბამობას, ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებთან, რაც საფრთხეს უქმნის მთლიანი პროექტის წარმატებას. შესაბამისი დავალების გაცემით და დაგეგმვით, ანალიტიკურ პროდუქტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სტრატეგიული გეგმების შემუშავებას, როგორც მიმდინარე ისე მოსალოდნელი პრობლემების გამკლავების მიზნით.³⁷

36 იხილეთ შემდგომ ქვეთავებში 6.2 და 8.1
37 UNODC (2011b: 10-13).

სტრატეგიული შეფასება და ანალიტიკური მოთხოვნა

ანალიტიკური მოთხოვნები სათავეს იღებს სტრატეგიული შეფასების პროცესში. შეფასება სამართალდამცავ ორგანოებს უზრუნველყოფს მათ წინაშე მიმდინარე ან მომავალი საპოლიციო პრობლემების მიმოხილვით. ანალიტიკური ქვედანაყოფის / დეპარტამენტის / სააგენტოს მიერ მომზადებული ეს ვრცელი დოკუმენტი ასახავს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ სტრატეგიულ პრიორიტეტებს. დოკუმენტის მომზადება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპია.

დოკუმენტი ითვალისწინებს, სტრატეგიული შეფასების პროცესში გამოვლენილ, არსებულ და ახალ საფრთხეებს. არაფერი მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს გამოტოვებული. შემდეგ, დოკუმენტი განიხილება სტრატეგიულ ფორუმზე, სადაც საფრთხეები არსებული რესურსების კონტექსტში განიხილება. პრიორიტეტები რესურსებს შეესაბამება. ნებისმიერ საკონტროლო სტრატეგიაში შემავალი საფრთხეების რაოდენობა განისაზღვრება მათი მოგვარებითვის არსებული რესურსებით; სტრატეგიული ფორუმის მიერ, უმაღლეს პრიორიტეტად განსაზღვრული მიმართულებები საკონტროლო სტრატეგიის ნაწილი ხდება. ამით დგინდება საოპერაციო დღის წესრიგი, რომელსაც, თავის მხრივ, ზედამხედველობენ საშუალო რგოლის მმართველები, რომლებიც თითოეულ განსაზღვრულ პრიორიტეტზე, პირად პასუხისმგებლობას და ვალდებულებას იღებენ, რათა ჩამოაყალიბონ ამ საფრთხეების მართვის გეგმები.

კონტროლის სტრატეგია მაღალი ალბათობით მოიცავს ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი პრიორიტეტების ნაზავს იმგვარად, რომ შესაძლოა აერთიანებდეს ერთი შეხედვით, ერთმანეთთან კავშირის არმქონე მოვლენებს, როგორებიცაა საერთაშორისო ტერორიზმი, ქუჩაში ჩადენილი ყაჩაღობა და ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა. იგი უცვლელი რჩება შემდეგი სტრატეგიული შეფასების მომზადებამდე ან უფრო მნიშვნელოვანი საფრთხეების გამოვლენამდე და მათ მიმართ აღმასრულებელი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობამდე. შუალედში, რეგულარულ ოპერატიულ/ტაქტიკურ შეხვედრებზე წარმოდგენილი ოპერატიული/ტაქტიკური შეფასებები უზრუნველყოფს აღნიშნული პრიორიტეტების ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში შენარჩუნებას. ოპერატიული/ტაქტიკური შეხვედრები განიხილავს საშუალო რგოლის მმართველების მიერ დადგენილ ოპერატიულ გეგმებს და ქმნის ფორუმს ახალი საფრთხეების განსახილველად. ეს უზრუნველყოფს, მმართველების ორიენტირება მათი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იდენტიფიცირებულ საფრთხეებზე.

სტრატეგიულ შეფასებაში გამოვლენილი სხვა საფრთხეები არ უნდა იყოს უგულებელყოფილი მაშინაც კი, თუ არ არსებობს მათი დაუყოვნებლივ გადაჭრისთვის საკმარისი რესურსები; ისინი უნდა დაემატოს კონტროლის სტრატეგიას ანალიტიკური ინფორმაციის მოთხოვნის შესაქმნელად. სამართალდამცავი სამსახურების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა, მისი სამუშაო კონტროლის სტრატეგიით დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად წარმართოს. სამდივნოს ან ანალიტიკური დეპარტამენტის მოვალეობაა, ანალიტიკური ინფორმაციის მოთხოვნის გადახედვა და

შეფასება, თუ რამდენად იმსახურებს ადრე გამოვლენილი საფრთხეები უფრო მეტ ყურადღებას (შესაძლოა შესწორებების ან დამატებების სახით, კონტროლის ახალ სტრატეგიაში) ისევე როგორც, ნებისმიერი ახალი საფრთხის გამოვლენის მიზნით უწყვეტი შესწავლა.

6.2 შეგროვება და შეფასება

ანალიტიკური პროექტებისთვის ინფორმაციის შეგროვება რთული პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი მონაცემების შეგროვება გასაანალიზებელი თემ(ებ)ის ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ამავდროულად, ისინი უნდა მოერიდონ ინფორმაციით გადატვირთვას და არასაჭირო ან არაადეკვატური ინფორმაციის გამოყენებას. ამ ფაზისთვის, გადამწყვეტია ანალიტიკური პერსონალის მიერ, კონკრეტული შეგროვების ამოცანისთვის შერჩეული ყველა წყაროსა და უწყების არსებობის, რელევანტურობის, მისაწვდომობისა და საიმედოობის ცოდნა, ისევე როგორც, ნებისმიერი სამართლებრივი შეზღუდვისა და დაშვების მოთხოვნების ცოდნა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის წყაროების გამოყენებაზე მოქმედებს. შიდა და გარე მონაცემების და ინფორმაციის წყაროების ცოდნა და მათზე წვდომა, ისევე როგორც პოტენციური შეზღუდვებისა და მოთხოვნების ცოდნა, ინფორმაციის ეფექტური შეგროვებისა და ანალიზის წინაპირობაა.

ანალიტიკოსების მიერ გამოყენებული მონაცემებისა და ინფორმაციის წყაროების მაგალითები:

ოფიციალური წყაროები:

- სამინისტროები, სახელმწიფო უწყებები, პროკურატურა;
- სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბაზები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ფინანსური ანალიტიკური სამსახურები;
- მართლწესრიგის ოფიცრები;
- საზღვრის კონტროლის მონაცემები;
- საჯარო ჩანაწერები;
- პატრულის თანამშრომლები;
- გამოძიებები;
- თვალთვალი;
- ინფორმატორები;

არაოფიციალური წყაროები:

- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სატრანსპორტო ინდუსტრია;
- ანონიმური ანგარიშები;
- კომერციული სექტორი;
- ფინანსური სექტორი;
- სამოქალაქო საზოგადოება;
- სოციალური მედია;
- საზოგადოება/თემი;
- აკადემია;
- მედია.

შეგროვების გეგმა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტექნიკური დავალების (TOR) შეთანხმებისა და პროექტის გეგმის შემუშავების შემდეგი ნაბიჯია, შეგროვების გეგმის შემუშავება. მონაცემთა შეგროვების გეგმა საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ

შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია შეგროვდეს მონესრიგებულად და ზუსტად ფორმულირებული მოთხოვნის/ამოცანის შესაბამისად. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომელსაც შეუძლია მოერგოს და უპასუხოს მოთხოვნებში შეტანილ ცვლილებებს. შეგროვების გეგმა ეფუძნება დავალების განსაზღვრას, მიზანს, მოცულობას და ვადებს და აღწერას: **რა** ინფორმაცია უნდა შეგროვდეს ან არის ხელმისაწვდომი, მათ შორის შეგროვებული მონაცემების მიზანი და ღირებულება; **რომელი** წყაროები უნდა იქნეს გამოყენებული; **სად** შეიძლება ინფორმაციის მოპოვება; **როგორ** შეიძლება ინფორმაციის მიღება და **ვინ** უნდა შეაგროვოს იგი; **რამდენი** მონაცემის დამუშავება შეიძლება; **როდის** უნდა შეგროვდეს თითოეული ინფორმაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს, რომ იგი ასევე მოიცავდეს კითხვას, თუ **რატომ** არის აუცილებელი გარკვეული მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება. როგორც მთლიანი პროექტის გეგმა, ასევე შეგროვების გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომლებიც გავრცელდება შეგროვების ამოცანებზე, რაც დამოკიდებულია შესაგროვებელი ინფორმაციის ტიპზე, ასევე მის მისაღებად გამოყენებულ წყაროებსა და საშუალებებზე.³⁸

პროექტის წარმატებისთვის, აუცილებელია, შეგროვების დეტალური გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს საჭიროებების შეფასებას და საკანონმდებლო ნებართვებს, ისევე როგორც ზედამხედველობის მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს. შესაბამისად, გეგმა უზრუნველყოფს, რომ ყველა ჩართული მხარე მიჰყვეს შეთანხმებულ მიზნებსა და მოქმედ სტანდარტებს.

შეფასება

ინფორმაციის შეგროვების პარალელურად ან დაუყოვნებლივ შემდგომ, მონაცემები უნდა შეფასდეს მოპოვების კონტექსტში. მონაცემთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ პროფესიულ განსჯას, ვინაიდან მონაცემთა ხარისხი განსაზღვრავს შემუშავებული ანალიტიკური დასკვნის ვალიდურობას. შეფასება ითვალისწინებს ინფორმაციის ვალიდურობისა და სანდოობის შეფასებას, ისევე როგორც ამოცანის შესასრულებლად მის სარგებლიანობას.³⁹

როგორც წესი პირველი ნაბიჯია იმის დადგენა, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რა არარელევანტური, ასევე ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობის შეფასება. წყაროს სანდოობა და ინფორმაციის ნამდვილობა და სიზუსტე ცალკე უნდა შეფასდეს ოფიცრის/ანალიტიკოსის მიერ, რომელმაც მოიპოვა და დაარეგისტრირა ეს კონკრეტული ინფორმაცია.⁴⁰

ყველა წყარო და ინფორმაცია უნდა შეფასდეს ოფიციალურად აღიარებული შეფასების სისტემის მიხედვით. 4x4 ან 5x5x5 არის ორი ყველაზე ფართოდ გამოყენებული სისტემა.⁴¹

38 იხ. ეუთო, ODIHR/TNTD (2013: 34)

39 საპოლიციო საქმიანობის გაუმჯობესების ეროვნული სააგენტო, ანალიზთან დაკავშირებული პრაქტიკული რჩევები (მთავარ პოლიციის ოფიცერთა ასოციაცია, 2008)

40 UNODC (2011b: 25-28).

41 *ibid.* აგრეთვე იხილეთ ინფორმაცია 6x6 შეფასების სისტემების შესახებ.

ცხრილი 6.1 შეფასების კოდები 4x4 შეფასების სისტემის მიხედვით

წყაროს შეფასება		ინფორმაციის შეფასება	
A	სრულიად საიმედო ყველა შემთხვევაში	1	სიზუსტე ეჭვს არ იწვევს
B	ჩვეულებრივ საიმედო	2	პირადად ცნობილია წყაროსთვის, მაგრამ არ არის ცნობილი ოფიციალური პირისთვის
C	ჩვეულებრივ არასაიმედო	3	პირადად არ არის ცნობილი წყაროსთვის, მაგრამ დადასტურებულია სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაციით
D	საიმედობის შეფასება შეუძლებელია	4	სიზუსტის შეფასება ან დადასტურება შეუძლებელია (ამ მომენტში)

ცხრილი 6.2 შეფასების კოდები 5x5x5 შეფასების სისტემის მიხედვით

წყაროს შეფასება		ინფორმაციის შეფასება	
A	ყოველთვის საიმედო	1	ცნობილია, რომ სიმართლეა დათქმის გარეშე
B	ძირითადად საიმედო	2	პირადად ცნობილია წყაროსთვის, მაგრამ არა ანგარიშმგებელი პირისთვის
C	ზოგჯერ საიმედო	3	წყაროსთვის პირადად უცნობია, მაგრამ დადასტურებულია
D	არასაიმედო	4	განსჯა არ შეიძლება
E	შეუმონმბელი წყარო	5	არსებობს ეჭვი ინფორმაციის სიყალბეზე

შენიშვნა: 5x5x5 სისტემა მოიცავს „მართვის კოდებს“, რომლებიც აქ არ არის განმარტებული.

ინფორმაციის შესაბამისობის და საიმედოობის შეფასება, აგრეთვე მართვის კოდის განსაზღვრა, მისი შემდგომი გამოყენებისთვის აუცილებელია საბოლოო ანალიტიკური პროდუქტების სიზუსტისა და გავრცელების საშუალებებისთვის. შეფასება, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის თვალსაზრისითაც.

როგორც მე-5 თავშია განხილული, მონაცემთა დაცვის სტანდარტები, სხვა საკითხებთან ერთად, მოითხოვს, რომ ჩანერილი პერსონალური ინფორმაცია იყოს ზუსტი, ადეკვატური, შესაბამისი და არ აჭარბებდეს იმ მიზანს, რისთვისაც ის ინახება.

ამრიგად, შეფასება საკვანძოა იმის დემონსტრირებისთვის, რომ ინფორმაციის ჩანერა, რაც მონაცემთა/ინფორმაციის სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს, გამართლებული, აუცილებელი და თანაზომიერია და, შესაბამისად, დასაშვებია ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

შემფასებლებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებების სხვა შესაძლო საკითხები, რომლებიც შეიძლება რელევანტური იყოს გარკვეული ინფორმაციის გამოყენებისას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე ქვეყნიდან მიღებული ინფორმაციის შეფასებისას, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ინფორმაცია შესაძლოა უკანონო გზით იყოს მოპოვებული. მაგალითად, წამებითა და სხვა არასათანადო მოპყრობით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება სასამართლოში აბსოლუტურად აკრძალულია საერთაშორისო სამართლის მიხედვით. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ინფორმაცია არ არის განკუთვნილი სასამართლოში მტკიცებულების სახით გამოსაყენებლად, ასეთი საშუალებებით მოპოვებული ინფორმაცია ან ანალიტიკური ინფორმაცია არ უნდა იქნას გამოყენებული.⁴²

6.3 შეგროვება და დამუშავება

შეგროვების და დამუშავების ფაზა საჭიროებს ადეკვატურ და თანმიმდევრულ სისტემას. ეს ეტაპი მოიცავს შეგროვებული ინფორმაციის დახარისხებას, პრიორიტეტიზაციას და მითითებას. შეგროვების ფაზაში, ანალიტიკოსი აორგანიზებს და აწყობს შეგროვებულ ინფორმაციას, გარდაქმნის მას ინდექსირებულ და ჯვარედინი მითითებების მქონე ფორმატში და გადაიტანს მას საცავში (ე.ი. მონაცემთა ბაზაში). ინფორმაციის რელევანტურობის, სიზუსტისა და სარგებლიანობის შემოწმება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მის მონაცემთა ბაზაში განთავსებამდე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი სისტემის არსებობა, საიდანაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მოძიება და ანალიზი.

ინფორმაციის დამუშავება შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ანალიტიკურ ფაზასთან, რაც მკაფიო გამიჯვნას ართულებს.⁴³

6.4 ანალიზი

არსებობს ანალიზის კლასიფიკაციის მრავალფეროვანი ვარიანტები. ის, რაც ერთ ორგანიზაციაში ოპერატიული ანალიზია, მეორეში, ტაქტიკურ ანალიზად მოიხსენიება. ასევე, ქსელის ანალიზის პოლიციის ერთ განყოფილებაში კავშირების ანალიზს, ხოლო მეზობელ ქვეყანაში კავშირების სქემას უწოდებენ. ანალიზის ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციაა სტრატეგიული ანალიზი, ოპერატიული ანალიზი და ტაქტიკური ანალიზი. წინამდებარე გზამკვლევი, ტაქტიკურ და ოპერატიულ ანალიზს, ოპერატიული ანალიზის ქვეშ აჯგუფებს ერთად.⁴⁴

42 ეუთო, TNTD/ODIHR (2013: 28).

43 პოლიციის გაუმჯობესების ეროვნული სააგენტო (2008).

44 UNODC, INTERPOL და Europol მსგავს კლასიფიკაციას იყენებენ. იხ. UNODC (2011b: 35-38).

სტრატეგიული ანალიზი ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღებას, პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და პრიორიტეტების გამოვლენას; პოლიტიკის რესურსების განაწილებას; იგი განსაზღვრავს შესაბამის მიდგომას დანაშაულის ტიპების მიმართ. ასევე, სტრატეგიული ანალიზი უზრუნველყოფს, ანალიზზე დაფუძნებულ მხარდაჭერას წინა ხაზზე მომუშავე სამართალდამცავი ოფიცრებისთვის ძირითადი საფრთხეების, დაუცველი მხარეების, რისკების და შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობის გზით (საფრთხისა და რისკის შეფასება). სტრატეგიული ანალიზი არ შეიცავს პირად ინფორმაციას.

ოპერატიული ანალიზი ხელს უწყობს წინა ხაზზე მოკლევადიანი ამოცანების მართვას და შესრულებას, ოპერატიული მიზნების მისაღწევად და მხარს უჭერს მიმდინარე გამოძიებებს. ოპერატიული ანალიზი შეიძლება მოიცავდეს პერსონალურ ინფორმაციას ეჭვმიტანილთა შესახებ.

ანალიტიკური პროცესი საჭიროა ნედლი მონაცემებისა და ინფორმაციის რეალურ ანალიტიკურ ინფორმაციად გარდაქმნისთვის, როგორც მოკლევადიანი ოპერატიული, ისე გრძელვადიანი სტრატეგიული სამართალდაცვითი მიზნების განსახორციელებლად. ანალიზის სანდოობა და მასშტაბი მეტწილად დამოკიდებულია, ერთის მხრივ, ადრე შეგროვებული მონაცემების ხარისხსა და სიზუსტეზე, ხოლო მეორე მხრივ, ანალიტიკოსთა უნარებზე. ინფორმაციის ანალიზის პროცესში, ისევე როგორც ანალიტიკური ციკლის ყველა სხვა ეტაპზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო თანამშრომლობას ანალიტიკოსებსა და კლიენტებს შორის (ოფიცრები, გამოძიებლები, მენეჯერები). აუცილებელია რეგულარული განხილვის შეხვედრების ორგანიზება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, შექმნილი ანალიტიკური პროდუქტების შესაბამისობა ანალიტიკურ საჭიროებებთან ან/და კლიენტის მოთხოვნებთან.

ანალიზის ეტაპს ცენტრალური ადგილი უკავია ანალიტიკურ პროცესში, რადგან იგი ხელმისაწვდომი ინფორმაციის მნიშვნელობის, კონტექსტის და არსებითი მახასიათებლების იდენტიფიკაციას და გამოკვლევას ეხება. მონაცემთა ანალიზი ყურადღებას ამახვილებს საინფორმაციო დანაკლისზე, მონაცემთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე და განსაზღვრავს შემდგომ ნაბიჯებს. ანალიზის ეტაპის მთავარი მიზანია, თავდაპირველი ინფორმაციისთვის მნიშვნელობის შექმნა, რათა ანალიტიკური პროდუქტის პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელი გახდეს. როდესაც კრიმინალური ინფორმაციის ანალიზის შედეგები პირდაპირ კავშირშია და პასუხობს დავალების/ გამოძიების პრობლემას, ანალიზი, როგორც ოპერატიული ინსტრუმენტი ღირებული ხდება.

ანალიტიკური პროცესი ორი ეტაპისგან შედგება: *მონაცემთა ინტეგრაცია* და *მონაცემთა ინტერპრეტაცია*. პირველი ეტაპი (მონაცემთა ინტეგრაცია) აერთიანებს სხვადასხვა წყაროდან შეფასებულ და შეჯერებულ ინფორმაციას, რათა შეიქმნას საწყისი ჰიპოთეზა/პროგნოზები, გამოვლინდეს ანალიტიკური სქემა და გამოტანილ იქნეს შესაბამისი დასკვნები. მეორე ეტაპი (მონაცემთა ინტერპრეტაცია) გულისხმობს არსებული მონაცემების მიღმა გასვლას და მის ინტერპრეტაციას. ამ ეტაპზე გამოიკვდება საწყისი ჰიპოთეზები, რის შედეგადაც ხდება ადრე შემუშავებული ჰიპოთეზების დადასტურება, შეცვლა ან უარყოფა.

ჰიპოთეზა - ეს სავარაუდო სამუშაო თეორიაა, რომელიც დაფუძნებულია უნინ შემუშავებულ ინდიკატორებზე, არსებულ მონაცემებსა და ინფორმაციაზე. იგი საჭიროებს დამატებით ინფორმაციას წინა ვარაუდების დადასტურების ან უარყოფისთვის. ჰიპოთეზები ხელს უწყობს ანალიტიკური ინფორმაციის დანაკლისის გამოვლენას, შემდგომი მონაცემების შეგროვების მიმართულების განსაზღვრას და ზუსტი დასკვნების, პროგნოზებისა და შეფასებების გაკეთებას.

ჰიპოთეზების შემუშავებისა და გამოცდის მნიშვნელობა ინფორმაციის ანალიზის ფარგლებში გაიზარდა. ჰიპოთეზები შეიცავს უამრავ სპეკულაციას და, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს (დადასტურება, შეცვლა ან უარყოფა) ანალიტიკოსების მიერ. ჰიპოთეზების გამოცდა მოიცავს შემდეგს: ჰიპოთეზის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები, მისი შედეგები, აზროვნების პროცესის მიმოხილვა, საჭირო მონაცემების შეგროვება და გადახედვა. ჰიპოთეზა ან ნებისმიერი დასკვნა უნდა შეიცავდეს პასუხებს შემდეგ ძირითად კითხვებზე:

- ვინ? საკვანძო პირი/პირები;
- რა? კრიმინალური საქმიანობა;
- როგორ? გამოყენებული მეთოდები;
- სად? გეოგრაფიული ინფორმაცია და მასშტაბი;
- რატომ? მოტივი;
- როდის? დროის პერიოდი;

ჰიპოთეზების გამოყენება კრიმინალური ფენომენის ან უსაფრთხოების საკითხის შესამოწმებლად და შესასწავლად მნიშვნელოვანი ნაბიჯია სტრატეგიულ აზროვნებაში, რომელიც „მიტხარი ყველაფერი რაც იცი“ ეტაპიდან გადადის კონკრეტულ მოქმედებაზე - ორიენტირებულ პროცესზე. აღნიშნული ტექნიკა, ამ თავში წარმოდგენილ სხვა ტექნიკებთან ერთად ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა და ანალიტიკოსთა გადამზადების მნიშვნელობას, მათი უნარების დონის და გამოცდილების ამაღლებას, წარმატებული ILP-ის განხორციელებისათვის.

ანალიტიკური მეთოდების მაგალითები

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) ეროვნული ანალიტიკური მოდელი (NIM) ცხრა ანალიტიკურ ტექნიკასა და პროდუქტს ეფუძნება, რომლებიც მხარს უჭერენ სტრატეგიულ და/ან ოპერატიულ დონეზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ეფექტური, პროაქტიური სამართალდაცვითი ტექნიკების პროფესიული ცოდნის განვითარებას:

- **დანაშაულის სქემის (პატერნის) ანალიზი** ფართო ტერმინია, რომელიც ანალიზის რიგ ტიპებს მოიცავს, მათ შორის ტენდენციის გამოვლენას და ცხელი წერტილების ანალიზს.
- **დემოგრაფიული/სოციალური ტენდენციის ანალიზი** აფასებს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებების გავლენას დანაშაულის მაჩვენებელზე, ასევე მოსახლეობის საცხოვრებლად გადაადგილებას და უსახლკარობის მაჩვენებელს.

- **ქსელის ანალიზი** აფასებს კრიმინალურ ქსელში, მოკავშირეებს შორის, კავშირების მიმართულებას, სიხშირესა და სიძლიერეს.
- **ბაზრის პროფილები** აფასებს კრიმინალურ ბაზარს კონკრეტული საქონლისთვის, როგორცაა ნარკოტიკები ან პროსტიტუცია.
- **კრიმინალური ბიზნესის პროფილი** განსაზღვრავს ბიზნეს მოდელს და ტექნიკას, რომელსაც იყენებენ დამნაშავეები ან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები.
- **რისკის ანალიზი** აფასებს რისკების ან საფრთხეების მასშტაბებს, რომლებსაც დამნაშავეები ან ორგანიზაციები ქმნიან ინდივიდუალური პოტენციური დაზარალებულის, პოლიციისა და საზოგადოებისთვის.
- **სამიზნის პროფილის ანალიზი** აღწერს დამნაშავეს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ცხოვრების წესს, კავშირებს, კრიმინალურ საქმიანობას და პოტენციურ გადაკვეთის წერტილებს დამნაშავეის ცხოვრებაში.
- **ოპერატიული ანალიტიკური ინფორმაციის შეფასება - აღნიშნული ტექნიკა** აფასებს, შეესაბამება თუ არა ინფორმაციის შეგროვება უნინ შეთანხმებულ მიზნებს და ადგენს ხარვეზებს ოპერაციის ანალიტიკურ ძალისხმევაში (გამოიყენება ფართომასშტაბიან პროექტებსა და ოპერაციებში).
- **შედეგების ანალიზი** აფასებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობას და აკონტროლებს გეგმების მიმდინარეობას.

წყარო: *UNODC-ის საფუძველზე* (2011b: 35-38).

ანალიზის ზემოაღნიშნული მეთოდების გარდა, ანალიტიკოსები სხვა თვისებრივი ანალიზის ტექნიკებსაც იყენებენ, ⁴⁵რომელთაც საერთო მიზანი აქვთ. ისინი წარმოადგენენ კომპლექსური პრობლემების უფრო მართვად ანალიტიკურ ნაწილებად დაყოფის ინსტრუმენტებს.

6.5 ანალიტიკური პროდუქტების ანგარიშგება და გავრცელება

ანალიტიკური პროდუქტი ანალიტიკური პროცესის შედეგია და ზოგადად, მკაფიოდ სტრუქტურირებული და ლაკონური ანგარიშების სახით ვრცელდება. ინფორმაციის ანალიზის ანგარიშები მიზნად ისახავს ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის ასახვას და ეფექტური, სტრატეგიული ან ოპერატიული, ინტერვენციების გამოვლენასა და რეკომენდირებას. ანალიტიკური პროდუქტების პრაქტიკული ღირებულებისთვის, აუცილებელია ისინი ყოველთვის იყოს მკაფიო და ლაკონური. როგორც უკვე აღინიშნა, მიზანმიმართული ანალიტიკური პროდუქტის მიწოდებისა და მისი მიგნებების გაცნობისთვის, ანალიტიკოსსა და კლიენტს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და რეგულარული შეხვედრები გარდაუვალია. ზოგადად, ნებისმიერი სახის ანალიტიკური პროდუქტის შედეგისას, კარგ პრაქტიკად მიიჩნევა «გადაბრუნებული პირამიდის»

45 სხვენებული ტექნიკების აღწერა და მაგალითები იხ. აქ: UNODC (2011a). ასევე, იხ. პრობლემაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ვებ გვერდი: www.popcenter.org/about/?p=whatispop. გარდა ამისა, მოხსენიებულია ინფორმაცია და მითითებები ანალიზის რამდენიმე ტიპსა და მეთოდზე სამართალდამცავ ანალიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ვებსაიტზე: www.ialeia.org

მეთოდი, რომელიც გულისხმობს, ანგარიშის კლიენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილით დაწყებას და შემდეგ, უფრო ზოგადი საკითხების განხილვას.

კლიენტის საჭიროებიდან გამომდინარე, ეს პროდუქტები შეიძლება დაიყოს სტრატეგიულ და ოპერატიულ ანალიტიკურ პროდუქტებად.

ოპერატიული ანალიზის ანგარიშების მიზანია, მიმდინარე გამოძიებებისა და მოკლევადიანი ოპერატიული და ტაქტიკური ამოცანების მხარდაჭერა. ასეთი, პრაქტიკოსებზე გათვლილი პროდუქტები უნდა იყოს ლაკონური, მკაფიოდ ფორმულირებული და ოპერატიული ღირებულების მქონე ინფორმაციაზე ფოკუსირებული. ძირითადი მიგნებები დასაწყისშივე უნდა იყოს ჩამოთვლილი, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს სწრაფად გაითავისოს ძირითადი ინფორმაცია და გადაწყვიტოს, თუ როგორი პრიორიტეტი მიანიჭოს მიღებულ ინფორმაციას. შემდგომ, ანალიტიკური პროდუქტებში უფრო მეტი დეტალი უნდა იყოს წარმოდგენილი რაც მოიცავს მოკლე ოპერატიულ მიმოხილვას, მიზნებს და ამოცანებს. ანალიტიკური პროდუქტის ცენტრში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საქმის შესახებ, უნდა განიმარტოს ჰიპოთეზამდე მიმავალი ანალიზის პროცესი და მიგნებები. ანალიტიკური პროდუქტი სრულდება ანალიტიკური მოთხოვნებით და სამოქმედო რეკომენდაციებით. ოპერატიული ანალიზის პროდუქტები ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა სტრატეგიული პროდუქტებისთვის.

სტრატეგიული ანალიზის ანგარიშების მიზანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და ოპერაციების შემუშავების მხარდაჭერა. მოთხოვნებიდან და მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება მომზადდეს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები.⁴⁶

ადრეული გაფრთხილების სისტემის შეტყობინებები/ანალიტიკური შეტყობინებები წარმოადგენს გარემოში მომხდარ ახალ ან ბოლოდროინდელ ცვლილებებს, ტენდენციებსა და მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იყოს თემატური ან გეოგრაფიული. შეტყობინებების უპირველესი მიზანია, ცვლილებების აღწერა და კრიმინალურ ბაზრებზე, უსაფრთხოების ვითარებაზე და საზოგადოებაზე ან უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალზე, შესაძლო გავლენის შეფასება. ასეთი შეტყობინებები მოკლე და სპეციფიკურია, მიზნად ისახავს კლიენტის პროაქტიურად და სწრაფად ინფორმირებას ახალი ცვლილების ან ტენდენციის შესახებ, ასევე მოკლე მითითებას, ამ ცვლილების ან ტენდენციის მოსალოდნელ შედეგებზე.

საფრთხის შეფასებები ანალიზებს და აფასებს კრიმინალური ფენომენის საფრთხეს. მათი ფოკუსი მიმართულია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებზე, კონკრეტულ დანაშაულებრივ სფეროებზე ან რეგიონებზე. შეფასებები, როგორც წესი, საშუალო და გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი და მომავალზე ორიენტირებულია. ისინი გადაწყვეტილების მიმღებ პირებს სტრატეგიულ ანალიზსა და რეკომენდაციებს აწვდიან.

რისკის შეფასების ანგარიშები აღწერს პოტენციური რისკების შეფასებას, სადაც საფრთხის შეფასებას ემატება ალბათობის, ზემოქმედებისა და სუსტი მხარეების

46 კრიმინალური ინფორმაციის ანალიზის ფაქტების ფურცელში ინტერპოლი ანალიტიკური პროდუქტების შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს: ანალიტიკური ანგარიშები, რეგიონების ან კონკრეტული დანაშაულის საფრთხეების შეფასება, კონკრეტული მოვლენის რისკის შეფასება და დაზვერვის პუბლიკაციები (ბიულეტენები, ყოველთვიური ანგარიშები და ა.შ.). ევროპოლის კლასიფიკაცია შემდგენარია: ოპერატიული და სტრატეგიული ანალიზის ანგარიშები. სტრატეგიული ანგარიშები იყოფა საფრთხეების შეფასებად, სიტუაციურ ანგარიშებად და ანალიტიკური ინფორმაციის შეტყობინებებად.

შეფასება. ამის კლასიკური მაგალითია, რისკის შეფასების ანგარიში, რომელიც შექმნილია მნიშვნელოვანი მოვლენისთვის.

სიტუაციის ანგარიშები ძირითადად აღწერილი ხასიათისაა. მათი მიზანია უზრუნველყონ საკითხის დეტალური მიმოხილვა. საფრთხის შეფასებებისგან განსხვავებით, ისინი როგორც წესი, არ შეიცავენ რეკომენდაციებს ქმედებების შესახებ და შემოიფარგლებიან მხოლოდ ფაქტობრივი დასკვნებით. ანგარიშები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა თემას, კონკრეტული დანაშაულის სფეროდან ან დანაშაულის ჩადენის ხერხიდან დაწყებული, კონკრეტული კრიმინალური ჯგუფით ან გეოგრაფიული არეალით დასრულებული.


ანალიტიკური პროცესის ბოლო საფეხურია ანალიტიკური პროდუქტის გავრცელება და მომხმარებელ(ებ)ის ინფორმირება მისი შინაარსის შესახებ. ანალიტიკური პროდუქტების მომხმარებლები შეიძლება იყვნენ გამომძიებლები, პროკურორები, სამართალდამცავი სამსახურების ხელმძღვანელები და სხვა საპოლიციო ან სამთავრობო უწყებები. როდესაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ანალიტიკური პროდუქტი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ეს შეიძლება მომგებიანი იყოს სამართალდამცავი სამსახურებისთვის, კონკრეტულ თემებზე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების (დანაშაულის პრევენციის ნაწილის სახით), გამჭვირვალობისა და ხილვადობის გაზრდისთვის. ასევე, გამოქვეყნებულ ანგარიშებზე საპასუხოდ, საზოგადოებისგან ღირებული ინფორმაციის მიღების მხრივ. მნიშვნელოვანია ანალიტიკური პროდუქტის გავრცელებისა და მიზნობრივი აუდიტორიისთვის წარდგენის სწორი მეთოდის/ფორმატის შერჩევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი დროული მიწოდება გადანაცვლებებისა და ქმედებების მხარდასაჭერად.⁴⁷ გავრცელების ეტაპი გადამწყვეტია ILP მოდელის მთელი სტრუქტურისთვის, რადგან ის ახდენს როგორც მომხმარებლის, ისე პოლიციის ყველა შესაბამისი უწყების ინფორმირებას დანაშაულებრივი ქმედებების, ფენომენებისა და დამნაშავეების შესახებ. ანალიტიკურ პროდუქტებში წარმოდგენილ მონაცემთა სენსიტიურობის გამო, როგორც წესი, აუცილებელია მკაფიო და გამჭვირვალე რეგულაციის მიღება, რომელიც ეფუძნება „ცოდნის უფლებისა“ და „ცოდნის აუცილებლობის“ პრინციპებს ადამიანის უფლებათა და მონაცემთა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ანალიტიკური პროდუქტების გავრცელების შესახებ, დამატებითი დეტალები გაწერილი უნდა იყოს შესაბამის ეროვნულ სახელმძღვანელოებში ან გზამკვლევებში, ეროვნული ინსტრუქციებისა და სამართლებრივი მოთხოვნების და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

47 ზეპირი ბრიფინგებისა და პრეზენტაციების შესახებ პრაქტიკული ინფორმაციისთვის იხ. UNODC (2011a).

6.6 უკუკავშირი და შემდგომი მოქმედება

კლიენტს/გადანწყვეტილების მიმღებ პირსა და ანალიტიკოსს შორის აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობა არაერთხელ, ხაზგასმით აღინიშნა ამ გზამკვლევაში. ეს ასევე ეხება ანალიტიკური პროდუქტის შეფასებას და კლიენტის, გადანწყვეტილების მიმღები პირის ან ანალიტიკური პროდუქტის სხვა მომხმარებლების უკუკავშირს. ანალიტიკოსებმა და მათმა ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, აკმაყოფილებს თუ არა პროდუქტი მოთხოვნებს და რამდენად იმოქმედა გაცემულმა რეკომენდაციებმა გადანწყვეტილების მიღებასა თუ შემდგომ მოქმედებაზე. ანალიტიკოსებმა ასევე უნდა მიიღონ უკუკავშირი პროდუქტის პოტენციური გაუმჯობესების მიზნით. ანალიზის ანგარიშის და ანალიტიკური პროდუქტის წარდგენის შემდეგ, კლიენტისთვის უკუკავშირის ფორმის გაგზავნა ძალიან სასარგებლო პრაქტიკაა. აუცილებელია შემდგომი შეხვედრის მოწყობა, სადაც განიხილება ანალიტიკური პროდუქტი, უკუკავშირი, თანამშრომლობა და შემდგომი გადანწყვეტილებები, ქმედებები ან ოპერაციები. ასეთი ღონისძიებები არა მხოლოდ აუმჯობესებს მოცემული დავალების ხარისხს, არამედ აუცილებელია პროფესიული განვითარებისთვის.






7. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო (ILP) საქმიანობის დანერგვა

აღნიშნული თავი ეუთოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) რეკომენდებული მოდელის გრაფიკულ პრეზენტაციას წარმოადგენს და განმარტავს მის ძირითად კომპონენტებს, რასაც მოჰყვება ILP-ის ფუნქციონირებისა და განხორციელების ძირითადი მოთხოვნების უფრო დეტალური განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ILP-ის განხორციელების მატრიცის ან ფორმის წარმოდგენა მაცდუნებელი შეიძლება იყოს, არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს მისი უნივერსალური შაბლონი, რადგან ადგილობრივი და ეროვნული მოცემულობები მნიშვნელოვნად განსხვავდება. თითოეულმა ქვეყანამ უნდა შეაფასოს საკუთარი სტატუსი და შეიმუშაოს განხორციელების გეგმა არსებული საკანონმდებლო ბაზის, კულტურის, საჭიროებების, რესურსების და სხვა ძირითადი ეროვნული/ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით და ამ ძირითად მოთხოვნებს მოარგოს თავისი მიდგომა. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებზე დაყრდნობით, ეუთომ შეიმუშავა ILP-ის განხორციელების ჩარჩო, მოდელი, მისი მონაწილე სახელმწიფოებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე არსებული გარემოებები განსხვავებულია, კვლევა აჩვენებს, რომ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიებისა და განხორციელების მიღწევები ზოგადად დამოკიდებულია, წარმატების შემდეგ ძირითად ფაქტორებზე:



- ILP-ის მკაფიო საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ადამიანის უფლებათა და მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და სააგენტოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გაზიარების მკაფიოდ განსაზღვრულ უფლებამოსილებებსა და პროცესებს მოიცავს;
- ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ მკაფიო სტრატეგიულ მმართველობას და ოპერატიულ დონეზე თანამშრომლობას, ისევე როგორც მრავალუნეობრივ გარემოში გადაწყვეტილების მიღების პროცესებს და სათანადო ზედამხედველობას;
- ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებას სისტემების თავსებადობის გზით;
- ყველა შესაბამისი პერსონალის ცოდნა და უნარები;
- ინფორმაციის გაზიარების კუთხით თანამშრომლობის კულტურის განვითარება, შემდგომში საოპერაციო სფეროებში გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდასაჭერად.⁴⁸

ყველა ეს საკითხი მოგვიანებით იქნება განხილული ამ გზამკვლევაში.

7.1 ეუთოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) მოდელი

როგორც ეს განმარტებულ იქნა მე-3 თავში, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) ე.წ. "ზემოდან ქვემოთ" (Top-down) მენეჯერული და გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩოა. იგი უზრუნველყოფს სტრუქტურას, მეთოდოლოგიას, და ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, გაზიარებისა და ანალიზისთვის შესაბამის პროცესებს, რაც ემსახურება ინფორმირებულ დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებას სამართალდამცავი სამსახურების ხელმძღვანელების მიერ. ILP-ის სამართალდაცვით ბიზნეს მოდელს უწოდებენ, ე.ი. საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისა და მენეჯმენტის წარმმართველ მეთოდოლოგიას.


მე-3 თავში წარმოდგენილი 4-ი კონცეპტუალური მოდელი ხაზს უსვამს ურთიერთკავშირს ILP-ის სამ ძირითად ფაქტორს შორის: კრიმინალური გარემო, კრიმინალური ინფორმაციის ანალიტიკოსები და გადაწყვეტილების მიმღები პირები. 4-ი მოდელი აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები, მათი განზრახვების ახსნით ხელმძღვანელობენ და დავალებებს აძლევენ ანალიტიკოსებს. ანალიტიკოსები ანალიზის საშუალებით ინტერპრეტირებენ კრიმინალური გარემოს და დასკვნებით გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიმღებებზე. ანალიზის პროდუქტებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიმღები პირები, სამართალდაცვითი ქმედებებით, ზემოქმედებენ კრიმინალურ გარემოზე.

48 იხ. ავსტრალიის სისხლის სამართლის ანალიტიკური მართვის სტრატეგია 2012-2015 (ავსტრალიის თანამეგობრობა 2012)


„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა მოიცავს დანაშაულთან არაპირდაპირი კავშირის მქონე სფეროებს, რომლებიც ირიბად წარმოადგენენ პრობლემას საზოგადოებისა და პოლიციისთვის. შესაბამისად, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა წარმოადგენს „ყველა დანაშაული, ყველა საფრთხე, ყველა ზიანი“ ბიზნეს მიდგომას, რომელის დამკვიდრებისკენ ისწრაფვიან საპოლიციო საქმიანობაში.“

– Ratcliffe (2016: 67).

ილუსტრაცია 7.1. ILP კონცეფციის პრაქტიკაში რეალიზაციისთვის საჭირო ძირითადი ნაბიჯების, ფაქტორების, პროცედურების და პროდუქტების გამარტივებული გრაფიკული პრეზენტაციაა. მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაწილობრივ ან სრულად ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ სამართალდამცავ დონეზე.⁴⁹



49 შემოთავაზებული უუთოს ILP მოდელის ეს გრაფიკული ილუსტრაცია შემუშავებულია უუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის პოლიციის სტრატეგიული საკითხთა განყოფილების მიერ, რეტკლიფის (2016) განმარტებებზე დაყრდნობით. სქემის შემუშავებაში ასევე გამოყენებული იქნა ინფორმაციის ნაკადის პრეზენტაცია UNODC-ის პოლიციის საინფორმაციო და ანალიტიკურ სისტემებში (2006).



ილუსტრაცია 7.1 ეუთოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი

ILP მოდელი შემდეგ ძირითად ნაბიჯებსა და კომპონენტებს მოიცავს:

დავალებების გაცემა

პოლიტიკის, სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების, წარმოქმნილი საფრთხეების ან გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი სამართალდამცავი სამსახურების მმართველი რგოლი დაავალებს და მიმართულებებს მისცემს ანალიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც შემდგომ ამოცანებს ინდივიდუალური ანალიტიკურ დეპარტამენტებს, ერთეულებს ან ანალიტიკოსებს შორის ანაწილებს.

ანალიზი ანალიტიკური (Criminal Intelligence) პროცესის ფარგლებში

მენეჯმენტის მითითებებისა და დავალების შესაბამისად, ან გამომძიებლების მოთხოვნით, ანალიტიკოსები განსაზღვრული ანალიტიკური პროცესის შესაბამისად ავითარებენ ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ ანალიზი პროცესების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს, პროცესი ასევე მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და შეჯერებას. (ანალიტიკური პროცესის ექვსი ეტაპის დეტალური აღწერა მოცემულია მე-6 თავში.)

ანალიტიკური პროდუქტები

ანალიზის პროცესით იქმნება სტრატეგიული და ოპერატიული ანალიტიკური პროდუქტები, რომლებიც სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების შემუშავების, კრიმინალური გამოძიების წარმოების და სხვა სამართალდამცავი ოპერაციების მხარდასაჭერად, ისევე როგორც ადამიანური და ტექნიკური რესურსების პრიორიტეტიზაციისა და გამოყოფისთვის გამოიყენება.

გადანყვეტილების მიღება

წინამდებარე გზამკვლევის რეკომენდაციას, რომ თითოეულმა ქვეყანამ ჩამოაყალიბოს ILP გადანყვეტილების მიღების სტრუქტურა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, რომელიც გადანყვეტილების მისაღებად ანალიზის ანგარიშებს/ანალიტიკურ პროდუქტებს გამოიყენებს. შემოთავაზებული მექანიზმი აღწერილია ქვეთავში 7.5, ხოლო ეროვნული საუკეთესო პრაქტიკების მაგალითები წარმოდგენილია ქვეთავში 8.2.

ოპერატიული საქმიანობა

ილუსტრაცია 7.1. ჩამოთვლილია საპოლიციო საქმიანობის იმ სფეროების ხუთი მაგალითი, სადაც შესაძლებელია ILP პრინციპების გამოყენება. ეს სია სულაც არ არის ამომწურავი, შეფასებულ და გაანალიზებულ მონაცემებზე და ინფორმაციაზე დაფუძნებული პროაქტიური სამართალდაცვითი საქმიანობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბევრ სხვა საპოლიციო სფეროში. ოპერატიული საპოლიციო საქმიანობის სფეროები აწარმოებენ მონაცემებს, ინფორმაციას და ანალიტიკურ ინფორმაციას, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებით იგზავნება და ინახება მონაცემთა ბაზებში, რაც შემდგომი ანალიზის საშუალებას იძლევა.

მონაცემებისა და ინფორმაციის მიმოცვლა

ILP-ის სათანადო ფუნქციონირებისათვის, ყველა სამართალდამცავმა უნდა გააზიაროს და გაავრცელოს მისი საქმიანობისა და ყოველდღიური მუშაობისას მიღებული,

შეგროვებული მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმებისა და საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. მონაცემების, ინფორმაციისა და ანალიტიკური ინფორმაციის გაზიარება ყველა სამართალდამცავი ოფიცრის ვალდებულება უნდა იყოს, რაც განსაზღვრული იქნება ეროვნული კანონმდებლობით ან სხვა ოფიციალური ინსტრუქციებით.

უკუკავშირი და შეფასება

ანალიტიკოსები და მათი ხელმძღვანელები, ანალიზისა და ანალიტიკური პროდუქტების ხარისხზე უკუკავშირს იღებენ სამართალდამცავი მენეჯერებისგან, გამოძიებლებისა და მათი ანგარიშების სხვა მომხმარებლებისგან. ანალიტიკური პროდუქტების ხარისხის ძირითადი მაჩვენებლებია მათი შესაბამისობა განსაზღვრულ მეთოდოლოგიებთან და სტანდარტებთან, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი მომხმარებელთა მოლოდინებსა და მოთხოვნებს, განსაკუთრებით სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების კუთხით.

მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი

ILP მოდელის მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა და შენარჩუნება სამართალდამცავი ორგანოების მაღალი რგოლის მენეჯმენტის პასუხისმგებლობაა. ეს ეხება ყველა გეგმას, ამოცანას, პროცესსა და ნაბიჯს, მათ შორის ანალიტიკური პროდუქტების შეფასებას, დავალებისა და გადანყვებილების შესრულების თვალის მიდევნებას, ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტების დაცვას და ამოცანებისთვის რესურსების გამოყოფას. თითოეულმა ქვეყანამ უნდა შექმნას საკუთარი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა. შიდა მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის გარდა, ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციები, როგორცაა მონაცემების, ინფორმაციისა და ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, დამუშავება და გაზიარება, ასევე უნდა დაექვემდებაროს დამოუკიდებელ ზედამხედველობას.⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ ILP მოდელი ხუთ მთავარ საფეხურად და ქვეპროცესად იყოფა, უნდა აღინიშნოს, რომ მოდელის ყველა კომპონენტი ინტერაქტიულია და ერთმანეთს ავსებს, რაც ხშირად საჭიროებს წინა ნაბიჯების გადახედვას. მაგალითად, ანალიზის პროცესი ხშირად ავლენს ანალიტიკური ინფორმაციის დანაკლისს, რაც ზოგჯერ მოითხოვს ახალ დავალებას ან გამოძიებას.

გზამკვლევი ხშირად იქნა ხაზგასმული, რომ ყველა სამართალდამცავი პირი ILP-ის აქტიური მონაწილე და მიმწოდებელია. ILP მოდელი სამართალდამცავი ორგანოების ყველა დონის, დეპარტამენტისა და ქვედანაყოფის მონაცემებსა და ინფორმაციას ეყრდნობა. შესაბამისად, აუცილებელია ცნობიერების ამაღლება და გადამზადება, ყველა დონეზე ILP-ის მკაფიო სტანდარტული საოპერაციო პროცედურები, ისევე როგორც შესაბამისი გარანტიები, ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის მექანიზმები.

50 კარგი პრაქტიკის მაგალითისთვის იხ. სერბეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო (2016: 45-49).

7.2 გამონვევები და განხორციელების ძირითადი მოთხოვნები

კვლევამ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) სრული პოტენციალის ათვისებისთვის, რამდენიმე გამონვევა და წინაპირობა გამოავლინა. დადგინდა, რომ ILP-ის მნიშვნელოვანი და გაზომვადი ზემოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ის არსებითი ორგანიზაციული, კულტურული და ლიდერული ცვლილებების თანხლებით ხორციელდება.⁵¹ ასევე აღინიშნა, რომ ამგვარი რეფორმების გატარებისადმი წინააღმდეგობა ILP-ის განხორციელების მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა. აღნიშნულ გამონვევებს ისიც ემატება, რომ ILP-ის დანერგვა და განხორციელება ხშირად „ემუქრება დამკვიდრებულ წესრიგს, კულტურას, ორგანიზაციის იდენტობას და მისი თანამშრომლების ნორმებს, ღირებულებებსა და მორალს“ და „პერსონალი იშვიათად მიესალმება ცვლილებას“.⁵² სამართალდამცავ ინსტიტუტებში ორგანიზაციული კულტურისა და საოპერაციო დონის სტატისტიკის უპირატესი დამკვიდრება, სადაც აქცენტი შედეგების გაზომვაზე კეთდება, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.⁵³ ამგვარად, ILP-ის, როგორც სამართალდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ახალი ჩარჩოს დანერგვა განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან იგი, ხშირად მოითხოვს მართვის ახალ მეთოდებს და კულტურულ ცვლილებას საპოლიციო სისტემაში, ILP-ის პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდისათვის, უნდა განხორციელდეს კომპლექსური ცვლილებები, რომლებიც, ორგანიზაციის ყველა დონეზე, საფუძვლიან მომზადებას, კონსულტაციას და ცნობიერების ამაღლებას მოიცავს ცვლილებების განხორციელებამდეც და მის განმავლობაშიც.

„საბოლოო ჯამში, ნებისმიერი ორგანიზაციული რეფორმის წარმატება უცვლელად დამოკიდებულია, თუ რამდენად სწამთ დანესებულებაში რეალური ძალაუფლების მქონე პირებს, რომ ცვლილება მათ საუკეთესო ინტერესებშია და პრაქტიკულ სარგებელს მოუტანს ინსტიტუტს.“

– James (2016: 26).

ზემოაღნიშნული გამონვევების გარდა, ILP-ის წარმატებული განხორციელების სხვა წინაპირობებია:

- კადრების შერჩევის ხარისხი, სათანადოდ მომზადებული და კვალიფიციური კადრები;
- ანალიტიკური საქმიანობის კომპეტენტური ხელმძღვანელობა, მართვა და კონტროლი;

51 Flood and Gaspar (2009).

52 James (2017: 7).

53 პარლამენტის სამართალდაცვით საკითხთა ერთობლივი კომიტეტი, გამოიქვამა ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და გამოყენების შესახებ (კანბერა: პარლამენტის სამართალდაცვით საკითხთა ერთობლივი კომიტეტი, ავსტრალიის კავშირი) (2013: 47-49).

- შესაბამისი მონაცემთა ბაზები, IT აღჭურვილობა და ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფა;
- კვალიფიციური მენეჯერები, რომლებმაც იციან როგორ გამოიყენონ ანალიტიკური პროდუქტები.⁵⁴

ქვემოთ წარმოდგენილია ILP-ის დანერგვისა და განხორციელების დაგეგმვის ზოგადი მითითებები. მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო ILP მოდელის გამოყენება შესაძლებელია ყველგან, აუცილებელია მოცემული საკითხების ეროვნულ და ადგილობრივ კონტექსტზე მორგება.⁵⁵

ეროვნული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ILP-ის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად განხორციელების საშუალებას იძლევა

- ეროვნული კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს ILP საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც მისი განხორციელების საშუალებას იძლევა;
- მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, დამუშავება და გაზიარება უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც მკაცრად შეესაბამება ადამიანის უფლებათა და მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებენ მოითხოვონ ტექნიკური დახმარება და რჩევები ამ კანონების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად;
- ILP-ის ჩარჩო, მეთოდოლოგიები, შიდა პროცესები, და ანალიტიკური პროდუქტების გაზიარება და გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ეუთოს დემოკრატიული საპოლიციო საქმიანობის პრინციპებს, რომლებიც ადასტურებს კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მონაცემთა დაცვის, პოლიციის ეთიკის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის, ისევე როგორც გარე მონიტორინგისა და კონტროლის მნიშვნელობას.⁵⁶

პოლიტიკური მხარდაჭერა და ხელისუფლების მაღალი ხელმძღვანელი და მენეჯერული რგოლის მიერ ვალდებულების აღება

- ILP-ის დამტკიცებასა თუ განხორციელებამდე, აუცილებელია პოლიტიკური მხარდაჭერა და ცენტრალური ხელისუფლების/სამინისტროს და სამართალდამცავი ხელმძღვანელობის დონეზე პასუხისმგებლობის აღება;
- ILP ვერ მიაღწევს მის სრულ პოტენციალს, თუ სამართალდამცავ სამსახურებში ყველა დონეზე არ მოხდება მოდელის, მისი სტრუქტურების, პროცესების, და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა.

54 James et al. (2016: 24-25); Ratcliffe (2016: 127).

55 ეს გზამკვლევი არ შეიცავს დეტალურ ჩამონათვალს სხვადასხვა ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, არამედ ფოკუსირებულია ზოგად და საერთო საკითხებზე ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებში, განხილული ლიტერატურისა და სამართალდამცავი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, რომლებმაც განიხილეს და წვლილი შეიტანეს წინამდებარე გზამკვლევის შემუშავებაში.

56 ეუთო (2008a: 12-13).

ორგანიზაციული მიდგომა

- ILP-ის გამოყენება საპოლიციო საქმიანობის ყველა სფეროში შეიძლება;
- ILP უნდა გამოიყენებოდეს მთელ ორგანიზაციაში და არა მხოლოდ სპეციალიზებულ განყოფილებებში;
- ორგანიზაციული კულტურის შეცვლაზე მიმართული ძალისხმევა, რომელიც ხაზს უსვამს ინფორმაციის „გაზიარების აუცილებლობას“, ცვლილებების მართვის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს ILP-ის დანერგვისა და განხორციელებისას;
- ILP მოდელს სჭირდება ანალიტიკოსები, რომლებიც უშუალო მხარდაჭერას გაუწევენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ორგანიზაციის ყველა დონეზე.

ეროვნული სამართალდაცვითი სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ ანალიზს, მათ შორის საფრთხის შეფასებებს

- ეროვნული სტრატეგიული გეგმები, პრიორიტეტების ჩათვლით, ყალიბდება და ეფუძნება სტრატეგიულ ანალიზსა და შეფასებებს;
- შემდგომში ამ გეგმების საფუძველზე მუშავდება ოპერატიული სამოქმედო გეგმები;
- ამ გეგმების შესაბამისად გამოიყოფა ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები.

სტრატეგიული და ოპერატიული დავალებების გაცემისთვის გამიზნული შეხვედრები

- როგორც ოპერატიული, ასევე სტრატეგიული დავალებების გაცემისთვის გამიზნული შეხვედრები რეგულარულად უნდა ჩატარდეს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე (იხ. შემდგომი ქვეთავი 7.5);
- ანალიტიკური ინფორმაციის ეფექტური შეგროვება და ანალიზი იმდენ საგამოძიებო და ოპერატიულ მიმართულებებს წარმოშობს, რომელიც სცდება სამართალდამცავთა შესაძლებლობებს. ამიტომ, სტრატეგიული და ოპერატიული შეხვედრების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს ამოცანების ფრთხილი გამოვლენა და პრიორიტეტის მინიჭება;
- ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, ოპერატიული და სტრატეგიული ანალიზის პროდუქტები ინტეგრირებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისა და ამოცანების დასახვის პროცესში.

მონაცემების, ინფორმაციისა და ანალიტიკური ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება

- კანონით ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით ყველა სამართალდამცავს უნდა ჰქონდეს სავარაუდო დანაშაულისა თუ დამნაშავეების შესახებ მიღებული ინფორმაციის გაზიარების ვალდებულება, მკაფიოდ დადგენილი მექანიზმებისა და საკომუნიკაციო არხების საშუალებით, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ანალიზის მიზნებისთვის შეგროვებულ ინფორმაციაში ნახსენები ადამიანების უფლებების დაცვისათვის, უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები;
- ინფორმატორებისა და მამხილებლების ვინაობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის, მიღებულ უნდა იქნას შესაბამისი ღონისძიებები;

- მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოების, მონაცემთა მართვის წესებისა და დაცვის კანონმდებლობის ფარგლებში, ხელისუფლებამ უნდა დაუშვას მონაცემთა და ინფორმაციის გაზიარება სახელმწიფო უწყებებსა და სხვა ოფიციალურ ინსტიტუტებს შორის;
- ხელისუფლებას შეუძლია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო უწყებებს გარე წყაროებიდან შესაბამისი მონაცემების, ინფორმაციის მოპოვებასა და გამოყენებას დაუშვებს, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების, მედიისა და საზოგადოებისგან, იმ დათქმით, რომ ეს ღონისძიებები მოქმედი შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში იქნება. ეს ღონისძიებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის გარანტიებს, რაც აღკვეთს ხელისუფლების ასეთ მონაცემებზე, ადამიანის უფლებებისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტების სანინალმდეგო წვდომას;
- ინფორმაციის შეფასების ეროვნული სისტემები, მათ შორის დამუშავებისა და გავრცელების წესები ოფიციალური დოკუმენტით უნდა იყოს დადგენილი;
- ყველა უფლებამოსილი სამართალდამცავი კარგად უნდა იცნობდეს ზემოაღნიშნულ წესებს.

ცენტრალიზებული ანალიტიკური უწყება/დეპარტამენტი

- წინამდებარე გზამკვლევის რეკომენდაციაა, რომ თითოეულ ქვეყანას ჰქონდეს ერთი ცენტრალიზებული, ეროვნული ანალიტიკური დეპარტამენტი (NCID);
- NCID დაკომპლექტებული უნდა იყოს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებით;⁵⁷
- NCID-ის წევრ, სხვადასხვა სამართალდამცავი სამსახურებისა და სხვა უწყებების წარმომადგენლებს ექნებათ წვდომა მათი უწყების მონაცემებსა და ინფორმაციაზე. კანონი მათ, ამ მონაცემებისა და ინფორმაციის NCID-ის წევრ სხვა უწყებებთან/სააგენტოებთან გაზიარების საშუალებას უნდა აძლევდეს ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოების შესაბამისად.;
- NCID პასუხისმგებელი უნდა იყოს ანალიტიკურ ეროვნულ მონაცემთა ბაზაზე;
- NCID პასუხისმგებელი უნდა იყოს სტრატეგიული და ოპერატიული ანალიზის ჩატარებაზე, მათ შორის ეროვნულ დონეზე საფრთხის შეფასებაზე;
- NCID უნდა დაეხმაროს რეგიონულ/ადგილობრივ საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტებს/განყოფილებებს საჭიროების შემთხვევაში.⁵⁸

კრიმინალური ანალიზი და საფრთხეების შეფასება

- ეროვნულმა ხელისუფლებამ შესაბამისი ბრძანებებითა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით (SOP) უნდა შექმნას ანალიზისა და საფრთხეების შეფასების გამჭვირვალე მეთოდები და პროცესები;
- ანალიტიკური პროდუქტის ტიპები და სტრუქტურები უნდა გადაწყდეს ეროვნულ დონეზე, რაც ყველა სამართალდამცავ ორგანოს, ანგარიშგების ერთიანი ჩარჩოთი უზრუნველყოფს;

57 იხ. დამატებით ქვეთავი 7.4.3 ცენტრალურ ონეზე ანალიტიკური მექანიზმი. ასევე იხ. კარგი პრაქტიკის მაგალითი შევდითიდან - ქვეთავი 8.2.3.

58 რეკომენდაციები საინფორმაციო-ანალიტიკური დანაყოფების მართვის შესახებ წარმოდგენილია აქ: UNODC (2011b: 51-59).

- საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და ფორმატებზე დაფუძნებული -ანალიტიკური ანგარიშები, სისხლის სამართლის საკითხებში, ტრანსსასაზღვრო და საერთაშორისო თანამშრომლობას უფრო მკაფიოს ხდის და ხელს უწყობს მას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) თავსებადობა და უსაფრთხოება

- ურთიერთდაკავშირებული, თავსებადი ან ერთ პლატფორმაზე არსებული IT სტრუქტურები, რომლებიც მხარს უჭერენ ILP-ის უნდა ოპერირებდნენ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე;
- NCID-ის უნდა ჰქონდეს წვდომა ყველა ხელმისაწვდომ მონაცემზე, ინფორმაციასა და ანალიტიკურ ინფორმაციაზე, რომელსაც რეგიონული და ადგილობრივი ანალიტიკური დეპარტამენტები და სხვა სამართალდამცავი ორგანოები ფლობენ;
- უნდა არსებობდეს უსაფრთხოების შესაბამისი მახასიათებლები, რომლებიც ოფიციალურ ბრძანებებსა და სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებს, ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება, მათ შორის დეტალური აღრიცხვა და შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე მკაფიოდ განსაზღვრული და რეგისტრირებული წვდომის დონეები;
- ხსენებული ბრძანებები და სტანდარტული საოპერაციო პროცედურები უნდა მოიცავდეს ფიზიკურ უსაფრთხოებას, დოკუმენტების უსაფრთხოებას, IT უსაფრთხოებას და პერსონალის უსაფრთხოებას, მათ შორის პერსონალის და თანამშრომლების ისტორიის შემოწმებას;⁵⁹
- ანალიტიკური მონაცემთა ბაზების და მონაცემთა, ინფორმაციისა და ანალიტიკური ინფორმაციის გაზიარება უნდა ექვემდებარებოდეს კანონის შესაბამისად შექმნილ გარე კონტროლის დამოუკიდებელი ორგანოს მონიტორინგს და კონტროლს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და მონაცემთა დაცვის დებულებებთან, ისევე როგორც დარღვევის შემთხვევაში ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალებები.

უკუკავშირის მექანიზმები და პრაქტიკა

- მენეჯერებმა და ანალიტიკოსებმა, შემდგომი გაზიარების წახალისებისთვის, უკუკავშირი უნდა მიაწოდონ იმ სამართალდამცავ სამსახურებს, რომელთაგან ინფორმაციას მიიღებენ;
- მენეჯერებმა, გამომძიებლებმა და ანალიზის პროდუქტების სხვა მომხმარებლებმა ანალიტიკოსებს უკუკავშირი უნდა მიაწოდონ ანალიტიკური პროდუქტების ხარისხზე, რათა ხელი შეუწყონ პროგრესსა და გაუმჯობესებას.

ხარისხის მართვა და კონტროლი

- ეროვნული სამართალდამცავი მმართველი რგოლი პასუხისმგებელია შემდეგზე: ILP-ის განხორციელების ყველა დონეზე მონიტორინგისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავება და მომსახურება; ამოცანების განსაზღვრა და გადაწყვეტილების მიღება; მიზნები და შედეგები; შიდა პროცესები; ანალიტიკური პროდუქტები; მასალები და აღჭურვილობა; ადამიანური რესურსები, მათ შორის

59 UNODC (2011b: 39-50).

ტრენინგი და პერსონალის ეფექტურობის გაზომვა.

- ანალიზის სრული პროცესი თითოეულ ქვეყანაში უნდა ექვემდებარებოდეს შიდა და გარე ზედამხედველობის მექანიზმებს.


რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სამართალდამცავ საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ანალიტიკური ინფორმაციის გაზიარება

- ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და სამართლებრივი ურთიერთდახმარების ინსტრუმენტების შესაბამისად, ეროვნული სტრატეგიული ანალიზი და საფრთხეების შეფასებები გაზიარებული უნდა იყოს შესაბამის პარტნიორ ქვეყნებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ანალიტიკური ინფორმაციის გაზიარება უცხო ქვეყნის ხელისუფლებასთან უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ადგენს ინფორმაციის გაცვლის მკაფიო პარამეტრებს, მათ შორის ინფორმაციის გაზიარების პირობებს, სუბიექტებს, რომლებთანაც დაშვებულია ინფორმაციის გაზიარება და დაცვის გარანტიები, რომლებიც ინფორმაციის გაცვლაზე მოქმედებს;⁶⁰
- აუცილებელია პროაქტიური მოქმედება ანალიზზე დაფუძნებული ერთობლივი გამოძიებებისა და ოპერაციების დასაწყებად, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, ანალიზისა და საფრთხეების შეფასების ანგარიშებში გამოვლენილი და წარმოდგენილი საერთო კრიმინალური გამოწვევების საფუძველზე.

7.3 ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება სამართალდამცავ სამსახურებში

პროაქტიური სამართალდამცავი საქმიანობა მოითხოვს ანალიზსა და სტრატეგიულ დაგეგმვას. რესურსების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდილ მოთხოვნებთან ერთად, გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენას ახდენს მთელი რიგი გარე და პირადი ფაქტორები, როგორც ეს მოცემულია ილუსტრაციაზე 7.2.

60 გაეროს გენერალური ასამბლეა. „სპეციალური მომხსენებელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებში, მარტინ შაინინი“. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, 2010 წლის 17 მაისი, A/HRC/14/46; მუხლები 26, 38 და 90.



ილუსტრაცია 7.2 გადანწყვეტილების მიმღებ პირზე გავლენის მქონე გარე და პირადი ფაქტორები

წყარო: Ratcliffe (2016: 118).

თანამედროვე სამართალდამცავ სამსახურებში გადანწყვეტილების მიმღებ პირებს უნევთ იმ საკითხთან შეგუება, რომ გავლენის მქონე ფაქტორების ფართო სპექტრი მოქმედებს მათ ყოველდღიურ საქმიანობასა და მნიშვნელოვან გადანწყვეტილებებზე. საპოლიციო საქმიანობის ხარისხიანი მართვა, მათ შორის გადანწყვეტილების მიღება, მაღალი ხარისხის ანალიზის პროდუქტებსა და კვალიფიციურ ანალიტიკოსებს მოითხოვს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მენეჯერებს, მათ საჭიროებებზე მორგებული ანგარიშების მიწოდებით. ვინაიდან, სამართალდაცვით სფეროში მიღებული გადანწყვეტილებების უმეტესობა პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე, ხოლო თითოეული სამართალდამცავი ოფიცერი პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე⁶¹, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაცია, რომელსაც მათი გადანწყვეტილებები იწვევს. ეს ფაქტები კვლავ ხაზს უსვამს ILP-ის, როგორც მენეჯერული გადანწყვეტილების მიღების ჩარჩოს, აქტუალობას.

61 ევროპის საბჭო, პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი (სტრასბურგი: ევროპის საბჭოს გამომცემლობა, მარტი 2002): მუხ. 26, 38 და 90.

„ხშირად, პოლიციის გადანყვეტილების მიღების სუსტ სისტემებს ახასიათებთ, ანალიტიკოსების მიერ, საკუთარი ამოცანების ან სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა. პოლიციის ხელმძღვანელები გადანყვეტილების მიღების მომნიშვნელოვან სისტემებში უფრო პირდაპირ როლს ასრულებენ საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილებისთვის თავიანთი მიზნების მკაფიო ფორმულირებით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მზად არიან გაითვალისწინონ ახლად წარმოქმნილი საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა მათ რადარს მიღმა აღმოჩნდა, გამოცდილი ხელმძღვანელები პოლიციის ანალიტიკურ მიმართულებას ხელმძღვანელობის გარეშე არ ტოვებენ, არამედ უზრუნველყოფენ მის ზედამხედველობასა და წარმართვას.“

– Ratcliffe (2016: 83).

მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსებმა თავიანთი ანალიტიკური მიგნებები ნეიტრალურ შუალედურ და საბოლოო შეფასებაზე უნდა დაფუძნონ, მათ წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ გადანყვეტილების მიმღები პირის გარემოზე, მათ შორის პოტენციურ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ შეზღუდვებზე. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს რეკომენდაციების შემუშავებისა და წარდგენისას. ფუჭი იქნება ანალიტიკოსების მიერ ისეთი რეკომენდაციების წარდგენა, რომლებიც ამკარად არ შეეფერება კლიენტების საჭიროებებს ან შესაძლებლობებს.

7.4 ანალიტიკური მექანიზმების დონეები

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) ყველა დონეზე მოითხოვს ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ადმინისტრაციულ და გადანყვეტილების მიღების პროცედურებს და კომუნიკაციის მექანიზმებს. ამ ქვეთავში წარმოდგენილი იქნება საინფორმაციო ანალიტიკური მექანიზმები (სამმართველოები/დეპარტამენტები/უნყებები), რომლებიც მხარს უჭერენ ILP-ის განხორციელებას. თითოეულ დონეზე არსებული საინფორმაციო-ანალიტიკური მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ანალიზისა და შეფასების უზრუნველყოფა მართვის სტრუქტურების მიერ ინფორმირებული გადანყვეტილებების მისაღებად.

7.4.1 ანალიტიკური მექანიზმი ადგილობრივ/განყოფილების დონეზე

განყოფილების დონეზე, ადგილობრივი ანალიტიკური მექანიზმი, მოიცავს დანაშაულებს, დამნაშავეებს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის

პრობლემებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საპოლიციო საქმიანობაზე მოცემული თემის ან პოლიციის განყოფილების დონეზე. ზომიდან და სტრუქტურულიდან გამომდინარე, ადგილობრივ დონეზე მოქმედ ყველა პოლიციის განყოფილებას უნდა გააჩნდეს ანალიტიკური ქვედანაყოფი ან გუნდი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა შესაბამისი ოპერატიული, დანაშაულის ანალიზის ამოცანებზე. აღნიშნულ გუნდს უნდა ხელმძღვანელობდეს იმავე წოდების მეთაური, როგორც ეს ოპერატიული და საგამოძიებო სამმართველოების შემთხვევაშია.

ადგილობრივი/განყოფილების დონის ანალიტიკური ქვედანაყოფი ახორციელებს ადგილობრივ დონეზე დაგეგმვის, ოპერაციებისა და გამოძიებების მხარდაჭერას. კერძოდ:

- მხარს უჭერს პოლიციის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით, ადგილობრივ ან განყოფილების დონეზე;
- უზრუნველყოფს ადგილობრივ/განყოფილების დონეზე გამოძიებების ანალიტიკურ მხარდაჭერას;
- აწარმოებს პოლიციის რეესტრებს, მონაცემთა ბაზებს და მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიტიკურ პროცესებს;
- შესაბამის მონაცემებს, ინფორმაციას და ანალიზს წარუდგენს რეგიონულ და/ან ეროვნულ ანალიტიკურ დეპარტამენტებს შემდგომი დამუშავებისთვის;
- ატარებს და წარმოადგენს ანალიზს და რისკების შეფასებას ადგილობრივი მოვლენებისთვის;
- უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე დანაშაულის პრევენციის ანალიტიკურ მხარდაჭერას.

7.4.2 ანალიტიკური მექანიზმი რეგიონულ დონეზე

რეგიონული ანალიტიკური სამმართველო მოიცავს სამართალდაცვით ამოცანებს, რომლებიც პოლიციის ერთზე მეტ განყოფილებას ეხება. მისი ძირითადი ამოცანები და პასუხისმგებლობებია საერთო რეგიონული კრიმინალური საფრთხეების გამოვლენა, შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა და შესაძლებლობებისა და რესურსების უზრუნველყოფა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საპოლიციო საქმიანობის მხარდასაჭერად. რეგიონულ ანალიტიკურ სამმართველოს უნდა ხელმძღვანელობდეს იმავე წოდების მეთაური, როგორც ეს რეგიონული ოპერაციებისა და გამოძიებების შემთხვევაშია, რომელიც რეგიონულ დონეზე პოლიციის ხელმძღვანელის პირდაპირ დაქვემდებარებაში იქნება.

რეგიონული ანალიტიკური სამმართველო მხარს უჭერს ადგილობრივ ანალიტიკურ ქვედანაყოფებს მოთხოვნის შემთხვევაში. მისი მთავარი ამოცანაა რეგიონულ დონეზე დაგეგმვის, ოპერაციებისა და გამოძიების მხარდაჭერა. კერძოდ:

- შეიმუშავებს და ახორციელებს ყოველწლიურ რეგიონულ ანალიტიკურ გეგმებს;
- რეგიონულ დონეზე სისტემატურად აგროვებს და შეიქმნის შესაბამის მონაცემებს, ინფორმაციას და ანალიტიკურ ინფორმაციას რეგიონულ ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული ქვეყნის ცენტრალიზებული ანალიტიკური დანაყოფისთვის;

- ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, გადასცემს შესაბამის მონაცემებს, ინფორმაციას და ანალიტიკურ ანგარიშებს;
- რეგიონულ დონეზე მენეჯმენტის გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის მხარდასაჭერად, ატარებს სტრატეგიულ ანალიზსა და შეფასებებს;
- უზრუნველყოფს რეგიონულ დონეზე დანაშაულის პრევენციის მხარდაჭერას;
- მხარს უჭერს გამოძიებებსა და ოპერაციებს რეგიონული და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ;

7.4.3 ანალიტიკური მექანიზმი ცენტრალურ დონეზე

ეროვნული ანალიტიკური დეპარტამენტი (NCID) უნდა განთავსდეს ეროვნული სამართალდამცავი სამსახურის ცენტრალურ ოფისში (პოლიციის დირექტორატი/ დანაშაულის ეროვნული სააგენტო) და უნდა ხელმძღვანელობდეს უფროსი ოფიცერი.

ეროვნული ანალიტიკური დეპარტამენტის (NCID) უმთავრესი როლია ანალიტიკური ანგარიშების წარმოება სერიოზული ეროვნული საფრთხეების, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და VERLT-ის წინააღმდეგ გადაწყვეტილებათა მიღების მხარდასაჭერად. საკვანძო პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- ყოველწლიური ანალიტიკური ეროვნული გეგმის შემუშავება და განხორციელება;
- მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის ეროვნული შეფასების შემუშავება და წარდგენა;
- სხვა სტრატეგიული შეფასების შემუშავება და წარდგენა ეროვნულ დონეზე სამართალდამცავი სამსახურების მართვისა და დაგეგმვის მხარდასაჭერად;
- რეგიონული დონისთვის ანალიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- სტანდარტების დადგენა და ანალიტიკური საქმიანობის კოორდინაცია ქვეყნის მასშტაბით;
- ანალიტიკურ სფეროში უცხო ქვეყნის სამართალდამცავი სამსახურებისა და ორგანიზაციებისთვის საკონტაქტო პირის მოვალეობის შესრულება; და
- კვლევების ჩატარება და პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;⁶²

იდეალურ შემთხვევაში, ეროვნული ანალიტიკური დეპარტამენტი (NCID) სხვადასხვა შესაბამისი უწყებებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ექსპერტებით დაკომპლექტებული მრავალუწყებრივი სამართალდამცავი უწყება უნდა იყოს, სადაც სხვა უწყებების/დანესებულებების ექსპერტებს ექნებათ ნდომა მათი ინსტიტუტის ინფორმაციასა და მონაცემთა ბაზებზე, ისევე როგორც კანონით დადგენილი უფლება გაუზიარონ ეს მონაცემები და ინფორმაცია ეროვნულ ანალიტიკურ დეპარტამენტში წარმოდგენილი სხვა უწყებების/ინსტიტუტების წარმომადგენლებს. თითოეულ ქვეყანაში უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ეროვნულ ანალიტიკურ დეპარტამენტში (NCID) შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახელმწიფო უწყებები:

62 ასევე იხ. UNODC-ის რეკომენდაციები საინფორმაციო-ანალიტიკური ქვედანაყოფების მართვისა და სტანდარტების დადგენის შესახებ (2011b: 51, 61).

- სასაზღვრო პოლიცია;
- სასაჯელაღსრულების სამსახური;
- საბაჟო;
- ფინანსური მონიტორინგის სამსახური (FIU);
- სანაპიროს დაცვა/საზღვაო პოლიცია;
- დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურები;
- პოლიცია;
- საგადასახადო სამსახურები;
- შესაბამისი სპეციალიზებული სამართალდამცავი სამსახურები/ორგანოები.

ეროვნულ (NCID) წარმოდგენილმა უწყებებმა/ინსტიტუციებმა შეიძლება შექმნან თანამშრომლობის ოფიციალური შეთანხმებები, მათსა და ანალიტიკურ დეპარტამენტს შორის. ასეთი შეთანხმებების ფარგლებში, ეუთოს ზოგიერთმა მონაწილემ სახელმწიფომ აირჩია ზემოაღნიშნული უწყებების/ინსტიტუციების წარმომადგენლების საკონტაქტო პირებად განთავსება NCID-ში.

7.5 სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები

ეუთოს რიგმა მონაწილემ სახელმწიფოებმა შეიმუშავეს პროაქტიური და ანალიზზე დაფუძნებული გადანყვევტილების მიღების მექანიზმები, რომლებსაც ჩვეულებრივ „სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრებს“, „ხელმძღვანელობისა და საკოორდინაციო შეხვედრებს“ ან „ინფორმაციის გაზიარებისა და ბრიფინგის შეხვედრებს“ უწოდებენ. სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები ტარდება სამივე ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. მათი მთავარი მიზანია: თითოეულ დონეზე, შესაბამისი სამართალდამცავი სამსახურების წარმომადგენლების შეკრება ანალიზისა და შეფასების დოკუმენტებზე დაყრდნობით გეგმებზე, პრიორიტეტებზე, ოპერაციებსა და გამოძიებებზე გადანყვევტილებების მიღების მიზნით; ინფორმაციის/ანალიზის აღმოსაფხვრელი ხარვეზების გამოვლენა; ფინანსური და ადამიანური რესურსების განაწილებაზე გადანყვევტილების მიღება.

მსგავსი მონყობა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ცენტრალური ნაწილია, ვინაიდან იგი ანალიზის შედეგებს ასახავს მენეჯმენტის პროცედურებში, რითაც გადანყვევტილების მიღების პროცესი მეტად ინფორმირებული, ანალიზზე დაფუძნებული, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ხდება. გარდა ამისა, ანალიტიკური მექანიზმების შექმნა, რომელიც თითოეულ დონეზე გადანყვევტილების მიღებას ემსახურება, საშუალებას აძლევს პოლიციის ხელმძღვანელ რგოლს, განსაზღვროს პრიორიტეტული სამართალდაცვითი ამოცანები, გამოვლენილი და შეფასებული საფრთხეების შესაბამისად და გამოყოს არსებული ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსები პრიორიტეტული მიმართულებებისათვის. გადანყვევტილების მიღებისთვის გამიზნული შეხვედრების თითოეულ დონეზე, ასევე მნიშვნელოვანია ანალიტიკური ხარვეზების, ანალიტიკური ინფორმაციის მოთხოვნების გამოვლენა და ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ანალიტიკური განყოფილებების/ქვედანაყოფებისთვის ამოცანების დასახვა. ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის და დონეებს შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, ზემოხსენებულ შეხვედრებში მონაწილეობს ხელმძღვანელი ან მისი ქვემდგომი.

წინამდებარე გზამკვლევის რეკომენდაციაა, რომ სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები დაიყოს სტრატეგიულ და ოპერატიულ სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრებად.

7.5.1 სტრატეგიული სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები

როგორც ეს სახელწოდებიდან ჩანს, ამ შეხვედრებზე ყურადღება მახვილდება სტრატეგიულ საკითხებზე. სტრატეგიული შეხვედრები ბევრად უფრო იშვიათად იმართება, ვიდრე ოპერატიული, როგორც წესი წელიწადში ორჯერ ან სამ თვეში ერთხელ. ზოგიერთ ქვეყანაში სტრატეგიული სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები სამივე დონეზე იმართება, თუმცა უფრო ხშირად მხოლოდ ცენტრალურ/ეროვნულ დონეზე. შეხვედრებზე ყურადღება მახვილდება სტრატეგიულ დაგეგმვასა და სტრატეგიული პრიორიტეტებისა და ამოცანების დასახვაზე, სტრატეგიული ანალიზისა და საფრთხეების შეფასების, ისევე როგორც ორგანიზაციული პროცესების დაგეგმვისა და საბიუჯეტო ციკლების საფუძველზე. რეკომენდებულია, სტრატეგიულ სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრებზე სტრატეგიული ანალიზის შედეგებისა და საფრთხეების შეფასებების საფუძველზე, განისაზღვროს და დადგინდეს ეროვნული დონის ანალიტიკური ინფორმაციის მოთხოვნები, პრევენციისა და აღსრულების პრიორიტეტები. მსგავსი გადანყვეტილებების მიღების შემდეგ, შეხვედრებზე უნდა გადანყვედეს, თუ რა რესურსებია საჭირო სტრატეგიული მიმართულებების განსახორციელებლად.⁶³

7.5.2 ოპერატიული სამუშაო და საკოორდინაციო შეხვედრები

წინამდებარე გზამკვლევის რეკომენდაციაა, რომ ანალიზზე დაფუძნებული ოპერატიული გადანყვეტილების მიღების მექანიზმები, სამივე დონეზე, კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ ტარდებოდეს. შეხვედრებს უნდა ესწრებოდნენ ოპერატიული და საგამოძიებო მიმართულებების ხელმძღვანელები ანალიტიკური დეპარტამენტის, ქვედანაყოფის/განყოფილების მენეჯერებთან, და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ექსპერტებთან ერთად. რეკომენდებულია, რომ თითოეულ შეხვედრას უძღვეოდეს უმაღლესი რანგის ოპერატიული მენეჯერი. სტრუქტურულიდან და ეროვნული/რეგიონული/ადგილობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ოპერატიული სამუშაოს და საკოორდინაციო შეხვედრების ძირითადი ამოცანებია: სტრატეგიული გეგმების სამოქმედო გეგმებად გადაქცევა, მოთხოვნების, პრიორიტეტებისა და რესურსების შესაბამისობაში მოყვანა; ახალი ან განახლებული ოპერატიული ანალიტიკური ანგარიშების შეფასება და გადანყვეტილებების მიღება ახალი გამოძიებების ან ოპერატიული საქმიანობის შესახებ, ან საქმეებზე მუშობის შეწყვეტის ან მათი გაერთიანების შესახებ; ინფორმაციისა და ანალიტიკური ხარვეზების გამოვლენა და ანალიტიკური ქვედანაყოფების/განყოფილებებისთვის მათი აღმოფხვრის დავალება; მიმდინარე ოპერატიული საქმიანობის პროგრესის მონიტორინგი.

7.6 ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება

ტრენინგი საკვანძო ფაქტორია ნებისმიერი ორგანიზაციის პროგრესისთვის. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას,

63 იხ. ქვეთავში 8.2. წარმოდგენილი კარგი პრაქტიკის ეროვნული მაგალითები.

აუცილებელია, სასწავლო გეგმის შემუშავება და ყველა სამართალდამცავის კოორდინირებული ტრენინგს პერსონალის თითოეულმა წევრმა არამხოლოდ საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი უნარები უნდა ისწავლოს, არამედ ეს მოდეს სხვა წევრების როლი, რათა წვლილი შეიტანოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის საერთო შედეგების მიღწევაში. ტრენინგის საშუალებით პერსონალმა უნდა გაიგოს თუ რა არის ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა, როგორ მუშაობს ანალიტიკური პროცესი, როგორ უნდა შეუწყოს ხელი ამ პროცესს და როგორ გამოიყენოს იგი. გადამზადებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის გაზიარების კულტურას ყველა დონეზე. გარდა ამისა, ტრენინგი უნდა მოიცავდეს ანალიტიკურ ფუნქციებთან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და ადამიანის უფლებათა და მონაცემთა დაცვის შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, ღონისძიების მონაწილის თანამდებობისა და ფუნქციების შესაბამის დონეზე.

„ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის, როგორც ოცდამეერთე საუკუნის საპოლიციო საქმიანობის ცენტრალური პარადიგმის, წარმატებისა და განვითარებისათვის, გადამწყვეტი და შესაძლოა, მისი მომავლის მთავარი განმსაზღვრელიც კი იყოს ტრენინგები და განათლება არა მხოლოდ ანალიტიკოსებისთვის, არამედ პოლიციის ხელმძღვანელებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მთავარი გადანყვეტილების მიმღები პირებისათვის.“

– Ratcliffe (2016: 143).

ცნობიერების მაღალი დონე

როგორც უკვე აღინიშნა, პოლიტიკური მხარდაჭერა და მთავრობის მიერ ვალდებულების აღება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის წარმატებით განხორციელების წინაპირობაა. ეს მოითხოვს ცნობიერების ამაღლებას უმაღლეს დონეზე, მათ შორის პოლიტიკოსები, ყველა შესაბამის სამინისტროსა და სახელმწიფო უწყების მოხელეები, მთავარი პროკურორები და პროკურატურის სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები და ყველა სამართალდამცავი უწყებისა და სამსახურის უმაღლესი დონის ხელმძღვანელობა.

სამართალდამცავი სამსახურების ხელმძღვანელობისა და მმართველი რგოლის ტრენინგი

ტრენინგის მთავარი მიზანია იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეუძლია ILP მოდელს დაეხმაროს პოლიტიკის განმსაზღვრელებსა და მენეჯერულ რგოლს სამართალდამცავ ორგანოებში გადანყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში. ხელმძღვანელობის წარმატებული ტრენინგი შედეგად მოგვცემს ILP-ის პოტენციალის მეტად გააზრებას, ანალიტიკოსებისთვის ამოცანების გაუმჯობესებულ დასახვას და ანალიზის პროდუქტების ოპერატიული და სტრატეგიული გადანყვეტილებების

მიღებისა და დაგეგმვის პროცესში გამოყენების ცოდნას. ასეთმა ტრენინგმა, ასევე უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ ადამიანის უფლებათა და მონაცემთა დაცვის შესაბამისი, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა, ისევე როგორც ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ქრილში, ადამიანის უფლებათა შესაძლო საკითხების და მათი გადაჭრის გზების გააზრება.

ანალიტიკოსების ტრენინგი

ანალიტიკოსების მომზადება ჩვეულებრივ სტრატეგიული და ოპერატიული ანალიზის ტრენინგებად იყოფა, ანალიზის ორი ძირითადი კატეგორიის შესაბამისად. ანალიტიკოსებმა უნდა გაიარონ მრავლისმომცველი ტრენინგი, რათა გაიგონ დანაშაულის ანალიზის როლი სამართალდამცავ სამსახურებში, საკანონმდებლო ბაზა და სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებიც ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდებზე, ასევე ინფორმაციის გაზიარებასა და გამოყენებაზე ვრცელდება. ტრენინგი ასევე უნდა მოიცავდეს მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვებისა და სტრუქტურირების, დეტალური ანალიზის, დასკვნების გამოტანისა და რეკომენდაციების წარდგენის უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. გარდა ამისა, ანალიტიკოსთა ტრენინგი მოიცავს: ანგარიშის წერის უნარებს; თანამშრომლობას ანალიტიკოსსა და გამოძიებებს შორის და ანალიტიკოსსა და გადაწყვეტილების მიღებ პირს შორის; ანალიზის მეთოდებს, ინსტრუმენტებს, ტექნიკას და ანალიზის პროგრამულ უზრუნველყოფას; ინფორმაციის წყაროებს; შეფასების კოდებს; ამოცანასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ჩარჩოებს, ადამიანის უფლებებს და პოლიციის ეთიკას. ტრენინგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ეტაპად და სხვადასხვა დონეზე.

გამომძიებლების ტრენინგი

გამომძიებთა ოპერატიულ-ანალიტიკურ მუშაობას მოიცავს. ამიტომ, გამომძიებლებმა საქმეზე მუშაობის დაწყებამდე უნდა გაიარონ სათანადო ILP ტრენინგი. გამომძიებლების ტრენინგი უნდა მოიცავდეს ოპერატიული ანალიზის გაცნობას, თუ როგორ შეუძლია მას სისხლის სამართლის გამოძიების მხარდაჭერა, ასევე ანალიტიკოსებსა და გამომძიებლებს შორის თანამშრომლობას.

ველზე მომუშავე პოლიციელების ტრენინგი

ფორმიან პოლიციას პირდაპირი კონტაქტი აქვს საზოგადოებასთან და დანაშაულში ჩართულ პირებთან, შესაბამისად, ანალიტიკური სექტორისთვის, ისინი ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ. ყველა ფორმიანმა ოფიცერმა უნდა გაიაროს ზოგადი ტრენინგი ILP-ის და მისი ძირითადი კომპონენტების შესახებ, მათ შორის მათი პასუხისმგებლობის შესახებ ILP მოდელის ფარგლებში.

კადეტების ტრენინგი

ILP ტრენინგი უნდა დაინერგოს პოლიციის საბაზისო კურსში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ILP-ის ფარგლებში ყველა ძირითადი კონცეფციის განმარტება, ანალიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ზედმეტი ბუნდოვანების თავიდან არიდების მიზნით. ძალისხმევა უნდა განხორციელდეს ანალიტიკური საქმიანობის პოლიციის ჩვეულებრივ საქმიანობაში დანერგვისათვის, რომელიც მიმზიდველი სფერო იქნება მომავალი პოლიციელებისთვის.

8. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) პრაქტიკაში


წინა თავებში, ყურადღება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) კონცეფციისა და ანალიტიკური პროცესის განმარტებაზე მახვილდებოდა, წარმოდგენილ იქნა ILP-ის წარმატებული განხორციელებისთვის ძირითადი გამოწვევები, წინაპირობები, ორგანიზაციული სტრუქტურის შესაძლო ცვლილებები.

მე-8 თავი წინა თავებში წარმოდგენილი ცნებების გაგრძელებაა და პრაქტიკაში ILP-ის გამოყენების რამდენიმე მაგალითს გვთავაზობს. იგი იწყება ქვეთავით იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს საფრთხის შეფასება მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდგომ განხილულია, ეროვნულ დონეზე, ზოგადად ILP-ის ან მისი ძირითადი კომპონენტების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკების ზედიზედ მაგალითი და ბოლოს, ქვეთავები 8.3. და 8.4. განიხილავენ ILP-სა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობას, ისევე როგორც ILP-ის როლს ტერორიზმისა და VERLT-ის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საქმეში.

8.1 ILP, საფრთხის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში

ორგანიზებული დანაშაული საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ადამიანის უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებების დაცვას და ზიანს აყენებს საზოგადოებების ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სამოქალაქო განვითარებას მთელს მსოფლიოში⁶⁴. თუმცა, სამართალდამცავ ორგანოებს, მათი მიერ ორგანიზებული დანაშაულისა და ორგანიზებული კრიმინალური ქსელების შესახებ შესაბამის იურისდიქციებში მიღებული ინფორმაციისა და ანალიზის, მხოლოდ მცირე პროცენტის გამოძიება შეუძლიათ. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ საფრთხეების სერიოზულობის შეფასება, პრიორიტეტების განსაზღვრა და ხელმისაწვდომი ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების დადგენა. ILP მოდელი უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია თანამედროვე მიდგომისა

64 United Nations Office on drugs and Crime www.unodc.org/unodc/en/organized-crime/index.html?ref=menuside



და ორგანიზაციული სტრუქტურებისთვის, რათა დანერგონ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის აღკვეთის ერთადერთი, საყოველთაოდ აღიარებული მოდელი, კერძოდ, მონაცემთა და ინფორმაციის ანალიზი, გაზიარება და თანამშრომლობა, გამოვლენილ და შეფასებულ საფრთხეებზე მუშაობა პრიორიტეტულად და მიზანმიმართულად.

„მძიმე და ორგანიზებული დანაშაული კვლავ უაღრესად დინამიკურად და სწრაფად სარგებლობს გარემოში მიმდინარე ფართო ცვლილებებით. სამართალდამცავი სამსახურებისთვის [...] გამოწვევაა ფეხი აუწყონ ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და მზარდ კომპლექსურ კრიმინალურ ნამონყებებს, რომლებიც ეკონომიკისა და საზოგადოების ყველა სექტორში აღწევენ – ამავდროულად, იმოქმედონ შეზღუდული დანახარჯების პირობებში ან ხშირ შემთხვევაში გაუმკლავდნენ შემცირებულ ბიუჯეტებს. დანაშაულის მსგავსად, საპოლიციო საქმიანობა სულ უფრო კომპლექსური ხდება, ხოლო კრიმინალებთან ბრძოლა მოითხოვს სპეციალიზაციის უპრეცედენტო ხარისხს და ექსპერტულ ცოდნას. სამართალდამცავ სამსახურებს მოუწევთ იპოვონ გზები, ბიუჯეტის შეზღუდვების პირობებში, დააკმაყოფილონ მაღალ სპეციალიზებული ცოდნის საჭიროება. [...]

მონაცემთა მონინავე ანალიტიკა შეიძლება სამართალდამცავ სამსახურებს დაეხმაროს პრიორიტეტულად მიმართონ საკუთარი ძალისხმევა და ჩაერთონ ქვშმარიტად ჭკვიან და ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაში.“


– Europol (2015: 44).

8.1.1 ევროკავშირის პოლიტიკის ციკლი

ევროკავშირმა ILP ოფიციალურად 2005 წელს დაამტკიცა⁶⁵. მას შემდეგ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, ILP მიდგომით მუშაობდა ევროკავშირის საერთო სტრატეგიული და ოპერატიული სამოქმედო გეგმები. 2010 წელს, ევროკავშირმა მიიღო „ევროკავშირის პოლიტიკის ციკლი მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, რომელიც წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენილია, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი პრაქტიკის მაგალითი, ILP-ის პრინციპების შესაბამისად.⁶⁶


ევროკავშირის პოლიტიკის ციკლი ცდილობს უზრუნველყოს თანმიმდევრული ჩარჩო და ძლიერი ოპერატიული ქმედებები, ევროკავშირის წინაშე მდგარი ყველაზე აქტუალური, კრიმინალური საფრთხეების წინააღმდეგ. პოლიტიკის ციკლი მულტიდისციპლინური მიდგომით უზრუნველყოფს და მიმართულია სხვადასხვა სტრუქტურებს შორის ინტეგრაციისკენ, მათ შორის სამართალდამცავ და საზღვრის მართვის ორგანოებს შორის სინერგიების წარმოქმნითა და ევროპულ სააგენტოებსა და სხვა ევროკავშირის არაწევრ დაინტერესებულ მხარეებს შორის, შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობით.

თითოეული პოლიტიკის ციკლი მთლიანობაში მოიცავს ოთხ წელს და შედგება ოთხი ძირითადი საფეხურისგან, როგორც ნაჩვენებია ილუსტრაციაზე 8.1.



65 ევროკავშირის საბჭო. „საბჭოს დასკვნები ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეების შეფასების (OCTA) შემუშავების შესახებ“. დოკ. 10180/4/05, REV 4 (ბრიუსელი: 2005 წლის 3 ოქტომბერი).

66 ევროკავშირის საბჭო. „საბჭოს დასკვნები ორგანიზებული და მძიმე საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ევროკავშირის პოლიტიკის ციკლის შექმნისა და განხორციელების შესახებ. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საბჭოს 3043-ე შეხვედრა (ბრიუსელი: 2010 წლის 8 - 9 ნოემბერი).



ილუსტრაცია 8.1 ევროკავშირის პოლიტიკის ციკლი მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

MASP: მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმები

OAP: ოპერატიული სამოქმედო გეგმები

წყარო: ევროკავშირის საბჭო (2014).

ნაბიჯი 1 – ევროკავშირის მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასება (SOCTA)

SOCTA-ს შეიმუშავებს და გამოაქვეყნებს ევროპოლი, SOCTA-ს მრჩეველთა ჯგუფთან (ჯგუფი აერთიანებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის უწყებების, ევროკომისიისა და საბჭოს გენერალური სამდივნოს წარმომადგენლები) თანამშრომლობით, ევროპოლის მესამე პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით. ვინაიდან, მეთოდოლოგია ევროკავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ არის მონონებული, მას მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო და ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა გააჩნია.⁶⁷

67 ევროკავშირის საბჭო. „მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასება 2017 – შესწორებული მეთოდოლოგია“. დოკ. 14913/15, CRIMORG 128 (ბრიუსელი: 2015 წლის, 11 დეკემბერი).

„სტრატეგიული პრიორიტეტებიდან ოპერატიულ ქმედებებამდე, [SOCTA] უზრუნველყოფს, რომ ანალიზზე დაფუძნებული მიდგომა, ევროკავშირის წინაშე მდგარი ძირითადი კრიმინალური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში იყოს მოქცეული“.

– **Europol (2010).**


ევროპოლის SOCTA პროცესი მოიცავს შემდეგს:

- კლიენტების დეტალური მოთხოვნების მომზადება და დამტკიცება;
- მეთოდოლოგიის მომზადება და დამტკიცება;
- ანალიტიკურ-საინფორმაციო მოთხოვნების გამოვლენა;
- მონაცემთა შეგროვება;
- მონაცემთა ანალიზი;
- SOCTA-ს ანგარიშის მომზადება, მათ შორის ძირითადი საფრთხეები და რისკები;
- შედეგებისა და რეკომენდებული პრიორიტეტების პრეზენტაცია.

ანალიზის პროცესი ოთხ ელემენტზე ამახვილებს ყურადღებას; თითოეული მათგანისთვის კონკრეტული მონაცემები გროვდება (იხ. ცხრილი 8.1):

- მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის სფეროები/ტიპები;
- ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები/ქსელები და მძიმე დანაშაულში ჩართული მარტო მოქმედი პირები;
- გარემო: დაუცველი მხარეები, შესაძლებლობები და ინფრასტრუქტურა;
- შედეგები და ზიანი.

საფრთხის საწყისი შეფასება 8.1. ცხრილის პირველ ორ სვეტში მოცემული, ორი ტიპის ინდიკატორის, თვისებრივი ანალიზით ხორციელდება. და მაინც, საფრთხეს ზიანის მიყენება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დაუცველი მხარე. ამიტომ, ამ საფრთხეებით გამოწვეული რისკების კომპლექსური შეფასების უზრუნველსაყოფად, საჭიროა დაუცველი მხარეების და ალბათობის დამატებითი ელემენტების, ასევე შედეგებისა და ზიანის გამოვლენა, ანალიზი და შეფასება. საჯარო SOCTA მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია საფრთხისა და რისკის ინდიკატორები, რომლებიც უნდა შეფასდეს SOCTA პროცესში, აღნიშნული ნაჩვენებია ცხრილში 8.1.



ცხრილი 8.1. SOCTA პროცესში გასაანალიზებელი ინდიკატორები

საფრთხის შეფასება		საფრთხის + რისკის შეფასება	
დანაშაულის სფეროები/ტიპები	კრიმინალური ჯგუფები/ქსელები	დანაშაულის რელევანტური გარემო ფაქტორები	შედეგი/ზიანი
ხელმისაწვდომი რესურსები	კრიმინალური სფეროები/ტიპები, რომლებშიც ისინი აქტიურობენ	ეკონომიკური ვითარება	ფინანსური ზემოქმედება
მოთხოვნა და მიწოდება	პოლიკრიმინალური საქმიანობა	გეოპოლიტიკური ვითარება	სოციალური ზემოქმედება
დანაშაულის სფეროში/ტიპის მიხედვით აქტიური ჯგუფები	ეროვნება	ტრანსპორტი და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა	ჯანდაცვაზე ზემოქმედება
დანაშაულის სფეროს/ტიპის ევოლუცია	ჯგუფის ზომა	საზოგადოების დამოკიდებულებები	გარემოზე ზემოქმედება
გეოგრაფიული განზომილება	ფინანსური რესურსები	ინოვაცია	
დაკავშირებული სხვა დანაშაულის სფეროები/ტიპები	ადამიანური რესურსები	ინტერნეტი და ახალი ტექნოლოგიები	
დანაშაულის ჩადენის ხერხი (Modus Operandi)	ფინანსური მოგება	კანონმდებლობა	
	სხვა რესურსები	სამართალდამცავთა ქმედებები	
	სტრუქტურა, ტიპი	შინაგანი უსაფრთხოების საკითხებში ოპერატიული თანამშრომლობის კომიტეტის მიერ დადგენილი ევროკავშირის პრიორიტეტული დანაშაულებები (COSI)	
	ექსპერტული ცოდნა		
	თანამშრომლობა		
	დანაშაულის ჩადენის ხერხი (Modus Operandi)		
	გეოგრაფიული განზომილება		
	მოქნილობა და ადაპტირება		
	კონტროლისძიებები		
	კორუფცია და გავლენა საჯარო სექტორზე		
	იურიდიული ბიზნეს სტრუქტურების გამოყენება		
	ფულის გათეთრება – დახვეწილობის დონე		
	გარე ძალადობა		

საფრთხის შეფასება არა არსებული მდგომარეობის აღწერილობითი ანგარიშებია, არამედ მომავლისკენ მიმართული. ისინი წარმოადგენენ დასკვნებს ძირითადი საფრთხეების ჩამონათვალითა და პრიორიტეტულ საფრთხეებზე რეკომენდაციების საშუალებით. ევროპოლის SOCTA ანგარიშები ევროკავშირის შინაგანი უსაფრთხოების საკითხებში ოპერატიული თანამშრომლობის კომიტეტს (COSI) წარედგინება, სადაც ისინი განიხილება ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამრიგად, საბოლოო გადაწყვეტილება პროფესიონალი ექსპერტების შეფასებებისა და პოლიტიკური შეხედულებების ნაზავია.

ნაბიჯი 2 – მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმები

SOCTA-ს საფუძველზე, ევროკავშირის იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭო იღებს ოფიციალურ გადაწყვეტილებას, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, პრიორიტეტული დანაშაულებრივი სფეროების შესახებ. ამ პოლიტიკის დადგენისას საბჭო ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების, სააგენტოების და პარტნიორი არაევროკავშირის ქვეყნების შენიშვნებს.

თითოეული პრიორიტეტული სფეროსთვის ექსპერტთა ჯგუფი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ, მრავალწლიან სტრატეგიულ გეგმას (MASP) ამზადებს ოთხი წლისთვის. ეს მულტიდისციპლინური გეგმები შეიცავს სტრატეგიული მიზნების ჩამონათვალს, რომლებიც ოთხწლიანი ციკლის განმავლობაში უნდა შესრულდეს. თითოეული გეგმის ნაწილია შესრულების ძირითადი ინდიკატორები, ვადები, ეტაპები და პასუხისმგებელი უწყებები/პირები. ევროკავშირის შინაგანი უსაფრთხოების საკითხებში ოპერატიული თანამშრომლობის კომიტეტი (COSI) ამტკიცებს და ოფიციალურ სტატუსს ანიჭებს მრავალწლიან სტრატეგიულ გეგმებს (MASP), და უზრუნველყოფს მათ ფინანსურ რესურსებს.

ნაბიჯი 3 – ოპერატიული სამოქმედო გეგმები და ევროპული მულტიდისციპლინური პლატფორმა კრიმინალური საფრთხეების წინააღმდეგ (EMPACT)

თითოეული მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმის (MASP) საფუძველზე იქმნება წლიური სამოქმედო გეგმა (OAP) პრიორიტეტის მიხედვით. თითოეული წლიური სამოქმედო გეგმა აღწერს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და სააგენტოების ნაბიჯებსა და ქმედებებს, ისევე როგორც ცალკეული ეროვნული ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ ქმედებებს.

წლიური სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ერთობლივი ქმედებები, კრიმინალური საფრთხეების წინააღმდეგ, ევროპული მრავალდისციპლინური პლატფორმის (EMPACT) მექანიზმის ფარგლებში ხორციელდება. ეს მექანიზმი თანამშრომლობის სტრუქტურირებულ პლატფორმას უზრუნველყოფს შესაბამისი წევრი ქვეყნებისთვის, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და სააგენტოებისთვის, ასევე ჩართული ევროკავშირის არანაწევრი პარტნიორებისთვის. თითოეული, წლიური სამოქმედო გეგმის განხორციელებას ხელმძღვანელობს მოხალისე ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან, ხოლო განხორციელებას ეროვნულ დონეზე აკონტროლებენ ეროვნული EMPACT კოორდინატორები (NECs), რომლებიც ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანაშია დანიშნული. ევროპული EMPACT პროექტების

ადმინისტრაციულ და ლოგისტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს და აკონტროლებს მათ პროგრესს. ევროპოლი ასევე ნიშნავს EMPACT-ის ხელშემწყობ მენეჯერებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანალიტიკური და ოპერატიული მხარდაჭერა ყველა პრიორიტეტული დანაშაულის სფეროსთვის. COSI ამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმებს (OAP) და აკონტროლებს მათ განხორციელებას ყოველ ექვს თვეში ერთხელ ანგარიშგების საფუძველზე.

ევროკავშირის წვერი ქვეყნების ხელისუფლებებს მოუწოდებენ და ნაახალისებენ, ეროვნული დაგეგმვის პროცესებში, მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სამართალდამცავთა ბრძოლის ძალისხმევებში, მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმების (MASP) და წლიური სამოქმედო გეგმების (OAP) ინტეგრირებისაკენ. ევროკავშირის შესაბამის სააგენტოებს ასევე მოუწოდებენ, პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმების თავიანთ წლიურ სამუშაო პროგრამებში ასახვისკენ.

ნაბიჯი 4 – გადახედვა და შეფასება

COSI განიხილავს წლიური სამოქმედო გეგმების (OAP) ეფექტურობასა და მათ პრიორიტეტულ საფრთხეებზე ზემოქმედებას. საჭიროების შემთხვევაში ეროვნული უწყებების მიერ წლიური ანგარიშგება და ევროპოლის შუალედური შეფასება მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმების (MASP) ან პრიორიტეტების ადაპტირების ან შეცვლის შესაძლებლობას იძლევა. COSI იღებს ინფორმაციას ყოველწლიურ მდგომარეობის შესახებ და ატარებს საფუძვლიან და დამოუკიდებელ შეფასებას ყოველი პოლიტიკის ციკლის ბოლოს. ამ შეფასებიდან მიღებული გამოცდილება პოლიტიკის მომდევნო ციკლის საფუძველი ხდება.

8.1.2 Sleipnir-ის ორგანიზებული დანაშაულის შეფასების ინსტრუმენტი

Sleipnir-ის ტექნიკა შემუშავდა სტრატეგიული პრიორიტეტების დასახვის გაუმჯობესების მიზნით, კრიმინალური ინფორმაციის ანალიზში საიმედო ობიექტური, ექსპერტულ ცოდნაზე დაფუძნებული მეთოდის შემოთავაზებით, ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებების რანჟირების და შედარების ხელშესაწყობად, ისევე როგორც ინფორმაციული ნაკლოვანებების გამოსავლენად.

Sleipnir-ის ტექნიკა ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებზე მომუშავე ანალიტიკოსებს კომპლექსურ და გამჭვირვალე მეთოდს სთავაზობს, რეკომენდაციების შემუშავებისა და წარმოდგენის, ისევე როგორც ინფორმაციის ლაკონურად წარმოდგენის მიზნებისთვის. თუმცა, შედეგად მიღებული ჩარჩო და მატრიცა განხილულ უნდა იქნას არა იზოლირებულად, არამედ გააზრებული სტრატეგიული ანალიტიკური შეფასების კონტექსტში, რომელიც ხსნის გაკეთებული შედარებების დეტალებს და მნიშვნელობას.⁶⁸

თავდაპირველად, 19 კრიტერიუმი ან ატრიბუტი არსებობდა, რომლითაც ფასდებოდა საფრთხის შედარებითი დონე. ყველა ატრიბუტს ენიჭება მნიშვნელობა - „უცნობი“, „ნულოვანი“ და „მაღალი“ - მათი ზემოქმედების შესაბამისად, თუმცა Sleipnir-ის

68 კანადის სამეფო პოლიციის კრიმინალურ-ანალიტიკური ოფისი. "Sleipnir ვერსია 2.0, ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების შესაძლებლობების გაზომვის მატრიცა." (ოტავა, 2011).

ტექნიკის განახლებულმა ვერსიამ ატრიბუტების რაოდენობა 12-მდე შეამცირა. ამით ინფორმაციის შეგროვების პროცესი უფრო ეფექტური გახდა, ხოლო დარჩენილი ატრიბუტები ყურადღებას ამახვილებდა უფრო ადვილად დაკვირვებად ქცევაზე.

აუცილებელია იმის გააზრება, რომ Sleipnir-ის ტექნიკა სტრატეგიული ინსტრუმენტია, რომელიც ორგანიზაციული პრიორიტეტების განსაზღვრის ხელშეწყობისთვისაა შექმნილი და არა როგორც ტაქტიკური ანალიზის ინსტრუმენტი. Sleipnir-ის ტექნიკა ასევე ეფუძნება გარკვეულ ვარაუდებს, რომლებიც შესაძლოა არ ასახავდეს მზარდ კომპლექსურ და დახვეწილ კავშირებს საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის, ისევე როგორც და ამ ჯგუფებსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სტრატეგიული პრიორიტეტების შემუშავება, რომლებიც ზედმეტად კონცენტრირებულია მსხვილ, დახვეწილ ორგანიზაციებზე და უგულებელყოფს მცირე და პოტენციურად უფრო საშიშ ჯგუფებს, უცხოურ ორგანიზებულ დანაშაულთან ან ტერორიზმთან დაკავშირებით.⁶⁹ ამასთან, Sleipnir-ის ტექნიკა ეფუძნება ვარაუდებს, რომლებიც განსაზღვრავს კანადის საზოგადოების წინაშე არსებულ უდიდეს ალქმულ საფრთხეს, ხოლო ატრიბუტების რანჟირება აუცილებელი არაა ასახავდეს სხვა საზოგადოებების ან იურისდიქციების წინაშე არსებულ საფრთხეებს.

ცხრილი 8.2. Sleipnir-ის მოდელის გამოყენებით ხუთი დანაშაულის ჯგუფის შედარება

	ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4	ჯგუფი 5	საფრთხის ხარისხი
კორუფცია	Red	Red	Blue	Orange	Green	მაღალი
ძალადობა	Red	Red	Blue	Light Blue	Light Blue	საშუალო
ინფილტრაცია	Red	Red	Orange	Red	Light Blue	დაბალი
ფულის გათეთრება	Red	Red	Red	Orange	Orange	ნულოვანი
კოლაბორაცია	Red	Orange	Light Blue	Light Blue	Red	უცნობი
იზოლაცია	Red	Orange	Orange	Red	Light Blue	
მონოპოლია	Red	Orange	Red	Orange	Red	
მასშტაბი	Orange	Red	Red	Orange	Green	
ანალიზის გამოყენება	Orange	Light Blue	Red	Light Blue	Red	
დივერსიფიკაცია	Orange	Light Blue	Light Blue	Green	Blue	
დისციპლინა	Red	Orange	Red	Light Blue	Red	
ერთობა	Green	Green	Blue	Green	Light Blue	

საფრთხის კატეგორიებს, „ნულოვან“ და „უცნობს“ შორის მთავარი განსხვავებაა, თუ რამდენად შეგროვდა ინფორმაცია ჯგუფზე. თუ ჯგუფი არ არის გამოძიებული ან კრიმინალური ანალიზის საგანი, ინფორმაციის არ მქონე ატრიბუტები უნდა შეფასდეს

⁶⁹ Ratcliffe, Strang და Taylor (2014: 206-227).

როგორც „უცნობი“. „უცნობი“ ასევე უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ჯგუფს აქვს საფრთხის წარმოქმნის შესაძლებლობა, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ ისინი იყენებენ ამ შესაძლებლობებს, და როდესაც არსებობს ურთიერთსაინანაღმდეგო ინფორმაცია მის შესაძლებლობებზე, რაც არასაკმარისია მტკიცების მხარდასაჭერად.⁷⁰

Sleipnir-ის ქვეკომპონენტები

Sleipnir-ის ინსტრუმენტში არის 12 ატრიბუტიან „ღირებულება“, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ კანადური საზოგადოებისთვის შექმნილ საფრთხეს. ინსტრუმენტში ისინი კლასიფიცირდება ყველაზე დიდი საფრთხიდან ყველაზე მცირე საფრთხემდე. მაგალითად, „კორუფცია“ ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე დიდ საფრთხედ განიხილება, რასაც მოჰყვება „ძალადობა“.

ქვემოთ მოცემულია რანჟირება, რომელიც აღწერს სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფის შესაფასებლად გამოყენებულ 12 ატრიბუტს (P, იხილეთ ქვემოთ):

12. კორუფცია
11. ძალადობა
10. ინფილტრაცია
9. ფულის გათეთრება
8. კოლაბორაცია
7. იზოლაცია
6. მონოპოლია
5. მასშტაბი
4. ანალიზის გამოყენება
3. დივერსიფიკაცია
2. დისციპლინა
1. ერთობა

ქულების მინიჭება

12 ატრიბუტიდან თითოეული შეიძლება შეფასდეს შემდეგი მეთოდით:

- მალალი = $4 \times P$
- საშუალო = $2 \times P$
- დაბალი = $1 \times P$
- ნულოვანი = 0
- უცნობი = $2 \times P$

P არის ქვეკომპონენტის მინიჭებული ნომერი ზემოთ მოცემულ სიაში; მაგალითად, თუ მონოპოლია (#6) მალალია, ანალიზის გამოყენება (#4) საშუალო, ხოლო ძალადობა (#11) დაბალი, ქულა შემდეგნაირად გამოითვლება:

- მონოპოლია = $4 \times 6 = 24$

70 RCMP. "Sleipnir ვერსია 2.0". (2011: 2).

- ანალიზის გამოყენება = $2 \times 4 = 8$
- ძალადობა = $1 \times 11 = 11$

ჯამი იქნება 43. სხვა შემონმებულ ორგანიზაციებთან შედარებით მაღალი ქულა საფრთხის მაღალ დონეზე მიაჩნდება.

8.2 ეროვნულ დონეზე, ILP მოდელის განხორციელების მაგალითები

8.2.1-8.2.5 ქვეთავებში წარმოდგენილია ILP-ის განხორციელების მაგალითები ევროპის ხუთ ქვეყანაში. ქვეთავი 8.2.1. იწყება გაერთიანებულ სამეფოს, ეროვნული ანალიტიკური მოდელის (NIM) გაცნობით. 1990-იან წლებში ILP პირველად გაერთიანებულ სამეფოში შეიქმნა, მას შემდეგ ILP მოდელის პრაქტიკული გამოყენება და ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება. NIM-ს მოჰყვება გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში სამართალდამცავი ორგანიზაციის მიერ, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და სტრატეგიული დაგეგმვის მოკლე პრეზენტაცია. ქვეთავი 8.2.3. წარმოადგენს შვედეთის ILP მოდელს, ისევე როგორც ანალიზზე დაფუძნებულ ერთობლივ ეროვნულ ძალისხმევას (Joint National Efforts) შვედეთში მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. სერბეთის რესპუბლიკამ, 2016 წელს, ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ახალი კანონით პოლიციის შესახებ, კონკრეტული სამართლებრივი დებულებები გააერთიანა და ILP-ის ეროვნული სახელმძღვანელო შეიმუშავა სერბეთის სამართალდამცავი სამსახურებისთვის. აღნიშნული ღონისძიებები მოცემულია 8.2.4. ქვეთავში. ბოლო მაგალითი აღწერს მონტენეგროს მიდგომას მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეების შეფასებისადმი.

8.2.1 გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანალიტიკური მოდელი

ეროვნული ანალიტიკური მოდელი (NIM) არის გაერთიანებულ სამეფოში ILP-ის განხორციელების ჩარჩო.⁷¹ ეროვნული ანალიტიკური მოდელის (NIM) მიზანია, ოპერატიულ საპოლიციო საქმიანობაზე კონცენტრირება და ხელმისაწვდომი რესურსებით არაპროპორციულად მაღალი ზემოქმედება. ის ეფუძნება მონაცემთა და ინფორმაციის ანალიზის მკაფიო ჩარჩოს, რაც პრობლემის გადანყვევის მიდგომას უზრუნველყოფს სამართალდამცავი საქმიანობისა და დანაშაულის პრევენციის ტექნიკის მიმართ. მოსალოდნელი შედეგებია საზოგადოების გაუმჯობესებული უსაფრთხოება, დანაშაულის შემცირება და კრიმინალისა და არეულობის კონტროლი, რაც საზოგადოების უფრო მეტ რწმენასა და ნდობას იწვევს. ეროვნული ანალიტიკური მოდელი (NIM) არ არის შეზღუდული ან შემოფარგლული მხოლოდ სპეციალიზებული გამოყენებით. იგი სამართალდამცავი სფეროს ყველა არეალისთვისაა რელევანტურია: დანაშაული დამისი გამოძიება, არეულობა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება. საერთო ჯამში, NIM ეს არის ბიზნეს მოდელი ოპერატიული საპოლიციო საქმიანობისთვის.

71 ეს ქვეთავი შედგენილია ორი დოკუმენტის საფუძველზე: (i) კრიმინალური ანალიტიკური სამსახურის (NCIS) ეროვნული ანალიტიკური მოდელი (NCIS Corporate Communications, 2000); და (ii) საქმიანობის კოდექსი - ეფექტური საპოლიციო საქმიანობის ეროვნული ცენტრის ეროვნული ანალიტიკური მოდელი (ლონდონის შინაგან საქმეთა სამინისტრო, CENTREX, 2005).



ილუსტრაცია 8.2. გაერთიანებული სამეფოს ეროვნული ანალიტიკური მოდელი

წყარო: NCIS (2000: 9).

ეროვნული ანალიტიკური მოდელი (NIM) წარმოადგენს, როგორც ანალიტიკური პროცესებისა და პროდუქტების აღწერას, ისე მმართველი რგოლის გადაწყვეტილების მიღების მოდელს. კრიმინალის შემცირებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია სამართალდამცავი მმართველი რგოლის პროაქტიური როლი.

პროცესი სამ დონეზე ხორციელდება: 1-ლი დონე (სოპ/ადგილობრივი დონე), მე-2 დონე (ძალაგანთაშორისი/რეგიონული) და მე-3 დონე (ეროვნული/საერთაშორისო).


თითოეულ დონეზე, ანალიტიკური პროდუქტების პროცესები და ხასიათი არსებითად იდენტურია, თუმცა პროდუქტების დეტალური შინაარსი და დასამუშავებელ მონაცემთა ხასიათი განსხვავდება. ეს მსგავსება, მთლიან მოდელში მიზანმიმართულად არის ხაზგასმული, სხვადასხვა დონეზე მომუშავე პროფესიონალთა შორის ურთიერთგაგების გასაღრმავებლად.

ეროვნული ანალიტიკური მოდელი (NIM) მოქმედებს, ან როგორც დამოუკიდებელი სისტემა საქმიანობის ერთ დონეზე ან როგორც ინტეგრირებული მოდელი, სადაც ის ურთიერთქმედებს თითოეულ დონეზე პრობლემებისა და მათი პოტენციური გადაწყვეტების უკეთესად გამოსავლენად. მოდელი თითოეულ ანალიტიკურ ქვედანაყოფს აღწერს შესაბამის დონეზე, მისი ანალიტიკური მოთხოვნების დადგენით. ანალიტიკური პროდუქტების სტანდარტიზაცია ანალიზის საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს, თუმცა ის მოითხოვს სისტემებს, რომლებიც თითოეულ ანალიტიკურ ქვედანაყოფს, კოლეგების მიერ შენახული მონაცემებით სარგებლობის საშუალებას აძლევს.


მე-3 დონის მთავარი პროდუქტია „გაერთიანებული სამეფოს ყოველწლიური საფრთხეების შეფასება“, უფრო ზუსტად „მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის ეროვნული სტრატეგიული შეფასება“ (NSA). მას გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სააგენტო (NCA) ამზადებს საპოლიციო ძალების, მისი უდიდესობის საბაჟო და აქციზის, დაზვერვისა და უსაფრთხოების სააგენტოების და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე.

„მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის ეროვნული სტრატეგიული შეფასება“ (NSA) წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოსა და მის ინტერესების რისკის მქონე მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის ყოველწლიურ სურათს. იგი წარმოადგენს ინფორმაციას პრიორიტეტების, მიღებული ქმედებების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ისევე როგორც წარმატების საზომს.

დავალებების გაცემის და კოორდინაციის ჯგუფები, რომელთა შეხვედრები სამივე დონეზე ტარდება, ეროვნული ანალიტიკური მოდელის (NIM) ცენტრალური ნაწილია. ჯგუფების შეხვედრები სტრატეგიული დონის დავალებების გაცემის და კოორდინაციის და ტაქტიკური დავალებების გაცემის და კოორდინაციის შეხვედრებად იყოფა. ამ შეხვედრების მიზანია, „კონტროლის სტრატეგიაზე“ შეთანხმება, რომელიც მაქსიმალური გავლენის მისაღწევად, ადგენს ანალიზის მოთხოვნებს და ანალიტიკური, პრევენციისა და აღსრულების პრიორიტეტების დღის წესრიგს. ამ მიზნით, სამართალდამცავი სფეროს მმართველი რგოლის წარმომადგენლები კარგად უნდა აცნობიერებდნენ არსებული პრობლემების ჭეშმარიტ ბუნებას და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის, რომელიც ადგენს პრიორიტეტებს, საჭირო რესურსებს და რომელსაც ქმედებების ინიცირება შეუძლია. ამოცანებისა და კოორდინაციის პროცესი სწორედ ასეთი მექანიზმია.



დავალებების გაცემა და კოორდინაცია



ილუსტრაცია 8.3. სტრატეგიული და ტაქტიკური დავალებების გაცემის და კოორდინაციის პროცესები გაერთიანებულ სამეფოში

წყარო: NCIS (2000: 14).

სტრატეგიული დავალებები

სტრატეგიული დავალებების გაცემის და საკოორდინაციო შეხვედრების მიზნებია კონტროლის სტრატეგიის შემუშავება ან შესწორება და ძირითადი რესურსების უზრუნველყოფა დასახული პრიორიტეტების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული დავალებების გაცემის და საკოორდინაციო ჯგუფი იკრიბება კვარტალურად, ან ნახევარ წელიწადში ერთხელ და თავის საქმიანობას, ბიზნეს დაგეგმვის ციკლს არგებს. ჯგუფის საქმიანობა ეფუძნება „სტრატეგიული შეფასების“ (NSA) თანახმად გამოვლენილ პრობლემებსა და საკითხებს, რომლებიც სამთავრობო და ადგილობრივი მიზნების გათვალისწინებით განიხილება, და ანალიზის, აღსრულების და პრევენციის პრიორიტეტების დასადგენად გამოიყენება. მისი საქმიანობა სრულდება რესურსების გამოყოფით და კონტროლის სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო პოლიტიკის დადგენით.

ტაქტიკური დავალებები

ტაქტიკური დავალებების გაცემის და კოორდინაციის ჯგუფი იკრიბება ყოველკვირეულად ან ყოველ მეორე კვირაში. მას სამი ძირითადი როლი გააჩნია:

წარმართოს და გამოიყენოს ტაქტიკური საშუალებები კონტროლის სტრატეგიის მიმართ; მოახდინოს ახალ საჭიროებებზე რეაგირება; შეამოწმოს, რომ შეთანხმებული გეგმები და სამართალდაცვითი საქმიანობა მიზნისკენ მიმავალ კურსს არ უზღვევდეს. ტაქტიკური შეფასების ანგარიში არის ძირითადი ანალიტიკური პროდუქტი, რომელიც ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს.

ტაქტიკური მიზნები ოთხ ელემენტს მოიცავს:

- კონტროლის სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად, სამიზნე დამნაშავეებზე მუშაობა;
- დანაშაულისა და არეულობის ცხელი წერტილების მართვა;
- დანაშაულებისა და ინციდენტების გამოძიება, რომლებიც შეიძლება „სერიულ“ ხასიათს ატარებდნენ;
- მთელი რიგი „პრევენციული ზომების“ გამოყენება, როგორცაა CCTV და განათების სქემები ან სათემო ინიციატივები.

ოთხი ტაქტიკური მიმართულებით, პროგრესის მონიტორინგი და მუშაობის ნახალისება, ტაქტიკური დავალებების გაცემის და კოორდინაციის შეხვედრის დღის წესრიგის ცენტრალური ნაწილია.

ანალიზზე დაფუძნებული სტრატეგიული და ტაქტიკური დავალებების გაცემის და კოორდინაციის პროცესები, ოთხ ძირითად ანალიტიკურ ანგარიშს ეფუძნება, რომლებიც მოკლედ ახსნილია ქვემოთ.

სტრატეგიული შეფასებები

სტრატეგიული შეფასების ანგარიშის მთავარი მიზანია, დავალებების გაცემის და კოორდინაციის ჯგუფს მიანოდოს ზუსტი სურათი, მის პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, თუ როგორ იცვლება ეს სურათი და როგორ შეიძლება შეიცვალოს მომავალში. ეს არის გრძელვადიანი, სამართალდამცავი საკითხების მაღალი დონის მიმოხილვა და, შესაბამისად, განიხილავს არა მხოლოდ მიმდინარე აქტივობებს, არამედ ცდილობს წარმოადგინოს სავარაუდო მოვლენების პროგნოზი. ადგილობრივად წარმოებული სტრატეგიული შეფასება, ხელს უწყობს რეგიონში დაგეგმვასა და პოლიტიკის შემუშავებას და დანაშაულებრივი სქემებისა და ტენდენციების უფრო ფართო სურათის გამოვლენას.

ტაქტიკური შეფასებები

ტაქტიკური შეფასება ტაქტიკური დავალებების გაცემის და კოორდინაციის ჯგუფის მუშაობის საფუძველს ქმნის. შეფასებით შესაძლოა გამოვლინდეს საყურადღებო ახალი დანაშაულებრივი სქემები და ტენდენციები, რომლებიც შემდგომ ანალიზს მოითხოვს. პროგრესი გამოძიებებში ან პრევენციულ ინიციატივებში, გამოავლენს მყისიერი ცვლილებების საჭიროებებს ტაქტიკურ დონეზე, რესურსების განაწილების თვალსაზრისით.

სამიზნეების პროფილები

სამიზნის პროფილი კონკრეტულ პირს ეხება და შეიცავს საკმარის დეტალებს მიზანმიმართული გამოძიების/ოპერაციის დასაწყებად ან ცალკეული ან ქსელური ჯგუფის წინააღმდეგ, მიმდინარე ოპერაციის დასახმარებლად. ის აჩვენებს კავშირებს სხვა გამოძიებებთან (მოძღვლის ყველა დონეზე) და შეიძლება მოიცავდეს პოტენციურად

საშიში დამნაშავეების რისკის პროფილებს. გამოვლენილი ანალიზის საფუძველზე, სამიზნის პროფილი მოიცავს მოქმედების საუკეთესო კურსს და წინადადებებს ანალიტიკურ სურათში არსებული ხარვეზების შესავსებად.

პრობლემის პროფილი

პრობლემის პროფილი განსაზღვრავს დამკვიდრებულ და ახალ დანაშაულს ან ინციდენტების სერიას. იგი ასევე გამოავლენს დამკვიდრებული და ახალი დანაშაულისა და ინციდენტების „ცხელ წერტილებს“ და ანალიზით გამოვლენილ პრევენციულ შესაძლებლობებს. სერიული დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, სადაც დადასტურებულია მეთოდები და დადგენილია კავშირები პოტენციურ დამნაშავეებთან, პროფილი მხარს უჭერს მიზანმიმართულ და რეაქტიულ გამოძიებას, ასევე პრევენციულ ინიციატივებს.

ანალიტიკური ქვედანაყოფები – ანალიტიკური საქმიანობის პრიორიტეტულობა

ეფექტურ და დაცულ ანალიტიკურ ქვედანაყოფს ესაჭიროება ოთხი ძირითადი აქტივი, რომლებიც მოკლედ არის აღწერილი ქვემოთ: *ინფორმაციის ადეკვატური წყაროები, სათანადოდ ორგანიზებული და გამოცდილი პერსონალი, ცოდნის პროდუქტებსა და სისტემის პროდუქტების სპექტრზე წვდომა.*

ინფორმაციის წყაროები

წყაროები, რომლებზეც ანალიტიკოსებს სჭირდებათ წვდომა, ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ: დაზარალებულები, მოწმეები, პატიმრები, ინფორმატორები და სათვალთვალო პროდუქტები. კარგად აღჭურვილ ანალიტიკურ ქვედანაყოფს ექნება წვდომა არსებული მონაცემების ფართო სპექტრზე, ასევე განახორციელებს წყაროების პროაქტიურად მოძიებას და მოქმედებს გამოვლენილი ინფორმაციული ხარვეზების შესავსებად.

პერსონალი

მეორე აუცილებელი აქტივს ადამიანები წარმოადგენენ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ანალიტიკური ქვედანაყოფის ხელმძღვანელად დაინიშნოს შესაბამისი სტატუსის მქონე მენეჯერი, რათა უზრუნველყოს ანალიტიკური ტექნიკისა და პროდუქტების მომატებული მნიშვნელობა და წონა, ამოცანებისა და საკოორდინაციო ჯგუფის წინაშე წარდგენამდე.

თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ ანალიზი, როგორც დისციპლინა, სათანადოდ იყოს წარმოდგენილი ფინანსური და ადამიანური რესურსების შესახებ მართვის დისკუსიებში. აუცილებელია, ანალიტიკური ქვედანაყოფების აღჭურვა არა მხოლოდ უკვე ცნობილი მონაცემებისა და ინფორმაციის დასამუშავებლად, არამედ ინფორმაციის პროაქტიური ან ფარული საშუალებებით შეგროვებისთვის. ხშირად, გამოვლენილი ინფორმაციული დანაკლისის შევსება შეუძლებელი იქნება ხელმისაწვდომი მასალის ანალიზითა და შეჯერებით. ანალიტიკურ ქვედანაყოფებს უნდა ჰქონდეთ უნარები და შესაძლებლობა, მართონ ცოცხალი წყაროები, ისევე როგორც თვალთვალის ტექნიკური ოპერაციები.

მოდელისთვის დამახასიათებელი სტანდარტების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, მომზადებული ანალიტიკოსების არსებობა. ანალიტიკური ტექნიკა

და პროდუქტები სტანდარტული ინსტრუმენტების სპექტრის ნაწილია, რომელიც ეროვნულ დონეზე, სამართალდამცავი ანალიტიკოსების პროფესიულ მომზადებასთან ახლავს.

ცოდნის პროდუქტები

მოდელის მტკიცებით ანალიტიკური დისციპლინა უნდა ისწავლებოდეს. პერსონალს სჭირდება წვდომა ცოდნის პროდუქტზე, რომელიც მოდელის ხარისხს უზრუნველყოფს. მსგავსი ცოდნის პროდუქტები, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, განსაზღვრავს საქმიანობის წარმართვის წესებს ან საუკეთესო პრაქტიკას, რომლითაც კვალიფიციური პროცესები სრულდება, და პირობებს, რომლის ფარგლებში სააგენტოებს შორის მუშაობა ხორციელდება. ცოდნის პროდუქტების ხელმისაწვდომობა პერსონალს მისი როლის შესრულებაში ეხმარება. მამასადამე, ტერმინი ცოდნის პროდუქტები აღწერს მრავალფეროვან ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ წესებსა და ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა ჩართულ უნდა ორგანიზაციის ანალიტიკურ სტრატეგიაში.

სისტემის პროდუქტები

სისტემის პროდუქტები ინფორმაციის შეგროვების, მიღების, ჩანერის, შენახვისა და გამოყენების საშუალებებს უზრუნველყოფს. ისინი უზრუნველყოფენ მონაცემების შენახვის, მოძიებისა და ანალიზის საშუალებებს. ეროვნული ანალიტიკური მოდელის (NIM) თანახმად, ეფექტურ ანალიტიკურ ქვედანაყოფებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მონაცემთა მთელ რიგ ეროვნულ სისტემებზე, ადგილობრივი პოლიციის საქმეებზე, დანაშაულისა და ანალიტიკურ ჩანაწერებზე და მრავალფეროვან ინფორმაციაზე ღია წყაროებიდან.⁷²

უსაფრთხოება

ეროვნული ანალიტიკური მოდელის (NIM) დაცულობა ფიზიკურ, გარემო, ტექნიკურ და პერსონალის უსაფრთხოების ადეკვატურ სტანდარტებს მოითხოვს. სახელმწიფო უსაფრთხოების კლასიფიკაციის პოლიტიკა საერთო სტანდარტებს ადგენს, ყველა სამთავრობო უწყებაში, სენსიტიური დოკუმენტებისა და სხვა მასალების დაცვისათვის. მისი პრინციპები ასევე ვრცელდება კომპიუტერული და ელექტრონული ჩანერის სისტემებზე შენახულ მონაცემებზე.

მონაცემთა დაცვა

მთავარი ოფიცრები პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი პროცედურებისა და სისტემების შემუშავებასა და განხორციელებაზე, პერსონალური ინფორმაციის გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის შესახებ 1998 წლის აქტისა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად შენახვისათვის. ინფორმაციის მართვა უნდა ხორციელდებოდეს „პოლიციის ინფორმაციის მართვის პრაქტიკის კოდექსის“ შესაბამისად.

72 ანალიტიკური დანაყოფის სისტემის პროდუქტების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. NCIS (2000).

8.2.2 ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, გერმანია: პოლიტიკის შემუშავება და სტრატეგიული დაგეგმვა

გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის პოლიცია ILP მოდელს იყენებს, მათ შორის პოლიტიკის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილში.⁷³ სტრატეგიის მართვისა და კონტროლის სისტემა დაფუძნებულია ოთხ საყრდენზე, რომლებიც სამხარეო საპოლიციო ძალის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:


- საფრთხის პრევენცია და საგანგებო რეაგირება (DE);
- დანაშაულთან ბრძოლა (გამოძიებები);
- ავტო-საგზაო შემთხვევებთან ბრძოლა (ტრანსპორტი);
- ადმინისტრაციული მომსახურება (AS).

მიუხედავად განსხვავებული ზომისა, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში (NRW) პოლიციის 47-ვე რეგიონულ სამსახურს (RPAs), იდენტური ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ, რომელთაც ძირითადი ამოცანების შესაბამის ოთხი დირექტორატს მოიცავენ, ხოლო დამატებითი პერსონალი პოლიციის ხელმძღვანელს უჭერს მხარს.

სტრატეგიული საფუძვლის სახით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის მასშტაბით განსაზღვრავს პრიორიტეტებს ზემოაღნიშნული ოთხი საყრდენის თითოეულ სფეროში (კონკრეტული სფეროს სტრატეგიები). ხდება მათი შემუშავება, პერიოდული შეფასება და ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის, ორი უწყების მიერ, ჯვარედინი შემონგებისა და შეჯერების შესაბამისად შესწორება. ეს პროცესი ასევე განსაზღვრავს დატვირთვის მიხედვით, რესურსების განაწილებას და ბიუჯეტირებას რეგიონული პოლიციისათვის (RPA).


პოტენციური პრიორიტეტების მაგალითები:

- (DE) პოლიციის ხელმისაწვდომობა;
- (გამოძიებები) არასრულწლოვანთან დანაშაულის შემცირება;
- (საგზაო მოძრაობა) ხანდაზმულებში ავტო-საგზაო შემთხვევების შემცირება;
- (AS) რეგიონულ პოლიციაში პერსონალის ხელმისაწვდომობა.



73 პასუხისმგებელი უწყება: Landesamt für Zentrale Polizeiliche Dienste NRW, Duisburg, Germany.

პოლიტიკის შექმნა და სტრატეგიული დაგეგმვა



GSF: წარმატების ზოგადი ფაქტორები

SSF: წარმატების განსაკუთრებული ფაქტორები

ილუსტრაცია 8.4. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება და სტრატეგიული დაგეგმვა, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის სამხარეო პოლიცია, გერმანია

თითოეული პრიორიტეტისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრო **წარმატების ზოგად ფაქტორებს (GSFs)** განსაზღვრავს, რომლებიც სტანდარტების, პროცედურებისა და ინდიკატორების წყებებს მოიცავს, და რომელთა გამოყენება სავალდებულოა ყველა რეგიონული პოლიციისთვის. ისინი წარმოდგენილი უნდა იყოს რეგიონული პოლიციის **უსაფრთხოების** წლიურ პროგრამაში, რომელიც აღწერს ადგილობრივ პრიორიტეტებსა და მიზნებს, მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და პასუხისმგებლობებს. სავალდებულო რეგიონულ სტანდარტებს, პროცედურებსა და ინდიკატორებს **წარმატების კონკრეტული ფაქტორები (SSFs)** ეწოდება. რეგიონული პოლიციის თითოეული დირექტორატი ვალდებულია წვლილი შეიტანოს დანარჩენი სამი დირექტორატის მიზნების შესრულებაში.

სამინისტროს სახელით, ორ სამხარეო უწყებას (*გამოძიებების სამხარეო ბიურო* და პოლიციის ტექნიკური სერვისების სამხარეო ბიურო) ავალია რეგიონული პოლიციის სავალდებულო საქმიანობის პერიოდული კონტროლი და შეფასება, რომლებიც დოკუმენტირებულია რეგიონული პოლიციის წლის ბოლოს წარმოებულ უსაფრთხოების ბალანსში. როგორც უსაფრთხოების პროგრამის, ასევე უსაფრთხოების ბალანსის მონახაზი და სტრუქტურა დადგენილი და იდენტიფიცირებულია ყველა რეგიონული პოლიციისთვის. ისინი უკუკავშირისა და ინტერვენციის პროცესისთვის ქმნიან საფუძველს, მათ შორის, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ჩათვლით. საქმიანობის ხელშეწყობისთვის, შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული მონაცემების მქონე რეგიონული პოლიციების შედარებითი ჯგუფები, შემდგომში გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობისა და ნახალისებისთვის.

აღწერილი მოდელის უპირატესობები:


- შეზღუდული რესურსებისა და ბიუჯეტის პირობებში, ძირითად ამოცანებზე კონცენტრირება;
- რეგიონული პოლიციის მიერ, ადგილობრივ დონეზე კუთვნილების განცდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება სამხარეო დონეზე დადგენილი მიზნების მხედველობაში მიღებით;
- რეგიონულ პოლიციის სამსახურებს შორის გაუმჯობესებული შედარებითობა .

8.2.3 შვედეთი: ILP მოდელის ორგანიზაცია და გადანყვეტილების მიღების სტრუქტურები

2015 წელს, შვედეთის პოლიციაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. 21 დამოუკიდებელი საპოლიციო უწყებიდან, რომელთაგან თითოეულს შვედეთის ეროვნული პოლიციის საბჭოს ხელმძღვანელი სტრუქტურა მართავდა, შეიქმნა ერთიანი ეროვნული საპოლიციო სამსახური, რომელსაც ეროვნული პოლიციის კომისარი ხელმძღვანელობს. ეროვნული საპოლიციო სამსახური შვიდ რეგიონად და ოპერაციების ეროვნულ დეპარტამენტად იყოფა. ხსენებული ორგანიზაციული ცვლილებები ახალი სტრუქტურის შექმნასა და თანამშრომლობისა და კოორდინაციის პროცესების დაწესებას მოიაზრებდა შვედეთში, ეროვნულ/რეგიონულ, სტრატეგიულ და საოპერაციო დონეებზე. შვედეთის ILP მოდელის ორგანიზაციული სტრუქტურა „ზემოდან-ქვემოთ“ მმართველობასა და კონტროლს ეფუძნება. თითოეულ დონეზე, ხელმძღვანელი ჯგუფების შეხვედრებს ესწრება შემდეგი ქვედა დონის წარმომადგენელი, აბსოლუტურად ყველა დონეზე კოორდინაციისა და ინფორმაციის

გაზიარების უზრუნველყოფის მიზნით.

ეროვნული სტრატეგიული მართვის ჯგუფს (SLG) ხელმძღვანელობს პოლიციის ეროვნული კომისარი. ჯგუფის შემადგენლობაში ასევე შედის შვიდი რეგიონული პოლიციის კომისარი, ეროვნული ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სხვა ეროვნული დეპარტამენტების ხელმძღვანელები, მათ შორის ფინანსური, კომუნიკაციისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტების წარმომადგენლები. სტრატეგიული მართვის ჯგუფი (SLG) დისტანციურად ორ კვირაში ერთხელ იკრიბება და სამთავრობო გადანაცვეტილებების, სტრატეგიული ანგარიშებისა და შეფასებების საფუძველზე გადანაცვეტილებებს იღებს ეროვნულ სტრატეგიულ მიმართულებებსა და გეგმებზე, ისევე როგორც გრძელვადიან პრიორიტეტულ სფეროებზე, მათ შორის რესურსების განაწილებაზე.



ილუსტრაცია 8.5. შვედური ILP მოდელის ორგანიზაციული და გადანაცვეტილების მიმღები სტრუქტურები

ეროვნულ ოპერატიული მართვის ჯგუფს (NOLG) ხელმძღვანელობს ეროვნული ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი. სხვა წარმომადგენლები არიან: პოლიციის შვიდი რეგიონის უფროსის მოადგილეები, ოპერატიული დაგეგმვის ეროვნული სამმართველოს უფროსი და ექსპერტიზის ეროვნული დეპარტამენტის უფროსი. შვედეთის უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული უფროსი და შვედეთის პროკურატურის ეროვნული საპროკურორო დეპარტამენტის უფროსი, დამკვირვებლის სტატუსით ესწრებიან შეხვედრებს. ეროვნული ოპერატიული მართვის ჯგუფი (NOLG) დისტანციურად იკრიბება ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ხოლო ცოცხალი შეხვედრები ყოველთვიურად ტარდება. ეროვნული ოპერატიული მართვის ჯგუფის (NOLG) ძირითადი პასუხისმგებლობაა, ეროვნულ დონეზე, პრიორიტეტული ქმედებების, ოპერაციებისა და გამოძიებების დადგენა, შვედეთის ეროვნული პოლიციის ეროვნული ოპერაციების დეპარტამენტის კრიმინალური ანალიზის განყოფილების ანალიტიკურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

რეგიონულ სტრატეგიული მართვის ჯგუფებს (RSLGs) ხელმძღვანელობენ პოლიციის შვიდი რეგიონული სამსახურის პოლიციის კომისრები. სხვა წარმომადგენლები არიან: რეგიონის პოლიციის თითოეული განყოფილების ხელმძღვანელი და ადამიანური რესურსების, ფინანსების, კომუნიკაციის, განვითარების, გამოძიებისა და ოპერაციების რეგიონული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და სხვა. რეგიონული სტრატეგიული მართვის ჯგუფის შეხვედრები ორ კვირაში ერთხელ იმართება. RSLG-ის ძირითადი მოვალეობებია რეგიონულ სტრატეგიული იმართულებებისა და გეგმების განხილვა და დამტკიცება, ისევე როგორც გრძელვადიანი პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა, რესურსების განაწილების ჩათვლით, ეროვნული ოპერატიული მართვის ჯგუფის (NOLG) გადაწყვეტილებების, სტრატეგიული ანგარიშებისა და შეფასებების საფუძველზე.

რეგიონულ ოპერატიული მართვის ჯგუფებს (ROLGs) ხელმძღვანელობენ პოლიციის შვიდი რეგიონის უფროსის მოადგილეები. სხვა წარმომადგენლები არიან: ოპერატიული ადგილობრივი ჯგუფების (POLGs) უფროსები რეგიონის პოლიციის თითოეულ რაიონში და რეგიონული საგამოძიებო და ოპერატიული დანაყოფების ხელმძღვანელები. თითოეული რეგიონული ანალიტიკური ქვედანაყოფის ხელმძღვანელი მოქმედებს, როგორც რეგიონული ოპერატიული მართვის ჯგუფების (ROLGs) მომხსენებელი. რეგიონული ოპერატიული მართვის ჯგუფები (ROLGs) ყოველ ორ კვირაში იკრიბებიან. მათი მთავარი პასუხისმგებლობაა რეგიონული, პრიორიტეტული მოქმედებების, ოპერაციებისა და გამოძიებების დადგენა, რეგიონული ანალიტიკური ქვედანაყოფების ხელმისაწვდომ ინფორმაციასა და ანალიზის ანგარიშებზე დაყრდნობით. რეგიონულ ოპერატიულ მართვის ჯგუფს (ROLG) შეუძლია შემთავაზებული ქმედებების ადგილობრივ დონეზე დელეგირება და ოპერატიული და ანალიტიკური მხარდაჭერის მოთხოვნა ეროვნული დონისგან (NOLG).

ადგილობრივ ოპერატიულ ჯგუფებს (POLGs) ხელმძღვანელობენ ადგილობრივი პოლიციის კომისრები. სხვა წევრები არიან პოლიციის ქვედანაყოფის ხელმძღვანელები და ადგილობრივი გამოძიებებისა და ოპერაციების ხელმძღვანელები. ადგილობრივი ანალიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელები მოქმედებენ, როგორც POLG-ის მომხსენებლები. ადგილობრივი ოპერატიული ჯგუფები იკრიბებიან კვირაში ერთხელ. მათი მთავარი პასუხისმგებლობაა, ადგილობრივი ანალიტიკური განყოფილების ანგარიშების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღება ადგილობრივ ქმედებებზე, ოპერაციებსა და გამოძიებებზე. ადგილობრივ ოპერატიულ ჯგუფს შეუძლია

მოითხოვოს ოპერატიული და ანალიტიკური მხარდაჭერა რეგიონული დონისგან (ROLG).



შვედეთის ერთობლივი ეროვნული ანალიტიკური და საოპერაციო ძალისხმევა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ


ადგილობრივ ქმედებებზე, ოპერაციებსა და გამოძიებებზე. ადგილობრივ ოპერატიულ ჯგუფს შეუძლია მოითხოვოს ოპერატიული და ანალიტიკური მხარდაჭერა რეგიონული დონისგან (ROLG). 2009 წელს, შვედეთის ცხრა საჯარო უწყებამ ხელი მოაწერა თანამშრომლობის შეთანხმებას, ერთობლივი ანალიტიკური და ოპერატიული ძალისხმევის დასაწყებად, ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე განსახორციელებლად, აღნიშნული ეროვნული ინიციატივა, 2016 წელს გაფართოვდა. იგი ზემოთ აღწერილი ILP-ის განმახორციელებელი სტრუქტურების პარალელურად ხორციელდება და პირდაპირ კავშირშია მათთან.

აღნიშნული ერთობლივი ქმედებები კონკრეტულ ანალიტიკურ, ოპერატიულ და საგამოძიებო ღონისძიებებს მოიცავს, თუმცა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, შვედეთის პოლიციისა და პარტნიორი უწყებების ზოგადი საქმიანობის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს.

მომდევნო 12 ეროვნული სააგენტო/უწყება მონაწილეობს და წვლილი შეაქვს ერთობლივ ძალისხმევაში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ:

- შვედეთის ეროვნული პოლიცია;
- დასაქმების ეროვნული სამსახური;
- ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახური;
- სოციალური დაზღვევის სააგენტო;
- ციხისა და პრობაციის სამსახური;
- აღსრულების ორგანო;
- მიგრაციის საბჭო;
- შვედეთის სანაპირო დაცვა;
- საგადასახადო უწყება;
- უსაფრთხოების სამსახურები;
- საბაჟო;
- პროკურატურა;





ილუსტრაცია 8.6 შვედეთის ერთობლივი ეროვნული ანალიტიკური და საოპერაციო ძალისხმევა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

თორმეტივე ეროვნული უწყებამრავალუწყებრივ ფორუმში, კერძოდ თანამშრომლობის საბჭოში მონაწილეობს და თანამშრომლობს. მის შემადგენლობაში შედიან თითოეული თანამშრომელი სააგენტოს/უწყების ხელმძღვანელები, ხოლო საბჭოს ხელმძღვანელობს შვედეთის ეროვნული პოლიციის კომისარი. საბჭოს უპირველესი ამოცანაა გადაწყვეტილებების მიღება შვედეთში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ სტრატეგიაზე. საბჭო წელიწადში ორჯერ იკრიბება. კოორდინაციისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მომხსენებლის როლს ასრულებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის (ოპერატიული საბჭო) ხელმძღვანელი.

თანამშრომლობის საბჭოს დაქვემდებარებაშია ოპერატიული საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანებია თანამშრომლობის საბჭოს მიერ მიღებული პრიორიტეტული სტრატეგიული

გადაწყვეტილებების დადგენა და მათი განხორციელება. *ოპერატიული საბჭო*, რომელიც ყოველთვიურად იკრიბება, ასევე იღებს გადაწყვეტილებებს *ოპერატიული* სამოქმედო ჯგუფებისა და სხვა რესურსების ერთობლივი საგამოძიებო ან *ოპერატიული* ამოცანების შესრულებისთვის გამოყენების შესახებ. თორმეტი უწყებდან/სააგენტოდან თითოეულს ერთი წარმომადგენელი ჰყავს *ოპერატიულ საბჭოში*, რომელსაც ეროვნული პოლიციის *ოპერატიული დეპარტამენტის* უფროსი ხელმძღვანელობს. შესაბამისად იგი ორ სტრუქტურას აკავშირებს და ინფორმაციის მიმოცვლას უზრუნველყოფს.

სამდინო მხარს უჭერს *თანამშრომლობისა და ოპერატიულ საბჭოებს* და მის პროცესებს. მისი ძირითადი ამოცანებია, გადაწყვეტილების მისაღებად წინადადებების მომზადება, დაგეგმვა და განსახილველად გატანა, ოქმის შედგენა და თანამშრომლობისა და *ოპერატიული საბჭოების* სხდომების შემდგომი საქმიანობის მოკვლევა. სამდინო ასევე ასრულებს საკოორდინაციო როლს და სამოქმედო ჯგუფებთან დაკავშირებულ პროცესზე პასუხისმგებელი.

რეგიონული თანამშრომლობის საბჭოები ქვეყნის შვიდივე რეგიონში პასუხისმგებლნი არიან ერთობლივი ქმედებების განხორციელებაზე ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. შეხვედრები ოთხ კვირაში ერთხელ იმართება, ხოლო ანგარიშგება სამდინოს საშუალებით *ოპერატიული საბჭოს* წინაშე ხდება.

ერთობლივი ძალისხმევის ფარგლებში მოქმედ ყველა უწყებას ანალიტიკური სტრუქტურები უწევენ მხარდაჭერას, რომელთაგან ერთი მხრივ შვიდ საპოლიციო რეგიონში არსებული მრავალუწყებრივი რეგიონული ანალიტიკური ცენტრებია, ხოლო მეორე მხრივ ეროვნული ოპერაციების დეპარტამენტში არსებული მრავალუწყებრივი ეროვნული ანალიტიკური ცენტრი. ეს ცენტრები უზრუნველყოფენ, 11 თანამშრომელი უწყების/სააგენტოს⁷⁴ ერთობლივ ძალისხმევას, ანალიტიკურ სერვისებით და ანალიტიკურ პროდუქტებით. 2016 წლის კანონის თანახმად, ყველა ეს უწყება/სააგენტო არამხოლოდ უფლებასმოსილია, არამედ ვალდებულია ერთმანეთს გაუზიაროს ფორუმის ფარგლებში განხორციელებული ანალიტიკური ამოცანების მონაცემები, ინფორმაცია და ანალიტიკური პროდუქტები, პირთა ჯგუფის მიერ ორგანიზებული, სერიოზული ხასიათის დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ მუშაობისას.

ოპერატიული სამოქმედო ჯგუფები დაახლოებით 200 სამართალდამცავი თანამშრომლისგან შედგება. ჯგუფები დაყოფილია 20 ან 30 თანამშრომლისგან შემდგარ განყოფილებებად, რომლებიც პოლიციის შვიდ რეგიონში და ეროვნულ *ოპერატიულ დეპარტამენტებშია* განლაგებული. თითოეულ განყოფილებას ჰყავს ხელმძღვანელი/ჯგუფის ლიდერი, გამომძიებლები, ანალიტიკოსები და ადმინისტრატორები. სამოქმედო ჯგუფები ასევე ყოველდღიურად თანამშრომლობენ სხვა *მულტიდისციპლინურ რესურსებთან* *ოპერატიული საბჭოს* მიერ გადაწყვეტილ ქმედებებში.

74 შევედითის პროკურატურა არ არის წარმოდგენილი ერთობლივ ანალიტიკურ ცენტრებში, რადგან პროკურატურა არ ფლობს და არ მართავს ანალიტიკურ ინფორმაციას.

8.2.4 სერბეთის რესპუბლიკა: ILP-ის ოპერატიული და ანალიტიკური სტრუქტურები

სერბეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სერბეთში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა სამართალდაცვითი მექანიზმების გაუმჯობესების, დანაშაულთან და სხვა საფრთხეებთან ბრძოლის შედეგების უფრო მაღალ დონეზე აყვანის, და საპოლიციო საქმიანობის ევროპისა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საპოლიციო ძალების სტანდარტებთან, სტრუქტურებთან, ხარისხსა და ტერმინოლოგიასთან თავსებადობის ზრდის მიზნით გადანყვიტა.

ამასთან დაკავშირებით, სერბეთმა 2016 წელს, მიიღო ახალი კანონი პოლიციის შესახებ, რომელიც ILP-ის განსაზღვრავს და იძლევა ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გამოყენება სერბეთის საპოლიციო პრაქტიკაში.

სერბეთის კანონი პოლიციის შესახებ

მუხლი 34

პოლიციის ანალიტიკური მოდელი

„პოლიციის ამოცანების შესრულებისას, პოლიციამ უნდა გამოიყენოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი პოლიციის მუშაობის მართვის მოდელია, რომელიც კრიმინალურ ანალიტიკას ეფუძნება. კრიმინალური ანალიტიკა წარმოადგენს შეგროვებულ, შეფასებულ, დამუშავებულ და გაანალიზებულ მონაცემებს, რომლებიც ხდება პოლიციის ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმირებული გადანყვიტების მიღების საფუძველი.“

– სერბეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„დადგენილება პოლიციის შესახებ კანონის დამტკიცების შესახებ“

No1, ბელგრადი, 2016 წლის 28 იანვარი.

სერბეთის კანონი პოლიციის შესახებ, ასევე განმარტავს პოლიციის სხვადასხვა სტრუქტურისა და დონის როლებსა და პასუხისმგებლობებს ILP მოდელის ძირითადი ელემენტების მართვაში, რაც მათ შორის მოისაზრებს „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სტრატეგიული შეფასების“ და სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების შემუშავებას, რომლებიც სტრატეგიული შეფასების საფუძველზე, საპოლიციო საქმიანობის პრიორიტეტებს და ამოცანებს განსაზღვრავენ.⁷⁵

75 სერბეთის კანონი პოლიციის შესახებ (2016): მუხ. 24 (სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დირექტორატის როლი და პასუხისმგებლობა); მუხ. 25 (პოლიციის განყოფილებების ძირითადი ამოცანები და საქმიანობა).

გაერთიანებული სამეფოს, შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიისა და შვედეთის ILP მოდელების სიღრმისეული შესწავლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სერბეთის ILP მოდელი შეიმუშავა, რომელიც სრულად მორგებულია სერბეთის პოლიციის სისტემის სპეციფიკაზე. სერბული ILP მოდელი აღწერილია სერბეთის ეროვნულ ILP სახელმძღვანელოში⁷⁶ და მოიცავს შემდეგ თავებს:

- ILP მოდელის სტრუქტურა სერბეთის რესპუბლიკაში;
- ხელმძღვანელობა და მართვა სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე;
- ანალიტიკური პროცესი და პრაქტიკა;
- ანალიტიკური საქმიანობა (ინფორმაციის დაგეგმვა, შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გავრცელება);
- ოპერატიული (აღმასრულებელი) საპოლიციო საქმიანობის დაგეგმვა;
- უსაფრთხოება და ILP მოდელი;
- ანალიტიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლები და ქვედანაყოფები;
- პერსონალის განვითარება და ტრენინგი;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემები.

სერბულ სახელმძღვანელოში ტერმინი „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა“ აღნიშნავს ანალიტიკური და დაგეგმილი ოპერატიული საპოლიციო მუშაობის მართვის სისტემას და მეთოდოლოგიას, რომელშიც ანალიზი დანაშაულის პრევენციის, აღკვეთის და სხვა უსაფრთხოების საფრთხეების პრიორიტეტების, სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების განსაზღვრის საფუძველია. იგი ასევე წარმოადგენს პოლიციის ოპერატიული მუშაობისა და ქმედებების, ხელმისაწვდომი ადამიანური რესურსების რაციონალური ჩართვისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

ამჟამად, სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ILP მოდელის საპოლიციო პრაქტიკაში დანერგვას ახორციელებს. შვედეთის პოლიცია და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო, მხარს უჭერენ სერბეთის პოლიციას განხორციელების პროცესში. სერბეთის ILP მოდელის შემუშავებისას, ჩატარდა საკანონმდებლო ბაზაში შესატანი ცვლილებების ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის, ადამიანური და IT შესაძლებლობების განვითარების სფეროებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობების ანალიზი. მიღებულ იქნა ILP-თან დაკავშირებული რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი. ასევე, შემუშავდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების სტრატეგიული შეფასება, რომელიც ხუთი წლის პერიოდს მოიცავს და ეროვნული SOCTA. დამატებით გამოყოფილ იქნა ადამიანური რესურსები, რომელთაც ILP-ის განხორციელება დაევალით. გეგმის თანახმად, 2018 წლისთვის, სერბეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სრულად უნდა დანერგოს ILP მოდელი.


სერბეთის ILP მოდელი შემუშავებულია არა მხოლოდ ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით არამედ მთლიანი საპოლიციო საქმიანობის მართვისთვის.

76 სერბეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო (2016).

სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სერბეთის ILP სახელმძღვანელოს მიხედვით, *ILP მოდელის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობებია:*

1. *ხელმძღვანელობა და მართვა* - ეს არის მოდელის ძირითადი ფუნქცია, რომელიც სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე ჩამოყალიბებული და დადგენილი მეთოდოლოგიისა და პასუხისმგებლობის სისტემის შესაბამისად ხორციელდება.
2. *სისტემატიზებული ანალიტიკური პროცესი* - პრაქტიკაში მთლიანი ანალიტიკური პროცესი ქვეპროცესებად (ამოცანებად), ფუნქციებად და აქტივობებად უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული ან ერთდროულად მიმდინარეა.
3. *ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურა* – შექმნილი ორგანიზაციული ერთეულები და ქვედანაყოფები, რომლებიც ანალიტიკურ და ოპერატიულ საპოლიციო საქმიანობას ეწევიან, შესაბამისობაში არიან განსაზღვრულ პროცესებსა და ფუნქციებთან (მსგავსი პროცესები და ფუნქციები ხორციელდება იმავე ორგანიზაციულ ერთეულებში).
4. *მონაცემების და ინფორმაციის წყაროები* - მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვების მიზნით, აუცილებელია ყველა ხელმისაწვდომი ღია და დახურული წყაროების გამოვლენა და ეფექტური გამოყენება.
5. *უსაფრთხოების ყველაზე რთულ გამონევეებზე ყურადღების გამახვილება* - პრიორიტეტული უნდა იყოს ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია და სხვა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულები და დამნაშავეები (ორგანიზატორები და შემსრულებლები).
6. *ანალიტიკური პროდუქტები* - ანალიტიკური საქმიანობის წარმართვის დადგენილი მეთოდოლოგიით და ხარისხის განსაზღვრული კრიტერიუმებით, ანალიტიკური განყოფილება აწარმოებს, ანალიტიკურ პროდუქტებს, რომლებიც საპოლიციო საქმიანობაში, მიზნების სწორად განსაზღვრის, პრიორიტეტების გამოვლენისა და გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა.
7. *სამართლებრივი ჩარჩო* - ILP-ის წარმატებით ფუნქციონირებისთვის უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო.
8. *ადამიანური რესურსები* – აუცილებელია პოლიციის თანამშრომლების სპეციალურად შერჩევა (სპეციალური კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად) და გადამზადება ანალიტიკური სამუშაოების შესრულებისთვის.
9. *ტექნიკური რესურსები* - მონაცემთა ბაზები და ინფორმაციული ტექნოლოგიები, შესაბამისი შენობა, ტექნიკური აღჭურვილობა და ხელსაწყოები ILP მოდელის აუცილებელი ელემენტებია.
10. *დრო, როგორც რესურსი* – ორგანიზაციული კულტურისა და მუშაობის წესის შეცვლას დრო და მოთმინება სჭირდება.

როგორც ეს 8.7. ილუსტრაციაზეა ნაჩვენები, ILP მოდელის განხორციელების პროცესი სამ ქვეპროცესს მოიცავს, რომლებიც რვიანის ფორმის საქმიანობის ნაკადს წარმოადგენენ. ეს ქვეპროცესებია: (i) ხელმძღვანელობა და მართვა (ლურჯი); (ii) ანალიტიკური საქმიანობა (თეთრი); და (iii) ოპერატიული პოლიციის დაგეგმილი სამუშაოები (წითელი). შუალედურ დონეზე არსებული ქვეპროცესი, ხელმძღვანელობა



ილუსტრაცია 8.7 სერბეთის ILP მოდელი.

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო. სერბეთის რესპუბლიკა.

და მართვა - მენეჯერულ (წარმართვა და კოორდინირება) როლს ასრულებს დანარჩენ ორ ქვეპროცესთან მიმართებაში. უპირველეს ყოვლისა, ქვეპროცესის ხელმძღვანელობისა და მართვის ფარგლებში, კომპეტენტური მენეჯერები იწყებენ (მოითხოვენ) ანალიტიკური სამუშაოების განხორციელებას. მათი დავალებებისა და მოთხოვნების საფუძველზე, იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული ანალიტიკური საქმიანობა, ხოლო შედეგები წარმოდგენილია ანგარიშის სახით. მეორე, სხენებული ანგარიშის საფუძველზე, კომპეტენტური მენეჯერები იღებენ გადაწყვეტილებებს დაგეგმილი ოპერაციული პოლიციის მუშაობის განხორციელების შესახებ. მესამე, ამ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, იგეგმება და ხორციელდება ოპერაციული პოლიციის კონკრეტული საქმიანობა, რომელსაც მოსდევს შეფასების ანგარიში. ანალიტიკურ პროცესის აღწერილი მიმოქცევა (თეთრი) შეიძლება დასრულდეს ერთი ციკლის შემდეგ, ან განმეორდეს (შეივსოს ახალი დამატებებით) რამდენიმე ციკლის განმავლობაში, კონკრეტული დანაშაულის გახსნის მაჩვენებლიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე.

სერბეთის ILP მოდელის ორგანიზაციული სტრუქტურები გადანყვეტილების მიღების, ხელმძღვანელობის, მართვისა და კოორდინაციის პროცესებს სამ დონეზე ყოფს: ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი. ILP პრინციპების შესაბამისად, თითოეულ დონეს გადანყვეტილების მიღების საკუთარი მექანიზმი გააჩნია, რომელიც სტრატეგიულ და ოპერატიულ ანალიტიკურ პროდუქტებს ეფუძნება, რითაც იგი ანალიზსა და შეფასებებს ყველა სამართალდაცვითი საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის ნაწილად აქცევს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დირექტორატის წამყვან სტრატეგიულ ჯგუფს (SLG) ეროვნულ დონეზე ხელმძღვანელობს სერბეთის ეროვნული პოლიციის დირექტორი. მისი ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: საზოგადოებრივი უსაფრთხოების სტრატეგიული შეფასების და სხვა ეროვნული ანალიტიკური პროდუქტების დავალება ან მოთხოვნა; სტრატეგიული დაგეგმვა, მათ შორის გადანყვეტილების მიღება და რესურსების განაწილება, სტრატეგიული შეფასებისა და სხვა კონკრეტული ანალიტიკური პროდუქტების საფუძველზე; სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგი და შემოწმება;
- ეროვნულ დონეზე ური პოლიციის ოპერატიულ წამყვან ჯგუფს (OLG CPG), რომელსაც კრიმინალური პოლიციის უფროსი ხელმძღვანელობს, შემდეგი ძირითადი ფუნქციები აკისრია: ეროვნულ დონეზე წამყვანი სტრატეგიული ჯგუფის (SLG) სტრატეგიული გეგმების საფუძველზე დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის წლიური ოპერატიული გეგმის შემუშავება. წლიური ოპერატიული გეგმის ძირითადი მიზნებისთვის რესურსების გამოყოფა; დავალება/მოთხოვნა და გადანყვეტილების მიღება კონკრეტულ ანალიტიკური პროდუქტების საფუძველზე მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის სფეროებში;
- ოპერატიულ წამყვან ჯგუფებს რეგიონულ დონეზე (OLG RPD) პოლიციის 27 რეგიონული დირექტორატის უფროსები ხელმძღვანელობენ, შემდეგი ძირითადი ფუნქციებით: SLG-ის სტრატეგიული გეგმების საფუძველზე რეგიონულ დონეზე ოპერატიული დაგეგმვა დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით; RPD-ის დონეზე ოპერატიული საქმიანობის ამოცანების განსაზღვრა და კოორდინაცია; რეგიონულ დონეზე კონკრეტული ანალიტიკური პროდუქტის საფუძველზე გადანყვეტილების მიღება; და დასრულებული რეგიონული პოლიციის ამოცანების, ოპერაციებისა და გამოძიების შეფასება.
- ოპერატიული წამყვანი ჯგუფები ადგილობრივ/განყოფილების დონეზე (ORG PS) პოლიციის განყოფილების მენეჯმენტისა და განყოფილების უფროსებისგან შედგება. ORG PS-ს შემდეგი ძირითადი ფუნქციები აკისრია: ოპერატიული დაგეგმვა ადგილობრივ/განყოფილების დონეზე დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით, SLG-ის სტრატეგიული გეგმების, OLG RPD-ის წლიური ოპერატიული გეგმის და ანალიტიკური პროდუქტების საფუძველზე; გადანყვეტილების მიღება, ოპერატიული საქმიანობის, მათ შორის გამოძიების დავალება და კოორდინაცია ადგილობრივ/განყოფილების დონეზე.

გარდა იმისა, ILP წარმოადგენს კრიმინალური ანალიტიკის საფუძველზე ოპერატიული პოლიციის მუშაობის მართვის მოდელს, იგი ასევე ითვალისწინებს ხარისხის მართვის ინტეგრირებას. სერბეთის ILP სახელმძღვანელოში, ტერმინი „ხარისხი“, ერთი მხრივ, გამოიყენება ILP პროცესთან, ადამიანურ რესურსებთან, ტრენინგთან, ანალიტიკურ


პროდუქტებთან, სტანდარტებთან და ხარისხის კრიტერიუმებთან, სტრატეგიულ და ოპერატიულ წამყვან და მმართველ ჯგუფებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ – ანალიტიკურ სამსახურთან. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს, რომ ხარისხი აღიარებულია, როგორც ILP მოდელის მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

8.2.5 მონტენეგრო: მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასება

მონტენეგროს მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის საფრთხის შეფასების (SOCTA MNE) რეკომენდაციების მიხედვით, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო წყვეტს რიგი ეროვნული, უწყებათაშორისი პრიორიტეტების ჩამონათვალს, მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს პრიორიტეტები კონკრეტული, ოპერატიული და საგამოძიებო პრიორიტეტული ამოცანების დადგენაში და უწყებათაშორის კოორდინაციაში აისახება.

როგორც ილუსტრაციაში 8.8. არის განმარტებული, SOCTA MNE მოიცავს ოთხნობიან პერიოდს და შემუშავებულია უწყებათაშორისი გუნდის მიერ, რომელიც შედგება მონტენეგროს ანალიზისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისგან.

სტრატეგიული დოკუმენტები და პრიორიტეტები



ილუსტრაცია 8.8 SOCTA-ის განვითარება და სტრატეგიული დაგეგმვა მონტენეგროში

SOCTA MNE 2013-2017 შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებს მოიცავს:

- ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მძიმე დანაშაულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ;
- ტერორიზმი და რელიგიური ექსტრემიზმი,⁷⁷ ძირითადად დაკავშირებულია მონტენეგროს მოქალაქეების უცხოურ შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობასთან, და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე რელიგიური ექსტრემიზმის გაძლიერებასთან;
- საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირების მიერ ჩადენილი მაღალი დონის კორუფცია;
- ნარკოტიკებით ვაჭრობა, რომელიც დიდი რაოდენობის ორგანიზებული, დანაშაულებრივი ჯგუფების დომინანტური დანაშაულებრივი საქმიანობაა;
- ჩრდილოვანი დაკრედიტება, რომელიც განსაკუთრებულ პრობლემად არის აღიარებული, სხვა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას გამომწვევიდან გამომდინარე;
- არალეგალური მიგრაცია და ადამიანებით ვაჭრობა, რომელიც ხასიათდება თავშესაფრის პროცედურების ბოროტად გამოყენებით, ასევე შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციით;
- ფულის გათეთრება და ფინანსური გამოძიებები, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებად არის აღიარებული.

ეროვნული უწყებათაშორისი ოპერატიული ჯგუფი⁷⁸ მძიმე და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფია, რომელიც 2015 წელს შეიქმნა. ოპერატიული ჯგუფი არის უწყებათაშორისი ორგანო, რომელიც შემდეგი უწყებების წარმომადგენლებისგან შედგება:



- იუსტიციის სამინისტრო;
- პოლიცია;
- ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო;
- საბაჟო;
- საჯარო შემოსავლების დეპარტამენტი;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ადმინისტრაცია. ეროვნულ უწყებათაშორისი ოპერატიულ ჯგუფს, შემდეგი ამოცანები აკისრია:
- მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პრიორიტეტების შეთავაზება;
- მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული მიზნებისა და მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმების შეთავაზება;
- ეროვნული ანალიტიკური მოდელის შეთავაზება პრიორიტეტების დადგენის, ამოცანების მართვისა და დასახვის მიზნით მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში SOCTA MNE-ის საფუძველზე;

77 ეუთოს ტერმინოლოგიის თანახმად „ძალადობრივი ექსტრემიზმი“.

78 მონტენეგროს ოფიციალური გაზეთი. „კანონი მონტენეგროს ანალიზისა და უსაფრთხოების სექტორის საფუძვლის შესახებ“. No28/14: მუხ. 17.

- მძიმე და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წლიური, ოპერატიული გეგმების დამტკიცება და განხორციელება, დადგენილი სტრატეგიული პრიორიტეტების საფუძველზე;
- უწყებათაშორისი თანამშრომლობის უზრუნველყოფა მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოპერატიულ დონეზე კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისას;
- ეროვნული ანალიტიკური მოდელის ეფექტური განხორციელებისთვის, ღონისძიებების გათვალისწინება SOCTA MNE-ის საფუძველზე, პრიორიტეტების დადგენის, მართვისა და ამოცანების დასახვის მიზნით;
- კვარტალური ანგარიშების წარდგენა ოპერატიული კოორდინაციის ბიუროსათვის;
- მძიმე და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში საქმიანობის წარმართვის მიზნით სხვა ამოცანების შესრულება.

მონტენეგრომცირედ შეცვალა კანადური RCMP Sleipnir-ის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც გამოვლენილი ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების საფრთხეების შესაფასებლად, ჯგუფებს შორის საფრთხეების შესადაარებლად, და ინფორმაციული ხარვეზების გამოსავლენად გამოიყენება. Sleipnir-ის მოდელის მონტენეგროს შეცვლილი ვერსია, შეფასებისთვის 14 საფრთხის კრიტერიუმს მოიცავს, როგორც ეს წარმოდგენილია ცხრილში 8.3.



ცხრილი 8.3. Sleipnir-ის შეფასების ინსტრუმენტის მონტენეგროს ვერსია

ჯგუფის Id n = ეროვნული r = რეგიონული l = ადგილობრივი	საფრთხის ქულა	კორუფცია	ძალადობა	ლეგტიმური ბიზნესები	ფულის გათეთრება	კრიმინალურ ჯგუფებთან თანამშრომლობა	ლიდერების დაცვა	მონოპოლია	სამოქმედო ტერიტორია	კონტროლისძიებები	მრავალფეროვნება (დანაშაული)	დისციპლინა/წესრიგი	ერთობა	ზომა	ექსპერტული ცოდნა
		მაღალი	საშუალო	უცნობი	დაბალი	ნულოვანი									
n-rv01-00	230.3														
n-rA03-00	226.0														
n-BK02-06	215.4														
n-BK06-09	212.1														
r-Bs01-92	209.3														
r-Bs01-90	206.8														
r-nI04-08	202.9														
r-nI01-95	193.5														
r-HI02-08	191.7														
r-BK01-06	189.1														
r-HI01-08	184.1														
r-ur07-09	183.7														
l-uK02-05	180.2														
l-IA01-97	177.9														
l-pg02-00	174.2														
l-Bs06-11	172.7														
l-Bs04-00	172.1														
l-Bs08-00	171.2														
l-HI04-10	161.1														
l-HI03-10	143.2														
საფრთხე		მაღალი	საშუალო	უცნობი	დაბალი	ნულოვანი									
ატრიბუტის მნიშვნელობა მატრიცაში															

8.3 ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP) და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა (სოპ) პრობლემის კოლექტიურ გადანყევტაზე, დანაშაულის პრევენციასა და პოლიციასა და თემებს შორის, ნდობის ჩამოყალიბებაზე ამახვილებს ყურადღებას. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პრაქტიკები და პრინციპები ხელს უწყობს, პოლიციასა და საზოგადოებას შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, სადაც პოლიცია, სამთავრობო უწყებები და ადგილობრივი სოციუმი აქტიურად თანამშრომლობენ ერთობლივად, პრობლემების და საზოგადოებაში არსებული საჩივრების გადანყევტის მიზნით.⁷⁹ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა ეფუძნება ცნებას, რომ მეტი საზოგადოებრივი ჩართულობა გაუმჯობესებს პოლიციის ოპერაციებს და ორგანიზაციულ ეფექტურობას, ისევე როგორც საზოგადოების თვალში პოლიციის ლეგიტიმურობას.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა აქცენტს აკეთებს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ურთიერთობების გაძლიერებასა და გაუმჯობესებაზე და მოიცავს ფუნდამენტურ ცვლილებას, რაც გულისხმობს პოლიციასთან ერთად, ადგილობრივი დანაშაულისა და არეულობის პრობლემების გამოვლენას სადაც ეს შესაძლებელია, მათ ერთობლივ განხილვასა და გადანყევტას. იგი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ უფრო კოორდინირებულ და თანამშრომლობით მიდგომას, შეუძლია გადაჭრას მიმდინარე პრობლემები და თავიდან აიცილოს მომავალი გამოწვევები. აღნიშნული მიდგომა, ასევე გულისხმობს მულტიდისციპლინურ რეჟიმში მუშაობას და რამდენიმე პარტნიორის, მათ შორის მუნიციპალური მთავრობების, სხვა სამთავრობო უწყებებისა თუ დეპარტამენტების, ან სათემო ასოციაციების ჩართულობას.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შედეგად, შესაძლებელია გაუმჯობესდეს და მეტად საიმედო კომუნიკაცია დამყარდეს საზოგადოებასთან. მიუხედავად იმისა, რომ მართლწესრიგის ოფიცრებს არ უნდა დაევალოთ ინფორმაციის შეგროვება, გაზრდილი ნდობა პოლიციისთვის შეიძლება გახდეს სოციუმში ინფორმაციისა და ცნობიერების ფასდაუდებელი წყარო. ამ ყველაფერს აქვს პოტენციური გახდეს ღირებული ინფორმაცია პოლიციისთვის, რაც ხელს შეუწყობს ანტიკრიმინალური და ტერორისტული ოპერაციების უფრო ეფექტურ და მიზანმიმართულ დაგეგმვას. ამგვარად, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა და ILP პირდაპირ მხარს უჭერენ ერთმანეთს.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მიზანია დანაშაულთან ბრძოლასა და გამოძიებაზე ვიწრო ფოკუსირების ნაცვლად, პოლიციის მანდატის გაფართოება, რათა იგი უფრო უშუალოდ იყოს კავშირში საზოგადოებასთან და მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების შეხედულებებსა და ნუხილზე ისეთ საკითხთა ფართო სპექტრიდან, როგორებიცაა: დანაშაულის შიში, დანაშაულის პრევენცია, ფიზიკური არეულობა და სხვა სოციალური და სამეზობლო პრობლემები. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობაში ასახული ძირითადი პრინციპები უფრო

79 ეუთო (2008a: 89).

სერვისზე ორიენტირებულ მიდგომას მოიცავს, რომელიც აგებულია ისეთი თემების გარშემო, როგორებიცაა „ხილვადობა“, „ხელმისაწვდომობა“ და „ნაცნობობა“, ხოლო განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პრობლემების კოლექტიურ გადაჭრაზე.⁸⁰ ის ასევე უზრუნველყოფს პოლიციის საზოგადოებასთან უფრო ეფექტურ ჩართულობას და საზოგადოებისთვის პრიორიტეტული პრობლემების გამოვლენასა და გადაწყვეტას.⁸¹

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ძირითადი პრინციპების თანახმად, პოლიციას შემდეგი მოვალეობები აკისრია:

- საზოგადოებასთან ჩართულობა, მობილიზება და პარტნიორობა;
- თემების ნუხილების მოსმენა;
- სოციუმთან პრობლემის ერთობლივ გადაწყვეტაში ჩართვა;
- საზოგადოებისთვის ხილვადობა და მისაწვდომობა;
- საზოგადოების თვალში ცნობადობა და მისი ცოდნა;
- საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირება;
- თემის ყველა წევრის უფლებების პატივისცემა და დაცვა;
- საკუთარ ქმედებებსა და მათ შედეგებზე ანგარიშვალდებულება.⁸²

როგორც მე-3 თავში იყო განხილული, ILP შემუშავებული იქნა დომინანტური და ტრადიციული რეაქტიური, რეაგირებაზე დაფუძნებული საპოლიციო მოდელის საპირწონედ. ILP არის „ზემოდან ქვევით“ მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების ჩარჩო და მიდგომა და გავლენა აქვს, როგორც პოლიციის ორგანიზებაზე, ასევე მის ფუნქციონირებაზე. ორგანიზაციული თვალსაზრისით სოპ-ისგან განსხვავებით, რომელიც ცალკეულ პოლიციელებს აძლევს არსებით თავისუფლებას ადგილობრივ თემებთან ურთიერთობის განვითარებისთვის, ILP უფრო ცენტრალიზებულია. მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატური შეგროვება და ანალიზი ინფორმირებული მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს ქმნის.

ILP და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა ერთმანეთს ავსებს და ორი ურთიერთმხარდამჭერი მიდგომაა. მიუხედავად ამისა მათ გააჩნიათ გარკვეული მკაფიო მახასიათებლები მათი ორიენტაციის, იერარქიისა და გადაწყვეტილების მიღების წრილში, რაც აღწერილია ცხრილში 8.4.

80 ინეს, მარტინი. რატომ არის „რბილი“ საპოლიციო საქმიანობა რთული: საზოგადოების დამშვიდებისკენ მიმართული საპოლიციო საქმიანობის საინტერესო განვითარების შესახებ, როგორ გადაიქცა ის სამეზობლო საპოლიციო საქმიანობად და რას ნიშნავს ეს პოლიციის რეფორმის პოლიტიკისთვის. გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სათემო ურნალი, ტ. 15, No3 (2005: 156–169); და კვინტონი, პოლი და მორისი, ჯულია. „სოპ-ი: პილოტირებისა და ადრეული განხორციელების გავლენა.“ (მინაგან საქმეთა ოფისის ონლაინ ანგარიში, 01/2008) (<http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20110314171826/http://rds.homeoffice.gov.uk/rds/pdfs08/rdsolr0108.pdf>) ბოლო ნვდომა 2 ივნისი 2017.

81 ბალოკი (2013: 126-127).

82 ეუთო, ODIHR/TNTD (2014: 76).

ცხრილი 8.4 საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობისა და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ძირითადი განზომილებების შედარება

	საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა	ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა (ILP)
ორიენტაცია?	ადგილობრივი თემები და სამეზობლოები	კრიმინალური ჯგუფები, აქტიური და სერიოზული დამნაშავეები, კონტრტერორიზმი და verit
იერარქია?	ქვემოდან ზემოთ	ზემოდან ქვემოთ
ვინ განსაზღვრავს პრიორიტეტებს?	საზოგადოების წუხილი/ მოთხოვნები	პოლიტიკის შემქმნელები და პოლიციის მენეჯმენტი კრიმინალური ინფორმაციის ანალიზი

ორივე მიდგომის წარმატების კრიტერიუმები და მოსალოდნელი სარგებელი მსგავსია და მიზნად ისახავს:

- პოლიციის ეფექტურობის გაუმჯობესებას ინფორმაციის გაზრდილ ნაკადზე დაყრდნობით;
- საზოგადოების უსაფრთხოების გაუმჯობესებას, რასაც შედეგად მოაქვს საზოგადოების კმაყოფილების ზრდა.

ინფორმაციის შეგროვება, არასოდეს არ უნდა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მთავარი მიზანი, თუმცა იგი შეიძლება გახდეს ეფექტური საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის გვერდითი პროდუქტი. ILP-ის შევსებითა და მხარდაჭერით, საზოგადოებაზე ორიენტირებულმა პოლიციამ, პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობისა და რწმენის გაძლიერებით, და საზოგადოებასა და პოლიციას შორის ურთიერთქმედების შესაძლებლობების გაზრდით, შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და პოლიციის ინსტიტუტს შორის ინფორმაციის გაზიარებას.

თავის მხრივ, ILP-ის ამოცანების დასახვისა და კოორდინაციის ძალისხმევით, შეიძლება გაძლიერდეს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ეფექტი ინფორმაციის ანალიზის პროცესებისა და მისი იერარქიული სტრუქტურების მეშვეობით. პოლიციასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის მეტად პოზიტიური ხასიათი, ხელს უწყობს ინფორმაციის უწყვეტ და სანდო გაცვლას.

„საზოგადოებაზე ორიენტირებულმა საპოლიციო საქმიანობამ მრავალ პოლიციის ოფიცერში ისეთი უნარები განავითარა, რომელიც პირდაპირ მხარს უჭერს ILP-ის ახალ პასუხისმგებლობებს: პრობლემის გადაჭრისადმი მეცნიერული მიდგომა, გარემოს შესწავლა, საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია, შიშის შემცირება და პრობლემების გადასაჭრელად თემის მობილიზება. ეს ყოველივე, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მნიშვნელოვანი ატრიბუტებია, რომელთაც წვლილი შეაქვთ აღნიშნული გამოწვევების დაძლევაში“.⁸³

83 Carter (2009: 86-87).

ამრიგად, არსებობს პოტენციალი, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა გახდეს ადგილობრივი ინფორმაციის კარიბჭე, ყველა ფორმის დანაშაულის, მათ შორის ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის პრევენციისა და მიზანმიმართული ბრძოლისათვის (იხ. ქვეთავი 8.4). ამავდროულად, ILP შეიძლება დაეხმაროს მართლწესრიგის ოფიცრებს საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების გამოვლენაში, პრიორიტეტების განსაზღვრასა და უფრო ეფექტურად გადანაცვებაში.

„სამეზობლო პოლიციამ უნდა იმოქმედოს იმ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, რომელიც ჩართული იქნება და ხელს შეუწყობს „ეროვნული ანალიტიკური მოდელის“ პროცესს. რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს, თუ რა გზებით შეიძლება ინფორმაციის მიღება თემებისგან. ეს შეიძლება მოიცავდეს: საზოგადოების წევრებზე დაკვირვებას, ოფიცრების მიერ სამეზობლოებში მათი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებულ ინფორმაციას, საჯარო სექტორის სხვა მუშაკებისგან, მაგ., მასწავლებლებისა და ექიმებისგან, მიღებულ ინფორმაციას.

ამგვარი საქმიანობა ზრდის რისკისა და დაუცველი მხარეების შესახებ ინფორმირებულობას; აუმჯობესებს სათემო ჩართულობის შესაძლებლობებს; ამაღლებს საზოგადოების ნდობას.

ამას გარდა, გამოცდილება აჩვენებს, რომ სამეზობლო საპოლიციო საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია, ადგილობრივი თემისთვის პრიორიტეტული დანაშაულის პრობლემების პროაქტიური გამოვლენა და გადაჭრა. პოლიციის ოფიცრები, ასეთ პრიორიტეტებს „ანალიტიკურ ინფორმაციად“ უნდა მიიჩნევენ და უნდა იყენებდნენ მათ ეროვნული ანალიტიკური მოდელის სისტემებში“.

– **Bullock (2013: 128-131).**

ადგილობრივი ფოკუსი და მიდგომა ასევე ხელს უწყობს ტერორიზმის პრევენციას და VERLT-ის წინააღმდეგ ბრძოლას, სადაც თემები საკვანძო როლს ასრულებენ კონტრტერორისტული პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში. ეს ემყარება იმ იდეას, რომ ტერორიზმი და VERLT საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების უსაფრთხოებას და, რომ თემები ასევე წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეებს და პარტნიორებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტერორიზმის, განსაკუთრებით VERLT-ის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე მოითხოვს მულტიდისციპლინურ და კოორდინირებულ მიდგომას, რომელიც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორებს მიღმა, ფართო სპექტრის საჯარო უწყებებს მოიცავს. მეტი რაოდენობის ადამიანებთან კომუნიკაციითა და მათი მრავალფეროვან საკითხებში ჩართვით, რომელიც არ შემოიფარგლება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, სახელმწიფოს შეუძლია კონკრეტული თემების სტიმულირების რისკის შემცირება.⁸⁴

8.4 ILP ტერორიზმისა და VERLT-ის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციის საქმეში

სათანადო საპოლიციო საქმიანობა ტერორიზმის პრევენციას გულისხმობს; ამდენად, პროფესიული საპოლიციო საქმიანობა, ინსტრუმენტულია როგორც ტერორისტულ საქმიანობასთან, ისე კონვენციურ დანაშაულებთან დაკავშირებული ანალიტიკური ინფორმაციის გამოსავლენად. ამ თვალსაზრისის ნახალისება ადგილობრივ პოლიციის დეპარტამენტებს საშუალებას აძლევს უფრო აქტიურად ჩართონ რიგითი ოფიცრები და გააძლიერონ მტკიცება, რომ აღსრულება, დანაშაულის პრევენცია და ტერორიზმის პრევენცია ურთიერთდაკავშირებულია. ეს მიდგომა ხელს უწყობს ანტიტერორისტულ საქმიანობაზე არსებული აქცენტის ტრადიციულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევასთან დაბალანსებას. ბევრ რიგით ოფიცერს სურს, საკუთარი როლის განსაზღვრა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ კუთხით, ILP-ის შეუძლია განსაზღვროს მათი წვლილი.⁸⁵

სათანადო ხელმძღვანელობითა და მომზადებით, ILP საქმიანობას შეუძლია უზრუნველყოს ყველა სამართალდამცავი ოფიცრის მკაფიო ხედვა მათი როლის შესახებ, ტერორიზმისა და VERLT-ის წინააღმდეგ ბრძოლისა პრევენციის საქმეში. თუ ILP სტრუქტურული და პროცედურული არხები გამართული და სათანადოდ მოქმედია, ინფორმაციისა და საეჭვო საკითხების შეგროვება და გადაგზავნა ყველა სამართალდამცავი სამსახურის, ყოველდღიური მოვალეობების, განუყოფელი ნაწილი ხდება, მათ შორისაა ზოგადი საპოლიციო საქმიანობა, საზღვრის მართვა და საბაჟო სამსახურები.

პოლიტიკამ და პროგრამებმა, რომლებიც მიზნად ისახავენ კომუნიკაციისა და ნდობის ჩამოყალიბებას ადგილობრივ თემებთან, მათ შორის ბიზნესებთან, რელიგიურ თემებთან, ახალგაზრდულ, საგანმანათლებლო და კულტურულ ლიდერებსა და ცენტრებთან, შეიძლება ხელი შეუწყოს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის პრევენციასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ამრიგად, ზოგიერთმა ქვეყანამ, კონტრტერორისტული მიზნებისთვის, ადგილობრივ დონეზე ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზისთვის,

84 OSCE, ODIHR/TNTD (2014: 74).

85 Peterson (2005: 15-16).

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფარგლებში, ხელახლა ჩამოაყალიბა შესაბამისი სტრუქტურები და პროცესები საკანონმდებლო დონეზე.⁸⁶

როგორც აღინიშნა ქვეთავში 8.3. პოლიციამ და საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებას, არამედ თემის უსაფრთხოების საჭიროებების დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მთავარ ამოცანად რჩება, პოლიციასა და საზოგადოებას შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე.⁸⁷

„არსებობს ერთი სფერო, სადაც საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა შეიძლება საზოგადოებისგან სასარგებლო ინფორმაციის შეგროვების ერთადერთი ეფექტური შესაძლებლობა იყოს. კონტრტერორისტულ სცენარში, მრავალი კომენტატორი ამტკიცებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა უფრო ეფექტური იქნება ადგილობრივ დონეზე ინფორმაციისა და პოტენციური ოპერატიული ინფორმაციის შეგროვებაში, და უფრო შეესაბამება დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიციისადმი საზოგადოების მოლოდინებს, ვიდრე ფარული ტაქტიკა და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების სხვა ტექნიკები.“

– Innes (2006: 229).

ნდობის ჩამოყალიბება უფრო გაიოლდება, როდესაც პოლიციასა და საზოგადოებას შორის იარსებებს ურთიერთგაგება, რომ პოლიციისა და პარტნიორი უწყებების მიზანი VERLT-ის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების რადიკალიზაციის გავლენისგან დაცვაა. პოლიციის მიერ საზოგადოებაზე მიზანმიმართული ჯაშუშობის ნუხილი მეტწილად შეიძლება განეიტრალდეს, თუ ხალხი გაიგებს, რომ პოლიციის როლი მათ დაცვას მოიაზრებს, და როდესაც VERLT აიხსნება თემის დაცვის, მაგალითად ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის ან ადამიანი ვაჭრობის აღკვეთის კონტექსტში. გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება დანამდვილებით აჩვენებს, რომ მისი პრევენციული სტრატეგიისა და საპოლიციო საქმიანობისადმი ეჭვი შეიძლება შემსუბუქდეს, თუ პოლიცია, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა ერთად იმუშავებენ, ერთგვაროვანი გზავნილის მიწოდებაზე, რომ პრევენციის სტრატეგია უბრალოდ და ძირეულად, მიზნად ისახავს დაუცველი პირების რადიკალიზაციისგან დაცვას, მიუხედავად მათი წარმოშობის თემისა.

86 Ratcliffe (2016: 115).

87 ეუთო ODIHR/TNTD (2014: 179).


საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მნიშვნელოვანი როლის ხელშეწყობისთვის, მართლწესრიგის ოფიცრები უნდა გადაამზადდნენ, თუ სად და როგორ გამოავლინონ ტერორიზმის დაგეგმვის ან VERLT-ის ნიშნები და შესაბამისი არხებით, როგორ გადასცენ ინფორმაცია ცენტრალურ ანალიზის სამსახურებს, ეროვნული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შესაბამისად. ოფიცრებმა უნდა გაიარონ სპეციალიზებული ტრენინგი ადამიანის უფლებების შესახებ, ზემოაღნიშნული ამოცანების ადამიანის უფლებათა სტანდარტების სრული პატივისცემით შესრულებისათვის.⁸⁸ ასევე, იმპერატიულია, რომ ადგილობრივმა ოფიცრებმა ასეთი ინფორმაციის გადაცემის შემდგომ უკუკავშირი მიიღონ.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ცენტრალური როლის მხარდაჭერისთვის, რომელიც მოიაზრებს პოლიციასა და საზოგადოებას შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ყველა დონეზე დანაშაულის პრევენციას, მძიმე დანაშაულისა და საექვო ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის ჩათვლით, ან VERLT-ის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მხრივ, ზოგიერთმა ქვეყნებმა შემოიღეს სპეციალურად VERLT-ის მიმართულებით მომზადებული ოფიცრების შტატი, რომლებიც ადგილობრივ მართლწესრიგის ოფიცრებს უჭერენ მხარს. ამ გრძელვადიანი რესურსების ადგილობრივ დონეზე განაწილების შესახებ გადაწყვეტილებები ეფუძნება ინფორმაციის ანალიზს, რომელიც წარმოადგენს VERLT-ის რისკისა და საფრთხის შეფასებას გეოგრაფიულ დონეზე. წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურის ფარგლებში და ეროვნულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული ოფიციალური გადაწყვეტილებებით, სხენებული ოფიცრები ისევე ერთვებიან თემებთან, როგორც ამას მართლწესრიგის ოფიცრები გააკეთებდნენ. თუმცა, კონკრეტული და გაცხადებული მიზნით ღიად მუშაობენ თემებსა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან ნდობის ჩამოყალიბებისა და VERLT-ის რისკისა და საფრთხისა მინიმუმამდე შემცირების მიზნით. მართლწესრიგის ოფიცრების მსგავსად, ეს სპეციალიზებული ოფიცრები ინფორმაციას შეფასების მიზნით, ოფიციალური საკომუნიკაციო არხებით აწვდიან ცენტრალურ ანალიტიკურ დეპარტამენტს ან პირდაპირ შეიტანენ მას ეროვნულ მონაცემთა ბაზებში. მსგავსი სპეციალიზებული ფუნქციის შემთხვევაში, აქცენტი კეთდება საზოგადოებასთან და თემში მუშაობაზე და VERLT-ის პრევენციის მიზნით, ყველა დაინტერესებულ მხარის ჩართვაზე; ეს არ გულისხმობს თემებზე ჯაშუშობას.

როგორც მე-7 თავში იქნა აღნიშნული, ILP სათანადოდ გამართულ ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და კომუნიკაციის სისტემებს ეყრდნობა, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ საზოგადოებას, მართლწესრიგის ოფიცრებსა და სხვა ადგილობრივ წყაროებს, ისევე როგორც ცენტრალურ ანალიტიკურ განყოფილებას შორის ინფორმაციის ორმხრივ გაცვლას. კვლავ აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მთავარი ამოცანა არა თემებზე ჯაშუშობა, არამედ პოლიციასა და საზოგადოებას შორის დადებითი კავშირებისა და ნდობის ჩამოყალიბებაა, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციულ ნაკადს. საზოგადოების ჩართულობა VERLT-ის კონტექსტში საჭიროებს გამართულ ურთიერთობებს პოლიციასა და საზოგადოებას შორის და მის მხარდაჭერად, რომლის მოცემულობად მიღება დაუშვებელია, არამედ, აუცილებელია მისი მოპოვება. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები პოლიციასა და საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის უნდა

88 ეუთო, ODIHR/TNTD (2014: 106-107).

ჩამოყალიბდეს ისეთი სენსიტიური საკითხების წამოჭრამდე ბევრად უფრო ადრე, როგორცაა VERLT.⁸⁹ ის ადგილები სადაც მართლწესრიგის ოფიცრებმა ნდობა და ჯანსაღი კომუნიკაციის არხები ჩამოაყალიბეს ადგილობრივ თემებთან, შეიძლება ინფორმაციის ყველაზე ძლიერი ან ერთადერთი წყარო გახდეს მოცემული თემიდან, რომლის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს ტერორისტული რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორები; ხოლო ეს თავის მხრივ, გამოიწვევს ტერორისტული ინციდენტების პრევენციას ან იმ პირების გამოვლენას, ვინც შეიძლება დაუცველი იყოს ტერორისტული რადიკალიზაციისადმი.



89 OSCE, ODIHR/TNTD (2014: 85-87).

ბიბლიოგრაფია

Australian Criminal Intelligence Management Strategy 2012-2015 (Commonwealth of Australia, 2012). [www.afp.gov.au/sites/default/files/PDF/ACIM-strategy-2012-15.pdf] Accessed 27 April 2017.

Bell, Peter and Congram, Mitchell. "Intelligence-Led Policing (ILP) as a Strategic Planning Resource in the Fight against Transnational Organized Crime (TOC)." *International Journal of Business and Commerce*, Vol. 2, No. 12 (2013): 15-28. [www98.griffith.edu.au/dspace/bitstream/handle/10072/64598/98685_1.pdf;sequence=1] Accessed 5 April 2017.

Bullock, Karen, "Community, intelligence-led policing and crime control." *Policing and Society*, Vol. 23, No. 2 (2013): 125-144.

Carter, David L., *Law Enforcement Intelligence: A Guide for State, Local, and Tribal Law Enforcement Agencies*. 2nd Edition (Washington, DC: U.S Department of Justice, 2009).

Conference on Security and Co-operation in Europe, *Final Act* (Helsinki: 1975). [www.osce.org/mc/39501?download=true] Accessed 6 April 2017.

Council of Europe, *Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms* (ECHR), (4 November 1950). [www.echr.coe.int/pages/home.aspx?p=basictexts] Accessed 28 April 2017.

Council of Europe, *Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data*, European Treaty Series, No. 108 (Strasbourg: 28 January 1981). [conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/108.htm] Accessed 27 April 2017.

Council of Europe, *The European Code of Police Ethics* (Strasbourg: Council of Europe Publishing, March 2002). [www.bak.gv.at/cms/BAK_dt/download/downloads/files/Verhaltenskodex/CoE_FRA_RPT_2687_EN_500.pdf] Accessed 27 April 2017.

European Court of Human Rights. Case of Shimovolos v. Russia. Application no. 30194/09 (Strasbourg: 21 June 2011). [hudoc.echr.coe.int/eng#{"appno":["30194/09"],"itemid":["001-105217"]}]] Accessed 28 April 2017.

European Court of Human Rights. Case of Roman Zakharov v. Russia. Application no. 47143/06 (Strasbourg: 4 December 2015). [lovdata.no/static/EMDN/emd-2006-047143.pdf] Accessed 27 April 2017.

European Court of Human Rights. Case of Szabo and Vissy v. Hungary. Application no. 37138/14 (Strasbourg: 12 January 2016). [www.statewatch.org/news/2016/jan/echr-case-SZAB-%20AND-VISSY-v-%20HUNGARY.pdf] Accessed 27 April 2017.

Council of the European Union. "Council conclusions on intelligence-led policing and the development of the Organized Crime Threat Assessment (OCTA)." Doc. 10180/4/05, REV 4, (Brussels: 3 October 2005). [register.consilium.europa.eu/doc/srv?l=EN&f=ST%2010180%204] Accessed 27 April 2017.

Council of the European Union. "Council Framework Decision of 18 December 2006 on simplifying the exchange of information and intelligence between law enforcement authorities of the Member States of the European Union." *Official Journal of the European Union* (2006/960/JHA, 18 December 2006). [eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006F0960&from=EN] Accessed 27 April 2017.

Council of the European Union. “Council conclusions on the creation and implementation of a EU policy cycle for organised and serious international crime.” 3043rd Justice and Home Affairs Council Meeting, (Brussels: 8 and 9 November 2010). [https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/jha/117583.pdf] Accessed 6 April 2017.

Council of the European Union. “Serious and Organised Crime Threat Assessment (SOCTA) – Methodology.” Doc. 9992/2/12, REV 2, COSI 28, (Brussels: 19 June 2012). [www.europarl.europa.eu/meetdocs/2009_2014/documents/libe/dv/p24_soctamethodology_/p24_soctamethodology_en.pdf] Accessed 6 April 2017.

Council of the European Union. “EMPACT Terms of Reference.” Doc. 14518/12, COSI 82, (Brussels: 3 October 2012). [www.statewatch.org/news/2012/oct/eu-council-cosi-empact-tor-14518-12.pdf] Accessed 6 April 2017.

Council of the European Union. “Council conclusions on setting the EU's priorities for the fight against serious and organised crime between 2014-2017.” Justice and Home Affairs Council meeting, (Luxembourg: 6 and 7 June 2013). [www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/jha/137401.pdf] Accessed 6 April 2017.

Council of the European Union, *The EU Policy Cycle to tackle organized and serious international crime* (Brussels: 2014).

Council of the European Union. “Serious and Organised Crime Threat Assessment 2017 – Revised methodology.” Doc. 14913/15, CRIMORG 128, Brussels: 11 December 2015. [www.statewatch.org/news/2015/dec/eu-council-socta-2017-methodology-14913-15.pdf] Accessed 6 April 2017.

Criminal Intelligence Service Canada, *Integrated Threat Assessment Methodology, Version 1.0* (Ottawa, Ontario: Criminal Intelligence Service Canada, 2007).

Eck, John E., Clarke, Ronald V. and Petrossian, G., *Intelligence Analysis for Problem Solvers* (Washington, DC: U.S. Department of State, Community Oriented Policing Services, 2013).

European External Action Service, *Handbook on Intelligence Led Policing (ILP) for civilian CSDP Missions* (Civilian Planning and Conduct Capability, Belgium Ministry of Foreign Affairs, Belgium Federal Police, 2013).

Europol, *EU Policy Cycle SOCTA Empact* (Europol, 2010). [<https://www.europol.europa.eu/publications-documents/eu-policy-cycle-socta-empact>] Accessed 27 April 2017.

Europol, *SOCTA 2013 – EU Serious and Organised Crime Threat Assessment* (The Hague: European Police Office, 2013). [<https://www.europol.europa.eu/activities-services/main-reports/eu-serious-and-organised-crime-threat-assessment-socta-2013>] Accessed 27 April 2017.

Europol, *Exploring Tomorrow's Organized Crime* (The Hague: European Police Office, 2015). [<https://www.europol.europa.eu/publications-documents/exploring-tomorrow-s-organised-crime>] Accessed 27 April 2017.

Europol, *SOCTA 2017 – European Union Serious and Organised Crime Threat Assessment 2017* (The Hague: European Police Office, 2017) [<https://www.europol.europa.eu/activities-services/main-reports/european-union-serious-and-organised-crime-threat-assessment-2017>] Accessed 27 April 2017.

Flood, B. and Gaspar, R. “Strategic aspects of the UK National Intelligence Model.” In: “The path to enlightenment: Limiting costs and maximizing returns from intelligence-led policy and practice in public policing.” *Policing: A Journal of Policy and Practice*, ed. Adrian James (Oxford University Press, 2017).

Geneva Centre for Security, Development and Rule of Law (DCAF), *Criminal Intelligence Manual* (Ljubljana: Institute DCAF Ljubljana, 2014). [dcaf-ljubljana.si/116] Accessed 27 April 2017.

Innes, Martin. “Why ‘soft’ policing is hard: on the curious development of reassurance policing, how it became neighbourhood policing and what this signifies about the politics of police reform.” *Journal of community applied social psychology*, Vol. 15, No. 3 (2005: 156–169).

Innes, Martin. “Policing uncertainty: Countering terror through community intelligence and democratic policing”. *The Annals of the American Academy of Political and Social Science*, Vol. 605, No. 1 (2006): 222-241.

International Association of Chiefs of Police. “Criminal Intelligence Sharing: A National Plan for Intelligence-Led Policing at the Local, State and Federal Levels.” IACP Intelligence Summit, Alexandria, VA (2002).

INTERPOL. “Criminal Intelligence Analysis.” *Fact Sheet* (2014). [<https://www.interpol.int/INTERPOL-expertise/Criminal-Intelligence-analysis>] Accessed 27 April 2017.

James, Adrian D.; Phythian, Mark; Richards, Julian and Wadie, Fiona C., ‘*What works? in police intelligence practice?* (The National Police Chiefs Council, 2016).

James, Adrian. “The path to enlightenment: Limiting costs and maximizing returns from intelligence-led policy and practice in public policing.” *Policing: A Journal of Policy and Practice* (Oxford University Press, 2017).

Karn, Jacqui, *Policing and Crime Reduction: The evidence and its implications for practice* (London: The Police Foundation, 2013).

Kelling, George L., and Bratton, William J. “Policing terrorism.” *Civic Bulletin 43*, No. 12 (2006).

Kosovo Police, *Handbook Intelligence led policing* (Pristina: 2016). [Unpublished].⁹⁰.

Murdoch, Jim and Roche, Ralph, *The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for police officers and other law enforcement officials* (Strasbourg: European Union/Council of Europe, 2013).

Ministry of Interior of the Republic of Serbia, *Handbook on the police intelligence model* (2016). [www.mup.gov.rs] Accessed 28 April 2017.

⁹⁰ წინამდებარე ტექსტში ყველა მითითება კოსოვოზე, იქნება ეს ტერიტორია, ინსტიტუტები თუ მოსახლეობა, გაგებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს 1244 რეზოლუციასთან სრულ შესაბამისობაში.

Ministry of Interior of the Republic of Serbia. “Decree on the Promulgation of the Law on Police.” PR No. 1, (Belgrade: 28 January 2016). [arhiva.mup.gov.rs/cms_eng/home.nsf/Law-on-Police-adopted-01-03-2016.pdf] Accessed 03 May 2017.

National Criminal Intelligence Service (NCIS), *The National Intelligence Model* (NCIS Corporate Communications, 2000). [www.intelligenceanalysis.net/National%20Intelligence%20Model.pdf] Accessed 27 April 2017.

National Policing Improvement Agency, *Practice Advice on Analysis* (Association of Chief Police Officers, 2008). [library.college.police.uk/docs/npia/practice_advice_on_analysis_interactive.pdf] Accessed 27 April 2017.

O’Neill, Maria, Swinton, Ken and Winter, Aaron, *New Challenges for the EU Internal Security Strategy* (Newcastle, UK: Cambridge Scholars Publishing, 2013).

Official Gazette of Montenegro “Law on Basis of the Intelligence and Security Sector of Montenegro.”, No. 28/14. [www.sluzbenilist.me/PravniAktDetalji.aspx?tag=%7B65668A19-BB7B-4029-BDC4-1D46FE9208E2%7D] Accessed 3 May 2017.

OSCE, *Concluding Document of the Vienna Meeting 1986 of Representatives of the Participating States of the Conference on Security and Co-operation in Europe, held on the basis of the provisions of the Final Act relating to the follow-up to the Conference* (Vienna: 1989). [www.osce.org/mc/40881?download=true] Accessed 27 April 2017.

OSCE, *Document of the Moscow Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE* (Moscow, 3 October 1991). [www.osce.org/odihr/elections/14310] Accessed 18 April 2017.

OSCE, *Good Practices in Building Police-Public Partnerships by the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General* (Vienna: OSCE, 2008a). [www.osce.org/spmu/32547?download=true] Accessed 28 April 2017.

OSCE, *Guidebook on democratic policing, by the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General*, 2nd Edition (Vienna: OSCE, 2008b). [www.osce.org/spmu/23804] Accessed 6 April 2017.

OSCE, *Human rights in counter-terrorism investigations – A Practical Manual for Law Enforcement Officers* (Warsaw: Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) and Transnational Threats Department (TNTD), 2013). [www.osce.org/odihr/108930?download=true] Accessed 6 April 2017.

OSCE, *Preventing Terrorism and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism: A Community-Policing Approach* (Vienna: ODIHR and TNTD, 2014). [www.osce.org/atu/111438] Accessed 27 April 2017.

OSCE. “Assessments of OSCE Field Operations’ engagement in national intelligence-led policing programmes in OSCE participating States.” Vienna: OSCE, Transnational Threats Department/Strategic Police Matters Unit (TNTD/SPMU), 17 February 2016. [Unpublished/internal].

OSCE. “Status of Intelligence-Led Policing Concepts in International Security and Law Enforcement Organizations”. *Interoffice Memorandum* (Vienna: OSCE, 26 April 2016). [Unpublished/internal].

OSCE Chiefs of Police Meeting, *Brussels Statement* (24 November 2006). [www.osce.org/spmu/23260?download=true] Accessed 6 April 2017.

OSCE Ministerial Council, Ministerial Statement. “Sofia Ministerial Statement on Preventing and Combating Terrorism” (Sofia: MC(12).JOUR/2, 7 December 2004). [www.osce.org/mc/38760?download=true] Accessed 6 April 2017.

OSCE Ministerial Council, Ministerial Statement. “Brussels Ministerial Statement on Supporting and Promoting the International Legal Framework against Terrorism” (Brussels: MC.DOC/5/06, 5 December 2006). [www.osce.org/mc/23029?download=true] Accessed 6 April 2017.

OSCE Ministerial Council, Decision No. 5/06. “Organized Crime” (Brussels: MC.DEC/5/06, 5 December 2006). [www.osce.org/mc/23060?download=true] Accessed 6 April 2017.

OSCE Permanent Council, Decision No. 1049. “OSCE Strategic Framework for Police-Related Activities” (Vienna: PC.DEC/1049, 26 July 2012). [www.osce.org/pc/92559?download=true] Accessed 6 April 2017.

Pajevic, Maid. “Application of the Theory of Criminal Intelligence in Police Work”. *E-Journal of Police Studies (ljps), Internacionalna asocijacija policijskih akademija (INTERPA)* (2014).

Parliamentary Joint Committee on Law Enforcement, *Inquiry into the gathering and use of criminal intelligence* (Canberra Parliamentary Joint Committee on Law Enforcement, Commonwealth of Australia, 2013).

Peterson, Marilyn, *Intelligence-Led Policing: The New Intelligence Architecture* (Washington, DC: U.S. Department of Justice, Bureau of Justice Assistance, 2005).

Quinton, P. and Morris, J. “Neighbourhood policing: The impact of piloting and early national implementation.” (Home Office Online Report, 01/2008) [http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20110314171826/http://rds.homeoffice.gov.uk/rds/pdfs08/rdsolr0108.pdf] Accessed 2 June 2017.

Ratcliffe, Jerry H., *Intelligence-Led Policing* (Cullompton, UK: Willan Publishing, 2008).

Ratcliffe, Jerry H., Strang, Steven and Taylor, Ralph. “Assessing the success factors of organized crime groups”. *Policing: an International Journal of Police Strategies & Management, Vol. 37, No. 1* (2014: 206-227).

Ratcliffe, Jerry H., *Intelligence-Led Policing*, 2nd Edition (London/New York: Routledge, 2016).

Renard, Thomas. “Counterterrorism in Belgium: Key Challenges and Policy Options.” *Egmont Paper 89* (Brussels: Egmont Institute, 2016).

Royal Canadian Mounted Police Criminal Intelligence. “Sleipnir Version 2.0, Organized Crime Groups Capability Measurement Matrix.”, (Ottawa: RCMP, 2011). [www.yumpu.com/en/document/view/51586046/sleipnir-version-20-organized-crime-groups-capability-] Accessed 27 April 2017.

Stevens, John, "Intelligence-Led Policing". Paper presented at the Institute for Human Rights and Criminal Justice Studies international conference, Durban, 3-7 December 2001.

United Nations Department of Peacekeeping Operations (UNDPKO). "Guidelines on Police Operations in United Nations Peacekeeping Operations and Special Political Missions." Ref. 2015.15, 01 January 2016. [www.un.org/en/peacekeeping/sites/police/documents/Guidelines_Operations.pdf] Accessed 27 April 2017.

United Nations General Assembly. "International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR)." *No. 14668, United Nations Treaty Series, Vol. 999* (New York: 16 December 1966). [www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CCPR.aspx] Accessed 27 April 2017.

United Nations General Assembly, Resolution 34, "Code of Conduct for Law Enforcement Officials." A/RES/34/169, 17 December 1979. [www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/LawEnforcementOfficials.aspx] Accessed 28 April 2017.

United Nations General Assembly, Resolution 45/95, "Guidelines for the regulation of computerized personal data files." A/RES/45/95, 14 December 1990. [www.un.org/documents/ga/res/45/a45r095.htm] Accessed 27 April 2017.

United Nations General Assembly. "Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism, Martin Scheinin." Report to the UN Human Rights Council, 4 February 2009, A/HRC/10/3. [www.ohchr.org/EN/Issues/Terrorism/Pages/Annual.aspx] Accessed 27 April 2017.

United Nations General Assembly. "Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism, Martin Scheinin. Compilation of good practices on legal and institutional frameworks and measures that ensure respect for human rights by intelligence agencies while countering terrorism, including on their oversight." Report to the UN Human Rights Council, 17 May 2010, A/HRC/14/46. [www.ohchr.org/EN/Issues/Terrorism/Pages/Annual.aspx] Accessed 28 April 2017.

United Nations General Assembly. "Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association Maina Kiai, Addendum, Mission to the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland." Report to the UN Human Rights Council, 17 June 2013, A/HRC/23/39/Add.1. [www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session23/A-HRC-23-39-Add1_en.pdf] Accessed 28 April 2017.

United Nations General Assembly. "Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Juan E. Méndez." Report to the UN Human Rights Council, 10 April 2014, A/HRC/25/60. [ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?m=103] Accessed 28 April 2017.

United Nations General Assembly. "Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism, Ben Emmerson." Annual Report to the UN General Assembly, 23 September 2014, A/69/397. [www.ohchr.org/EN/Issues/Terrorism/Pages/Annual.aspx] Accessed 28 April 2017.

United Nations General Assembly. “Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism, Ben Emmerson.” Report to the UN Human Rights Council, 16 June 2015, A/HRC/29/51. [ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/29/51] Accessed 28 April 2017.

United Nations General Assembly. “Special Rapporteur on the promotion and protection of human rights and fundamental freedoms while countering terrorism.” Report to the UN Human Rights Council, 21 February 2017, A/HRC/34/61. [www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session34/_layouts/15/WopiFrame.aspx?sourcedoc=/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session34/Documents/A_HRC_34_61_EN.docx&action=default&DefaultItemOpen=1] Accessed 28 April 2017.

United Nations Human Rights Committee, *CCPR General Comment No. 16: Article 17 (Right to Privacy), The Right to Respect of Privacy, Family, Home and Correspondence, and Protection of Honour and Reputation* (8 April 1988). [www.refworld.org/docid/453883f922.html] Accessed 28 April 2017.

United Nations Office on Drugs and Crime (UNODC), *United Nations Convention against Corruption* (Vienna: United Nations Publication, 2004). [www.unodc.org/unodc/en/corruption/tools_and_publications/UN-convention-against-corruption.html] Accessed 28 April 2017.

UNODC, *United Nations Convention Against Transnational Organized Crime and the Protocols Thereto* (Vienna: United Nations Publication, 2004). [www.unodc.org/unodc/treaties/CTOC/#Fulltext] Accessed 28 April 2017.

UNODC, *Policing – Police Information and Intelligence Systems. Criminal Justice Assessment Toolkit* (Vienna: United Nations Publication, 2006). [www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/cjat_eng/4_Police_Information_Intelligence_Systems.pdf] Accessed 28 April 2017.

UNODC, *Current Practices in Electronic Surveillance in the Investigation of serious and organized crime* (Vienna: United Nations Publication, 2009). [www.unodc.org/documents/organized-crime/Law-Enforcement/Electronic_surveillance.pdf] Accessed 27 April 2017.

UNODC, *Criminal Intelligence – Manual for Front-line Law Enforcement* (Vienna: United Nations Publication, 2010a). [www.unodc.org/documents/organized-crime/Law-Enforcement/Criminal_Intelligence_for_Front_Line_Law_Enforcement.pdf] Accessed 27 April 2017.

UNODC, *Guidance on the preparation and use of serious and organized crime threat assessments. The SOCTA Handbook* (Vienna: United Nations Publication, 2010b). [www.unodc.org/documents/organized-crime/Law-Enforcement/SOCTA_Handbook.pdf] Accessed 27 April 2017.

UNODC, *Criminal Intelligence – Manual for Analysts* (Vienna: United Nations Publication, 2011a). [www.unodc.org/documents/organized-crime/Law-Enforcement/Criminal_Intelligence_for_Analysts.pdf] Accessed 27 April 2017.

UNODC, *Criminal Intelligence – Manual for Managers* (Vienna: United Nations Publication, 2011b). [www.unodc.org/documents/organized-crime/Law-Enforcement/Criminal_Intelligence_for_Managers.pdf] Accessed 27 April 2017.

United States Department of Justice, *Reducing Crime Through Intelligence-Led Policing* (Washington, DC: U.S Department of Justice, Bureau of Justice Assistance, 2009).

United States Department of Justice, *Law Enforcement Analytic Standards*. 2nd Edition (Washington, DC: U.S Department of Justice, Bureau of Justice Assistance, 2012).

Weisburd, David and Eck, John E. "What can the police do to reduce crime, disorder and fear?" *Annals of the American Academy of Social and Political Sciences*, Vol. 593 (2004): 42–65.

Wells, Ronald, "Intelligence-Led Policing: a new paradigm in law enforcement." *Public Agency Training Council (PATC), E-Newsletter* (2009). [www.patc.com/weeklyarticles/intelligence_policing.shtml] Accessed 6 April 2017.

ვებგვერდები

Center for Problem-Oriented Policing

www.popcenter.org/about/?p=whatispop.

International Association of Law enforcement Intelligence Analysts (IALEIA)

www.ialeia.org/ Accessed 27. April 2017.

Problem Oriented Policing

www.popcenter.org/about/?p=whatispop Accessed 27 April 2017.

United Nations Office on Drugs and Crime – Organized Crime

www.unodc.org/unodc/en/organized-crime/index.html?ref=menuse Accessed 27. April 2017.

TNTD/SPMU პუბლიკაციების სერია

Vol. 1 Guidebook on Democratic Policing by the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General, SPMU Publication Series Vol. 1, 2nd Edition, Vienna, May 2008.

Vol. 2 Reference Guide to Criminal Procedure, SPMU Publication Series Vol. 2, Vienna, December 2006.

Vol. 3 Enhancing cooperation among police, prosecutors and judges in the fight against transnational organized crime. Project Report, SPMU Publication Series Vol. 3, Vienna, December 2007.

Vol. 4 Good Practice in Building Police-Public Partnerships by the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General, SPMU Publication Series Vol. 4, Vienna, May 2008.

Vol. 5 Good Practices in Basic Police Training – Curricula Aspects by the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General, SPMU Publication Series Vol. 5, Vienna, October 2008.

Vol. 6 Прекурсоры наркотических средств [Precursors Handbook], SPMU Publication Series Vol. 6, Vienna, November 2008.

Vol. 7 Implementation of Police-Related Programmes. Lessons Learned in South-Eastern Europe, SPMU Publication Series Vol. 7, Vienna, December 2008.

Vol. 8 Controlled Delivery Guidebook for South-East European Countries, SPMU Publication Series Vol. 8, Vienna, January 2009.

Vol. 9 Police and Roma and Sinti: Good Practices in Building Trust and Understanding, SPMU Publication Series Vol. 9, Vienna, April 2010.

Vol. 10 Trafficking in Human Beings: Identification of Potential and Presumed Victims. A Community Policing Approach, SPMU Publication Series Vol. 10, Vienna, June 2011.

Vol. 11 Police Reform within the Framework of Criminal Justice System Reform, TNTD/SPMU Publication Series Vol. 11, Vienna, July 2013.

Vol. 12 OSCE Resource Police Training Guide: Trafficking in Human Beings, TNTD/SPMU Publication Series Vol. 12, Vienna, July 2013.

Vol. 13 OSCE Guidebook on Intelligence-Led policing, TNTD/SPMU Publication Series Vol. 13, Vienna, July 2017.

სხვა საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებული TNTD გამოცემები:

Human Rights In Counter-Terrorism Investigations. A Practical Manual For Law Enforcement Officers. Joint publication of the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) and TNTD, Warsaw, 2013.

Preventing Terrorism and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism. A Community-Policing Approach. Joint publication of ODIHR and TNTD, Vienna, February 2014.

გამოცემების შეუკვეთა შესაძლებელია პირდაპირ TNTD/SPMU-დან ([spm@osce.org](mailto:spmu@osce.org)) ან POLIS ვებგვერდიდან: polis.osce.org/library

მიჰყევით ეუთოს სოციალურ ქსელებში



